

მამუკა მახარაძე

განაჩენის დასაბუთებულობის მნიშვნელობა სისხლის
სამართლის პროცესში

წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0159, საქართველო
2025 წელი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებთ, რომ გავეცანით მამუკა მახარაძის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „განაჩენის დასაბუთებულობის მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში“ და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

სამეცნიერო ხელმძღვანელი : _____ (სერგო ჭელიძე)

რეცენზენტები: _____

თარიღი: ____/____/____

რეზიუმე

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი ეხება **განაჩენის დასაბუთებულობის მნიშვნელობას სისხლის სამართლის პროცესში** და მიზნად ისახავს ამ საკითხის საფუძვლიან ანალიზს როგორც თეორიული, ისე, პრაქტიკული ასპექტებით. კვლევაში მიმოხილულია სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების არსი, სამართლებრივი სტანდარტები, საერთაშორისო გამოცდილება და საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკა. დისერტაციაზე მუშაობის პროცესში საფუძვლიანად გაანალიზდა სისხლის სამართლის პროცესში განაჩენის დასაბუთების საკითხი, საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი ნორმები, სასამართლო გადაწყვეტილებები და თეორიული მიდგომები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დაცვას, რაც განაჩენის დასაბუთებულობის აუცილებელი კომპონენტია.

კვლევის მიზანია სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხის გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს პრინციპების დაცვას და მართლმსაჯულების სისტემის გამჭვირვალობას. ამ მიზნით, ნაშრომში გაანალიზებულია როგორც საქართველოს საერთო სასამართლოების, ისე, საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სამართლებრივი პრაქტიკა.

ნაშრომში მიმოხილულია განაჩენის ცნება, მისი სახეები და სამართლებრივი მნიშვნელობა. პირველ თავში განხილულია სისხლის სამართლის პროცესში არსებული განაჩენის სახეები, მათ შორის გამამტყუნებელი, გამამართლებელი, შერეული, ნაფიც მსაჯულთა და პრეცედენტული განაჩენები. თითოეული მათგანი გაანალიზებულია სამართლებრივი შინაარსის, გამოყენების პრაქტიკისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

მეორე თავი ეხება სისხლის სამართლის პროცესით განაჩენის გამოტანისთვის დადგენილ სტანდარტებს. განხილულია უდანაშაულობის პრეზუმფცია, სასამართლოს მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა, სამართლიანი და მოტივირებული გადაწყვეტილების აუცილებლობა, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი და საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის პრაქტიკა.

მესამე თავი განაჩენის ფორმის შესწავლას ეძღვნება. დეტალურად არის განხილული განაჩენის შესავალი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილი, განსხვავებული აზრის არსებობის შესაძლებლობა და განაჩენის შესწორების მექანიზმები.

მეოთხე თავი ფოკუსირებულია განაჩენის დასაბუთების პროცესზე და მის შემადგენელ ელემენტებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მტკიცებულებების შეფასებას, მოსამართლის შინაგან რწმენას, პრეუდიციული გარემოებების გამოყენებას და საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებების გავლენას სასამართლო პრაქტიკაზე. გარდა ამისა, გაანალიზებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები, რაც ხელს უწყობს

საქართველოს მართლმსაჯულების სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.

მეხუთე თავი ეთმობა სასამართლო პრაქტიკის ანალიზს. განხილულია პირველი და მეორე ინსტანციების მიერ გამოტანილი განაჩენების დასაბუთებულობის ხარისხი, უზენაესი სასამართლოს როლი ნორმათა განმარტებისას და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხი. ასევე, გაანალიზებულია უზენაესი სასამართლოს პრეცედენტების გავლენა საერთო სასამართლოებზე.

მეექვსე თავი სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებას ეძღვნება. განხილულია რომანულ-გერმანული, ანგლოსაქსური და მუსლიმური სამართლის ქვეყნების მიდგომები განაჩენის დასაბუთების სტანდარტებთან დაკავშირებით. აღნიშნული კვლევა იძლევა შესაძლებლობას, საქართველოს მართლმსაჯულების სისტემამ გამოიყენოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა და უზრუნველყოს მაღალი ხარისხის სასამართლო გადაწყვეტილებების მიღება.

ჩატარებული კვლევით დასტურდება, რომ განაჩენის დასაბუთებულობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის პროცესში სამართლიანობის დაცვისთვის. კვლევის ფარგლებში გამოვლენილი ხარვეზები საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში საჭიროებს შესაბამის საკანონმდებლო და პროცესუალურ გაუმჯობესებას. დისერტაციაში დადასტურებულია, რომ განაჩენის დასაბუთება სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია, რომელიც განაპირობებს არა მხოლოდ ინდივიდუალური საქმეების სამართლიან განხილვას, არამედ საერთო სასამართლო სისტემის ეფექტურობასა და დემოკრატიული მმართველობის გაძლიერებას. შესაბამისად, ნაშრომში შემოთავაზებული რეკომენდაციები მიზნად ისახავს ამ საკითხის გაუმჯობესებას და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების განმტკიცებას.

Resume

This dissertation examines the significance of reasoning in judicial decisions within criminal proceedings and aims to provide a comprehensive analysis of this issue from both theoretical and practical perspectives. The study explores the essence of judicial decision reasoning, legal standards, international experiences, and existing judicial practices in Georgia.

Throughout the research process, an in-depth analysis was conducted on the reasoning of judgments in criminal proceedings, international and national legal norms, court decisions, and theoretical approaches. Special attention was given to the principle of fair trial, which is an essential component of judicial reasoning.

The objective of this study is to improve the quality of judicial decision reasoning, ensuring adherence to fair trial principles and enhancing the transparency of the justice system. To this end, the dissertation analyzes decisions and legal practices adopted by both Georgian courts and international institutions.

The dissertation reviews the concept of a judgment, its types, and its legal significance. The first chapter discusses the various types of judgments in criminal proceedings, including conviction, acquittal, mixed decisions, jury verdicts, and precedent-based judgments. Each type is analyzed in terms of its legal essence, practical application, and international experience.

The second chapter addresses the legal standards governing the issuance of judgments in criminal proceedings. It examines the presumption of innocence, the sufficiency of evidence, judicial impartiality and independence, the necessity of a fair and reasoned decision, the "beyond reasonable doubt" standard, and the practice of issuing judgments without substantive case consideration.

The third chapter is dedicated to studying the structure of judgments. It provides a detailed analysis of the introductory part of a judgment, the reasoning section, the operative part, the possibility of dissenting opinions, and the mechanisms for correcting judgments.

The fourth chapter focuses on the process of judicial reasoning and its essential components. Particular emphasis is placed on the evaluation of evidence, the judge's inner conviction, the use of prejudicial circumstances, and the impact of decisions by the Supreme Court and the Constitutional Court of Georgia on judicial practice. Additionally, the dissertation examines the precedents set by the European Court of Human Rights, which contribute to aligning Georgia's judicial system with international standards.

The fifth chapter is devoted to the analysis of judicial practice. It examines the quality of reasoning in judgments issued by first- and second-instance courts, the Supreme Court's role in interpreting legal norms, and the level of reasoning in decisions made by the Court of Cassation. Furthermore, it analyzes the influence of Supreme Court precedents on lower courts. The sixth chapter explores the experiences of different legal systems. It examines the approaches of Romano-Germanic, Anglo-Saxon, and Islamic legal systems regarding judicial reasoning standards. This comparative analysis allows the Georgian justice system to adopt best

international practices and ensure the delivery of well-reasoned and high-quality judicial decisions.

The research findings confirm that judicial reasoning is critically important for ensuring justice in criminal proceedings. The study identifies deficiencies in Georgia's judicial practice that require appropriate legislative and procedural improvements. The dissertation affirms that reasoning in judicial decisions is one of the most fundamental components of criminal proceedings, contributing not only to the fair adjudication of individual cases but also to the overall efficiency of the judicial system and the strengthening of democratic governance. Consequently, the recommendations proposed in this study aim to enhance this aspect and reinforce the principles of the rule of law.

სარჩევი

შესავალი	9
ლიტერატურის მიმოხილვა.....	17
თავი I. განაჩენის ცნება და სახეები	23
1.1 განაჩენის ცნება	23
1.2. განაჩენის სახეები	29
1.2.1. გამამტყუნებელი განაჩენი	31
1.2.2. გამამართლებელი განაჩენი	32
1.2.3. შერეული განაჩენი	34
1.2.4. ნაფიც მსაჯულთა განაჩენი	35
1.2.5. პრეცედენტული განაჩენი	36
თავი II. სისხლის სამართლის პროცესში განაჩენის გამოტანისთვის დადგენილი სტანდარტები	38
2.1. უდანაშაულობის პრეზუმფცია	39
2.2. სასამართლოს მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა	43
2.3. სამართლიანი და მოტივირებული გადაწყვეტილება.....	46
2.4. სათანადო სამართლებრივი პროცედურების დაცვა	48
2.5. გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი	50
2.6. საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის სტანდარტი	57
თავი III. განაჩენის ფორმა.....	68
3.1. განაჩენის შესავალი.....	69
3.2. განაჩენის სამოტივაციო ნაწილი	70
3.3. განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი.....	73
3.4. განსხვავებული აზრი	75
3.5. შესწორება განაჩენში.....	77
თავი IV. განაჩენის დასაბუთება და შემადგენელი ელემენტები	80
4.1. მტკიცებულებების შეფასება განაჩენის დასაბუთების პროცესში	81
4.2. მოსამართლის შინაგანი რწმენა განაჩენის დასაბუთებისას	83
4.3. პრეუდიციული გარემოებების გამოყენება განაჩენის დასაბუთებისას	88

4.4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენება განაჩენის დასაბუთებისას	93
4.5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენება განაჩენის დასაბუთებისას	100
თავი V. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი	107
5.1. პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი განაჩენების დასაბუთებულობა	108
5.2. მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენების დასაბუთებულობა. განსხვავებული აზრი	117
5.3. უზენაესი სასამართლოს როლი ნორმათა განმარტებისას და მისი გავლენა საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე	121
5.3.1. უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სახეები	125
5.3.2 დასაბუთებულობის ხარისხი საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში	135
5.3.3 უზენაესი სასამართლოს პრეცედენტების მნიშვნელობა საერთო სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე	136
თავი VI. განაჩენის დასაბუთებულობის სტანდარტები საზღვარგარეთის ქვეყნებში	140
6.1 რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის ქვეყნების გამოცდილება	140
6.2 ანგლოსაქსური სამართლის სისტემის ქვეყნების გამოცდილება	146
6.3. მუსლიმური სამართლის სისტემის ქვეყნების გამოცდილება	159
დასკვნა	176
ბიბლიოგრაფია	186

შესავალი

სისხლის სამართლის პროცესში განაჩენის დასაბუთებულობის მნიშვნელობა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს თანამედროვე სამართლებრივ კვლევებში. სამართლიანი სასამართლოს პრინციპების დაცვა და განაჩენის დასაბუთებულობა განაპირობებს მართლმსაჯულებისადმი ნდობას და სამართლებრივი სისტემის ეფექტურობას. აღნიშნული დისერტაცია მიზნად ისახავს განაჩენის დასაბუთებულობის სტანდარტებისა და პრაქტიკის ანალიზს, რომელიც გავლენას ახდენს როგორც ინდივიდუალური სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვაზე, ასევე ზოგადად მართლმსაჯულების სისტემის გამჭვირვალობასა და სამართლიანობაზე.

თემის აქტუალობა. განაჩენის დასაბუთებულობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხია მართლმსაჯულების სამართლიანობის, სასამართლო ხელისუფლების ლეგიტიმაციისა და კანონის უზენაესობის უზრუნველსაყოფად. სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება არა მხოლოდ ასახავს სასამართლოს მიერ საქმის გარემოებებისა და მტკიცებულებების შეფასების ობიექტურობას, არამედ უზრუნველყოფს მხარეებისთვის სასამართლო პროცესის გამჭვირვალობას და სამართლიანობის განცდას.

თანამედროვე სამყაროში, სადაც სასამართლო გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობა ხშირად კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც დემოკრატიული მმართველობის კონსოლიდაცია ჯერ კიდევ პროცესშია, განაჩენის დასაბუთების სტანდარტების სიღრმისეული შესწავლა კრიტიკულად მნიშვნელოვანია. განაჩენის დასაბუთების ხარისხი პირდაპირ კავშირშია სასამართლოს მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობასთან, რაც ქმნის საზოგადოებრივ ნდობას სასამართლო სისტემისადმი.

აღსანიშნავია, რომ კვლევა ეხმიანება საქართველოს სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმებს და მოიცავს არა მხოლოდ თეორიულ

ანალიზს, არამედ პრაქტიკული პრობლემების იდენტიფიცირებასა და გადაჭრის შესაძლო გზების განსაზღვრას. ეს რეფორმები მიზნად ისახავს მართლმსაჯულების ხარისხის ამაღლებას, სასამართლო გადაწყვეტილებების მოტივაციის გაუმჯობესებას და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას.

მეცნიერული სიახლე. განაჩენის დასაბუთებულობის საკითხი მრავალმხრივი ანალიზის საგანია და მისი მნიშვნელობა სამართლებრივ დისკურსში ფართოდ აღიარებულია. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ნაშრომი უნიკალური კუთხით წარმოსახავს აღნიშნული თემის კვლევას, რაც მისი მეცნიერული სიახლის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

ნაშრომში განხილულია განაჩენის დასაბუთებულობის განსაკუთრებული მნიშვნელობა არა მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი სტანდარტების კონტექსტში, არამედ საქართველოს მართლმსაჯულების სპეციფიკურ გარემოში. კვლევა მოიცავს ქართული სასამართლო პრაქტიკის სიღრმისეულ ანალიზს, რაც საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს არსებული სამართლებრივი ხარვეზები და მათი გადაჭრის გზები.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებსა და სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებას, რაც ნაშრომს გლობალურ სამართლებრივ კონტექსტში მოაქცევს. კვლევაში გაანალიზებულია სისხლის სამართლის პროცესის საერთაშორისო სტანდარტები, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და სხვა იურისდიქციების მიდგომები განაჩენის დასაბუთების აუცილებლობის მიმართ. ამგვარი კომპარატიული ანალიზი ნაშრომს პრაქტიკულ მნიშვნელობას სძენს, ვინაიდან იგი საშუალებას იძლევა საქართველოს სამართლებრივი რეგულაციები შეფასდეს საერთაშორისო პრიზმიდან და მოხდეს მათი დახვეწის საჭიროებების იდენტიფიცირება.

მნიშვნელოვანი ასპექტია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკისა და საკონსტიტუციო სასამართლოს

გადაწყვეტილებების ანალიზი. მათი გავლენა საერთო სასამართლოებზე განსაკუთრებულად აქცენტირებულია, რაც კვლევას აძლევს პრაქტიკულ და სისტემურ ხასიათს.

ამასთან, ნაშრომში განხილულია სამართლებრივი და პროცესუალური მიდგომები სისხლის სამართლის პროცესში განაჩენის დასაბუთების კუთხით და გაანალიზებულია მისი გავლენა სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფასა და კანონის უზენაესობაზე.

ზემოხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით, ნაშრომი მეცნიერულ სიახლეს ქმნის არა მხოლოდ ახალი მონაცემებისა და ანალიზის შეთავაზებით, არამედ თემის ღრმა ინტერდისციპლინური გააზრებით, რომელიც აერთიანებს სისხლის სამართლის პროცესის, კონსტიტუციური სამართლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. თეორიული თვალსაზრისით, ნაშრომი წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს სამართლებრივი მეცნიერების განვითარებაში, რადგან იგი ახლებურად განიხილავს განაჩენის დასაბუთების თეორიულ საფუძვლებს, მის როლს სისხლის სამართლის პროცესში და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას. კვლევა ამაღლებს სამართლებრივი დოქტრინის ღირებულებას, ინტერდისციპლინური მიდგომით აანალიზებს სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების მნიშვნელობას და ადარებს ქართულ სამართლებრივ სისტემას საერთაშორისო გამოცდილებასთან.

პრაქტიკული მნიშვნელობის კუთხით, ნაშრომი ხელს შეუწყობს საქართველოს მართლმსაჯულების სისტემის გაუმჯობესებას და სასამართლო პრაქტიკის განვითარებას. კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას მოსამართლეთა პროფესიული განვითარების, იურისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სამართლის სტუდენტებისთვის სწავლების პროცესში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ნაშრომის მიგნებები შემიძლია გამოყენებულ იქნას პრაქტიკაში არსებული ხარვეზების

გამოსწორებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დამატებით, კვლევის შედეგები შეიძლება გახდეს სამომავლო საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველი, რაც ხელს შეუწყობს სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების სტანდარტების დახვეწასა და მართლმსაჯულების სისტემის გაძლიერებას. ასევე, ნაშრომში წარმოდგენილი რეკომენდაციები შეიძლება დაეხმაროს საკანონმდებლო ორგანოებსა და სასამართლო ინსტიტუტებს სასამართლო პრაქტიკის ჰარმონიზაციის პროცესში.

ამრიგად, ნაშრომი არა მხოლოდ თეორიულ და აკადემიურ ღირებულებას წარმოადგენს, არამედ პრაქტიკულიც, რადგან მისი მიგნებები ხელს შეუწყობს სამართლებრივი სისტემის გამჭვირვალობისა და ეფექტურობის ზრდას, საზოგადოების ნდობის ამაღლებას სასამართლო სისტემის მიმართ და კანონის უზენაესობის განმტკიცებას.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია სისხლის სამართლის პროცესში განაჩენის დასაბუთებულობის მნიშვნელობის გამოკვეთა, მისი სამართლებრივი საფუძვლების ანალიზი და პრაქტიკაში მისი რეალიზაციის შეფასება. კვლევა ცდილობს განსაზღვროს, რამდენად შეესაბამება საქართველოს სასამართლო პრაქტიკა საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს, როგორია განაჩენის დასაბუთების არსებული მეთოდოლოგია და რა გამოწვევები არსებობს აღნიშნულ პროცესში.

ამ მიზნის მისაღწევად, კვლევა ემსახურება შემდეგ ამოცანებს:

- 1. განაჩენის დასაბუთებულობის თეორიული საფუძვლების შესწავლა** - გაანალიზდეს სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების კონცეპტუალური საფუძვლები, მისი როლი მართლმსაჯულების სისტემაში და სამართლებრივი აზროვნების განვითარებაში.
- 2. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში განაჩენის დასაბუთების პრაქტიკის ანალიზი** - მოხდეს ქართული სასამართლო პრაქტიკის

შესწავლა და შეფასება, გამოვლინდეს არსებული ხარვეზები და მათი გავლენა მართლმსაჯულების ხარისხზე.

3. **საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების შესწავლა და მათი შედარება ქართულ გამოცდილებასთან** - განხილული იყოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ევროკავშირის სამართლებრივი ჩარჩოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დადგენილი პრინციპები და მათი შესაძლო იმპლემენტაცია საქართველოს პრაქტიკაში.
4. **სასამართლო პრაქტიკის მაგალითებზე დაყრდნობით განაჩენის დასაბუთებულობის ხარისხის შეფასება** - მოხდეს სასამართლო გადაწყვეტილებების დეტალური ანალიზი, მათი დასაბუთების ლოგიკა, მტკიცებულებების შეფასების მეთოდოლოგია და სამართლებრივი არგუმენტაციის დონე.
5. **სასამართლო რეფორმების ფარგლებში რეკომენდაციების შემუშავება** – შემუშავდეს პრაქტიკული და საკანონმდებლო წინადადებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში განაჩენის დასაბუთების ხარისხის ამაღლებას, სასამართლოების გამჭვირვალობასა და საზოგადოების ნდობის გაძლიერებას.

ამგვარად, კვლევა არა მხოლოდ მეცნიერულ და თეორიულ მნიშვნელობას ატარებს, არამედ პრაქტიკულადაც ფასეულია, ვინაიდან ის მოიცავს სამართლებრივი პოლიტიკის გაუმჯობესების მიმართულებებს, რაც ხელს შეუწყობს სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დაცვას და კანონის უზენაესობის განმტკიცებას.

საკვლევი კითხვა და ჰიპოთეზა. სისხლის სამართლის პროცესში განაჩენის დასაბუთება წარმოადგენს მართლმსაჯულების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ელემენტს, რომელიც განაპირობებს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, პროცესის გამჭვირვალობისა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპების დაცვას. სასამართლო გადაწყვეტილების

დასაბუთება არა მხოლოდ ასახავს მოსამართლის მიერ საქმის მასალების შეფასებას, არამედ უზრუნველყოფს საზოგადოების ნდობის გაძლიერებას სასამართლო სისტემის მიმართ.

საკვლევი კითხვა შემდეგნაირად ფორმულირდება:

რამდენად ეფექტურად და სამართლიანად ხდება საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში განაჩენის დასაბუთება და რამდენად შეესაბამება ეს პროცესი საერთაშორისო სტანდარტებს?

აღნიშნული გულისხმობს საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში განაჩენის დასაბუთების სამართლებრივი რეგულაციების, სასამართლო პრაქტიკისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებას.

კვლევისას შევეცადე განმესაზღვრა, შესაბამისია თუ არა საქართველოს სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს პრინციპებთან. ასევე, შესწავლილ იქნა სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხი, მისი გავლენა მართლმსაჯულების ეფექტიანობასა და სასამართლოს დამოუკიდებლობის აღქმაზე.

ჰიპოთეზა. კვლევაში წამოჭრილი საკითხის პასუხად გამოითქმის შემდეგი ჰიპოთეზა:

განაჩენის დასაბუთების პროცესში არსებული ხარვეზები საქართველოში ნეგატიურ გავლენას ახდენს სამართლიანი სასამართლოს პრინციპის რეალიზაციაზე, რაც საჭიროებს სამართლებრივი რეგულირების დახვეწასა და სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესებას. ეს ჰიპოთეზა ეფუძნება იმ ფაქტს, რომ საკმარისად დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილება წარმოადგენს სამართლიანი მართლმსაჯულების ერთ-ერთ უმთავრეს გარანტიას. დასაბუთების დაბალი ხარისხი, არასრული ან ზედპირული არგუმენტაცია, მტკიცებულებების არათანმიმდევრული შეფასება და სასამართლოს შიდა რწმენის არაკონკრეტული განმარტება

შეიძლება იქცეს სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დარღვევის საფუძვლად. ამ კუთხით, კვლევაში მოხდება საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში განაჩენის დასაბუთების არსებული პრაქტიკის შეფასება, საერთაშორისო სტანდარტებთან შედარება და იმ ძირითადი ხარვეზების იდენტიფიცირება, რომლებიც ხელს უშლის სამართლიანი სასამართლოს ეფექტიან რეალიზაციას. ასევე, კვლევის ფარგლებში გამოიკვეთება რა სახის სამართლებრივი რეგულაციები და სასამართლო რეფორმები შეიძლება განხორციელდეს ისე, რომ განაჩენის დასაბუთების პროცესი გახდეს უფრო გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლებრივი სახელმწიფოების სტანდარტებთან შესაბამისი.

გამოყენებული კვლევის მეთოდები. კვლევა ეფუძნება შედარებით-სამართლებრივ მეთოდოლოგიას, ანალიტიკურ, ჰერმენევტიკულ, სინთეზურ და სხვა სამეცნიერო მეთოდებს, რაც საშუალებას იძლევა, განიხილოს სისხლის სამართლის პროცესში განაჩენის დასაბუთების თეორიული, სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტები.

კვლევის პროცესში მოხდა საქართველოს სასამართლო პრაქტიკის დეტალური შესწავლა და მისი შედარება საერთაშორისო სტანდარტებთან. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს სასამართლოებში არსებულ შეუსაბამოებს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, რაც ხელს უწყობს სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ხარისხის შეფასებას.

ნაშრომში განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში არსებული სპეციფიკური მიდგომები, კერძოდ, როგორ ხდება განაჩენის დასაბუთება და რამდენად შეესაბამება ეს პროცესი სამართლიანი სასამართლოს პრინციპს. ამ მიზნით, განიხილება ქართული სასამართლო პრაქტიკა, სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და მათში მოტივაციის ხარისხი.

კვლევა მოიცავს საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტებისა და სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების ანალიზს. ნაშრომის ფარგლებში

დეტალურად განიხილება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ევროკავშირის ინსტიტუტების, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის, აშშ-ის უმაღლესი სასამართლოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებები. შედარებით-სამართლებრივი ანალიზის ფარგლებში მოხდა რომანულ-გერმანული, ანგლოსაქსური და სხვა სამართლებრივი სისტემების მიდგომების განხილვა განაჩენის დასაბუთებასთან დაკავშირებით. ეს კვლევითი მიდგომა საქართველოს მართლმსაჯულების სისტემის ხარვეზების იდენტიფიცირების და მათი დამღევის ეფექტიანი საშუალებების შემუშავების შესაძლებლობას იძლევა.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზს, რათა შეფასდეს, რამდენად არის დაცული მართლმსაჯულების გამჭვირვალობა და სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის მაღალი სტანდარტი.

კვლევაში წარმოდგენილია სასამართლო პრაქტიკის ხარვეზები, რომლებიც განაჩენის დასაბუთებასთან დაკავშირებულ პრობლემებს ქმნიან. გარდა ამისა, ნაშრომი მოიცავს რეკომენდაციებს, რომლებიც მიზნად ისახავს სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების პროცესის გაუმჯობესებას, რათა ის შესაბამისობაში მოვიდეს საერთაშორისო სტანდარტებთან და უზრუნველყოფილი იყოს სამართლიანი სასამართლოს პრინციპების ეფექტიანი რეალიზაცია.

ლიტერატურის მიმოხილვა

დისერტაციაზე მუშაობის პროცესში საფუძვლიანად გავაანალიზეთ და შევისწავლეთ თემასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი სამეცნიერო წყაროები, სამართლებრივი დოკუმენტები, სასამართლო პრაქტიკა და ისტორიული ლიტერატურა. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სისხლის სამართლის პროცესის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, მათ შორის, სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების მნიშვნელობასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.

მუშაობის პროცესში დეტალურად გავაანალიზეთ ავტორიტეტული სკოლების თეორიული მიდგომები სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესის, კრიმინოლოგიის მიმართულებით. სამართლებრივი აზროვნების განვითარების თვალსაზრისით შევისწავლე სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკა და ნორმატიული რეგულაციები, რათა შემეძინა შედარებითი სურათი და გამოგვეტანა შესაბამისი დასკვნები.

კვლევის თეორიული ჩარჩოს განსაზღვრის მიზნით დავამუშავე როგორც ქართველი სამართალმცოდნეების ნაშრომები, ასევე, საერთაშორისო დონეზე აღიარებული მეცნიერების კვლევები. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა სისხლის სამართლის პროცესში სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების კონცეფციას, რაც პირდაპირ კავშირშია სამართლიანი სასამართლოს პრინციპთან, კანონიერებისა და სამართლიანობის უზრუნველყოფასთან.

დისერტაციაში მოცემული ანალიზი ემყარება სხვადასხვა წყაროებს, მათ შორის, სამართლებრივ დოქტრინას, საერთაშორისო კონვენციებს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ პრაქტიკას და საკანონმდებლო რეგულაციებს. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შემდეგ ავტორებს და მათ ნაშრომებს, რომლებიც გავლენას ახდენენ თანამედროვე სამართლებრივი აზროვნების ფორმირებაზე, მათ შორის ყურადსაღებია ქვემოთ ჩამოთვლილი ნაშრომები:

„სასამართლო გადაწყვეტილებების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანციებში: პრაქტიკული სახელმძღვანელო სამოქალაქო სამართლის საქმეების განხილველი მოსამართლეებისთვის“, 2020 - წარმოადგენს სახელმძღვანელოს, რომელიც მიზნად ისახავს სამოქალაქო საქმეების განხილვისას მოსამართლეებისათვის გადაწყვეტილებების სტრუქტურისა და ფორმის შესახებ პრაქტიკული რეკომენდაციების მიწოდებას. ამ სახელმძღვანელოში განხილულია შემდეგი საკითხები: გადაწყვეტილების სტრუქტურა: როგორ უნდა იყოს ორგანიზებული გადაწყვეტილება, რათა იგი იყოს გასაგები და სამართლებრივად გამართული. მტკიცებულებების შეფასება: როგორ უნდა შეაფასოს მოსამართლემ წარმოდგენილი მტკიცებულებები და როგორ უნდა ასახოს ეს შეფასება გადაწყვეტილებაში. სამართლებრივი არგუმენტაცია: როგორ უნდა ჩამოაყალიბოს მოსამართლემ სამართლებრივი არგუმენტები და როგორ უნდა დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება. პროცედურული ასპექტები: როგორ უნდა დაიცვას მოსამართლემ პროცედურული ნორმები და როგორ უნდა უზრუნველყოს მხარეების უფლებების დაცვა. ამ სახელმძღვანელოს მიზანია დაეხმაროს მოსამართლეებს გადაწყვეტილებების მომზადების პროცესში, რათა ისინი შეესაბამებოდეს სამართლებრივ მოთხოვნებს და უზრუნველყოფდეს სამართლიანობას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტ. კოლექტივი, გ. გიორგაძის რედ., თბ. - არის ერთ-ერთი ყველაზე ღირებული და საფუძვლიანი ნაშრომი სისხლის სამართლის საპროცესო სამართლის სფეროში. მისი ღირებულება რამდენიმე მიზეზით განისაზღვრება: ეს კომენტარი არ არის უბრალოდ კოდექსის ტექსტის განმარტება, არამედ ის სიღრმისეულად აანალიზებს თითოეულ მუხლს, მათ შინაარსს და პრაქტიკულ გამოყენებას. იგი ეხმარება როგორც პრაქტიკოს იურისტებს (მოსამართლეებს, პროკურორებს, ადვოკატებს), ასევე მკვლევარებსა და სტუდენტებს სამართლებრივი ნორმების უკეთ გაგებაში. ნაშრომში ხშირად

გვხვდება საერთაშორისო პრაქტიკისა და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზი, რაც კოდექსის განმარტებას უფრო ღირებულს ხდის ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. ეს ნაშრომი ერთ-ერთი საუკეთესო გზამკვლევაა მათთვის, ვინც მუშაობს სისხლის სამართლის პროცესში ან დაინტერესებულია ამ სფეროს სიღრმისეული შესწავლით. მისი მრავალმხრივი ანალიზი და პრაქტიკული სარგებლიანობა მას შეუცვლელ რესურსად აქცევს იურიდიული პროფესიონალებისთვის და მკვლევარებისთვის.

მახაროზლიძე თ., 2021 წელს გამოცემული ნაშრომი „არასრულწლოვანთა სასჯელების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები“ წარმოადგენს სიღრმისეულ კვლევას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში. ნაშრომის მიზანია საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში, განსაკუთრებით 2015 წელს მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის კონტექსტში. ავტორი განიხილავს არასრულწლოვანთა სასჯელების სახეებს, მათ დანიშვნასა და აღსრულებას, ასევე საერთაშორისო პრაქტიკასა და სხვა ქვეყნების გამოცდილებას. ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს სასამართლოების გადაწყვეტილებები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები, რაც ხელს უწყობს ეროვნული კანონმდებლობის გაუმჯობესებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.

შონიაძე დ., მოსამართლის შინაგანი რწმენის როლი სისხლის სამართალში. თბილისი: სამართლებრივი კვლევები, 2020 - ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლის შინაგანი რწმენა წარმოადგენს სასამართლო პროცესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიანი და ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას. ეს ნაშრომი მნიშვნელოვანია იურისტებისთვის, მკვლევარებისთვისა და

სტუდენტებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებით.

გელაშვილი ი., მოსამართლეთა პროფესიული სტანდარტები და ეთიკა. თბილისი: სამართლიანი სასამართლო. 2023 - ავტორი მიუთითებს რომ მოსამართლეთა პროფესიული სტანდარტები და ეთიკა წარმოადგენს სასამართლო სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიანი და ობიექტური სასამართლო პროცესების ჩატარებას. საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები დამტკიცებულია საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ და მიზნად ისახავს მოსამართლეთა პროფესიული ქცევის სტანდარტების განსაზღვრას, რათა უზრუნველყოს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა.

Michael Conklin-ის სტატია „Reasonable Doubt Ratcheting: How Jurors Adjust the Standard of Proof to Reach a Desired Result“ გამოქვეყნდა 2021 წელს North Dakota Law Review-ის 95-ე ტომში, გვერდი 281. სტატიაში ავტორი განიხილავს, თუ როგორ ცვლიან ნაფიც მსაჯულები „გონივრული ეჭვის“ სტანდარტს სასურველი შედეგის მისაღწევად. კვლევა აჩვენებს, რომ ნაფიც მსაჯულებს შეუძლიათ გაამკაცრონ ან შეამსუბუქონ მტკიცებულების სტანდარტი, რათა მიაღწიონ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მათ მიაჩნიათ სამართლიანად კონკრეტულ შემთხვევაში. ეს მიგნება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაზე, რადგან ის აჩვენებს, რომ „გონივრული ეჭვის“ სტანდარტი შეიძლება იყოს მოქნილი და დამოკიდებული ნაფიც მსაჯულთა სუბიექტურ აღქმებზე, რაც შეიძლება გამოიწვიოს არათანმიმდევრულ გადაწყვეტილებებს.

Antonio Cassese-ის „International Criminal Law“ (Oxford University Press, 2013) წარმოადგენს საერთაშორისო სისხლის სამართლის ყოვლისმომცველ შესავალს. ნაშრომი განიხილავს საერთაშორისო სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპებს, დანაშაულის კატეგორიებს (გენოციდი, ომის დანაშაულები, კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულები, აგრესია),

პასუხისმგებლობის ფორმებს და საერთაშორისო სასამართლოების (მათ შორის, ICC-ის) ფუნქციონირებას. ავტორი ყურადღებას ამახვილებს როგორც ისტორიულ განვითარებაზე, ისე თანამედროვე გამოწვევებზე, რაც მას მნიშვნელოვან წყაროდ აქცევს ამ სფეროში მომუშავე იურისტებისთვის, სტუდენტებისთვისა და მკვლევარებისთვის.

შტეფან ტრესელის „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“ (თბილისი, 2009) განიხილავს ადამიანის უფლებათა დაცვას სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა ეტაპზე. ნაშრომი მოიცავს დაკავების, წინასწარი პატიმრობის, სამართლიანი სასამართლოს, მტკიცებულებების მიღებისა და სასჯელის აღსრულების საკითხებს. ავტორი ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო და რეგიონულ სტანდარტებზე, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრაქტიკაზე.

ვოლფგანგ ფრიშის ნაშრომი „Von Beweisregeln über die freie zur strukturierten Beweiswürdigung“ (თომას ფიშერის რედაქტორობით გამოცემულ კრებულში **„Beweis“**, Baden-Badener Strafrechtsgespräche, ტომი 4, 2019) განიხილავს მტკიცებულებათა შეფასების ევოლუციას სისხლის სამართლის პროცესში. ავტორი აღწერს, თუ როგორ განვითარდა მტკიცებულებათა შეფასების პრაქტიკა კანონით განსაზღვრული წესებიდან თავისუფალი შეფასების პრინციპამდე და შემდგომ სტრუქტურირებულ მიდგომამდე. ფრიში ხაზს უსვამს, რომ თავდაპირველად სასამართლოები მიჰყვებოდნენ მკაცრ კანონით დადგენილ მტკიცებულებათა წესებს, რაც ხშირად იწვევდა უსამართლო შედეგებს. შემდგომში, თავისუფალი შეფასების პრინციპმა მისცა მოსამართლეებს მეტი დისკრეცია, თუმცა ესეც შეიცავდა სუბიექტურობის რისკებს. სტრუქტურირებული მტკიცებულებათა შეფასება კი ცდილობს დააბალანსოს თავისუფლება და ობიექტურობა, უზრუნველყოფს რა უფრო გამჭვირვალე და დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს.

ნაშრომში საფუძვლიანადაა განხილული ყველა ძირითადი წყარო და სამართლებრივი აქტი, რომელიც განაჩენის დასაბუთების საკითხს

შეეხება სისხლის სამართლის პროცესში. კვლევაში გამოყენებულია ქართული და საერთაშორისო სამართლებრივი ლიტერატურა, ასევე პრაქტიკული მაგალითები, რაც კვლევის მეცნიერულ ღირებულებასა და პრაქტიკულ მნიშვნელობას ზრდის. ასევე, გამოყენებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლებიც განსაზღვრავენ სამართლიანი სასამართლოს პრინციპებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების საერთაშორისო სტანდარტებს.

კვლევის პროცესში დამუშავდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და სხვა საკანონმდებლო აქტები, რომლებიც განაჩენის დასაბუთებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ რეგულირებას განსაზღვრავენ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საერთო სასამართლოების პრაქტიკას, რომელიც განაჩენის დასაბუთების ხარისხსა და პრობლემებს ასახავს. ასევე, გამოყენებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომელთა მეშვეობითაც ხდება სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების კონსტიტუციურ ჩარჩოში შეფასება.

გარდა ამისა, ნაშრომი მოიცავს საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზს, რაც ხელს უწყობს საქართველოს სასამართლო სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას. ეს მიდგომა სამართლიანი სასამართლოს პრინციპების რეალიზაციას და სასამართლო პრაქტიკის დახვეწას ემსახურება.

თავი I. განაჩენის ცნება და სახეები

1.1 განაჩენის ცნება

განაჩენი, სისხლის სამართლის პროცესში, წარმოადგენს სასამართლოს მიერ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებას, რომელიც აყალიბებს ბრალდებულის სამართლებრივ სტატუსს. მისი მნიშვნელობა ვლინდება სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფაში, სამართლიანობის პრინციპების დაცვასა და საზოგადოების ნდობის განმტკიცებაში მართლმსაჯულების მიმართ. განაჩენი არამარტო სისხლის სამართლის პროცესის დასრულების აქტია, არამედ ის ასახავს სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის ეფექტურობასა და სამართლიანობისადმი მისადაგებას.¹ განაჩენის განსაკუთრებული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ის განსაზღვრავს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ან უდანაშაულობის საკითხს მხოლოდ სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე. შესაბამისად, განაჩენი წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას. ამავდროულად, განაჩენი ასახავს სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას სამართლიანობა და კანონის უზენაესობა. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ განაჩენი ეფუძნება საქმეში არსებულ ყველა მტკიცებულებას, რაც სასამართლოს მიერ დეტალურად განიხილება.² გარდა ამისა, საერთაშორისო სამართლებრივი აქტებიც აღიარებენ განაჩენის მნიშვნელობას. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი ხაზს უსვამს სამართლიანი სასამართლოს პრინციპს, რომლის განუყოფელი ნაწილია დასაბუთებული განაჩენი.³ ეს პრინციპი განმარტებულია ადამიანის უფლებათა ევროპული

¹ ზაქარაძე ი., საქართველოს სისხლის სამართლის პრინციპები, თბ., 2015, გვ. 218;

² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხლი 260 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=164>

³ ქურდაძე ვ., სისხლის სამართლის პროცესის საკითხები, თბ., 2018, გვ. 145.

სასამართლოს გადაწყვეტილებებში, რომლებიც ადასტურებენ, რომ სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა აუცილებელია საზოგადოების დემოკრატიული ფუნქციონირებისათვის.⁴

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის მიხედვით, „განაჩენი წარმოადგენს სასამართლოს მიერ მიღებულ საბოლოო აქტს, რომელიც განსაზღვრავს საქმის შედეგს.“ ეს მუხლი ხაზს უსვამს სასამართლოს ვალდებულებას, რომ განაჩენი ეფუძნებოდეს საქმის მასალებს, სასამართლოში გამოკვლეულ მტკიცებულებებს და მოქმედ კანონმდებლობას. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს მართლმსაჯულების პროცესის სამართლიანობას და გადაწყვეტილების აღქმის სისწორეს როგორც მხარეებისთვის, ისე, საზოგადოებისთვის.⁵ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას გვხვდება ისეთი სამართლებრივი დოკუმენტები, როგორიცაა დადგენილებები, განჩინებები, საოქმო განჩინებები და სხვ. თუმცა, განაჩენი წარმოადგენს საქმის განხილვის შემაჯამებელ და საკვანძო ეტაპს, სადაც სასამართლო ასრულებს თავის ძირითად როლს - იღებს სამართლებრივ გადაწყვეტილებას ბრალდებულის უდანაშაულობის ან დამნაშავეობის შესახებ.⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, „განაჩენი არის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ცნობს ბრალდებულს დამნაშავედ ან ამართლებს მას.“⁷ ამ კონსტრუქციიდან გამომდინარეობს, რომ განაჩენის მიღებაზე ექსკლუზიური უფლებამოსილება მხოლოდ სასამართლოს ეკუთვნის, რაც ხაზს უსვამს ამ დოკუმენტის ინსტიტუციურ მნიშვნელობას.⁸

⁴ ECHR, Article 6; "Case of Suominen v. Finland," 2003, p. 23;

⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხლი 260 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=164>

⁶ საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, რედ. ლ. ფაფიაშვილი, თბ., 2017, გვ. 675;

⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხ. 258 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034>

⁸ Schunemann C., roxsin B., strafverfahrensrecht, 26 auflage, verlag C.H. beck – munchen, 2009, 286;

განაჩენი გამოიცემა საქართველოს სახელით, რაც მნიშვნელობას მისი სამართლებრივი ძალის საყოველთაოობაზე და სახელმწიფოს ვალდებულებაზე, მოახდინოს შესაბამისი რეაგირება დანაშაულებრივ ქმედებებზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაც ადასტურებს, რომ სასამართლოები ვალდებული არიან, მიიღონ გადაწყვეტილებები, რომლებიც სრულად ეფუძნება კანონიერ და დასაბუთებულ სამართლებრივ სტანდარტებს⁹. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სახელმწიფოს, მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით, შეუძლია განსაზღვროს პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ან უდანაშაულობა. ვლადიმერ ქურდაძე თავის ნაშრომში - „სისხლის სამართლის პროცესის საკითხები“, აღნიშნავს, რომ განაჩენი წარმოადგენს სამართლებრივი პროცესის ფინალურ აქტს, რომელიც ასახავს არა მხოლოდ სამართლებრივ, არამედ მორალურ და სოციალურ პრინციპებსაც.¹⁰ სწორი შეფასებისა და მტკიცებულებათა სათანადო კვლევის გარეშე შეუძლებელია სამართლიანი და ეფექტური მართლმსაჯულების უზრუნველყოფა. განაჩენის დასაბუთება წარმოადგენს არა მხოლოდ სამართლებრივ ვალდებულებას, არამედ აუცილებელ ინსტრუმენტს, რომელიც იცავს მხარეებს თვითნებობისგან. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, „განაჩენის დასაბუთება არის თვითნებობისგან დაცვის მექანიზმი.“¹¹

სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართლებრივი პროცესის გამჭვირვალობისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად. დასაბუთება სასამართლო გადაწყვეტილებას ხდის გასაგებს არა მხოლოდ მხარეებისთვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვისაც. ეს პრინციპი ხაზგასმულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში. ასე, მაგალითად, საქმეში „Hadjianastassiou v. Greece“ (1992) აღნიშნულია, რომ

⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/4/1312, 2020, გვ. 45;

¹⁰ ქურდაძე ვ., სისხლის სამართლის პროცესის საკითხები, თბ., 2018, გვ. 145;

¹¹ ბაქრაძე ი., საქართველოს სისხლის სამართლის პრინციპები, 2015, გვ. 220.

„დასაბუთების გარეშე სასამართლო გადაწყვეტილებები შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც არასამართლიანი და მიუკერძოებლობის არმქონე.“¹²

დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეებისთვის აუცილებელი ინსტრუმენტია, რათა მათ შეძლონ საკუთარი პოზიციების დაცვა და სამართლებრივი პროცესის სამართლიანობის შემოწმება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აპელაციის ან კასაციის ეტაპზე, სადაც განაჩენის ტექსტი განიხილება, როგორც მთავარი წყარო საქმის შესწავლისთვის. მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს N1/5/1347 გადაწყვეტილებაში ხაზგასმულია, რომ „დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, გააცნობიერონ, თუ რატომ და როგორ იქნა მიღებული კონკრეტული განაჩენი.“¹³ დასაბუთების გარეშე ძნელია დადგინდეს, რამდენად სწორად მოხდა ფაქტების დადგენა და კანონის შეფარდება. ეს არამარტო არღვევს სამართლიანი სასამართლოს პრინციპს, არამედ ზიანს აყენებს საზოგადოების ნდობას მართლმსაჯულების სისტემისადმი. როგორც ვლადიმერ ქურდაძე აღნიშნავს, „დასაბუთებული გადაწყვეტილება ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ საზოგადოებამ ირწმუნოს სასამართლო გადაწყვეტილების სისწორე“.¹⁴ დასაბუთებული განაჩენი აუცილებელია სამართლებრივი პროცესის ეფექტურობისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად. მისი მნიშვნელობა ვლინდება არა მხოლოდ კონკრეტული საქმის მართებულობაში, არამედ სასამართლო სისტემისადმი საზოგადოების ნდობის გაძლიერებაშიც. ეს პრინციპი მნიშვნელოვანია როგორც ქართული, ისე, საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკისათვის.¹⁵

განაჩენი ასრულებს სისხლის სამართლის პროცესის მთავარ მიზანს – განსაზღვრავს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას და ამით სრულდება სასამართლო პროცესი. მასში აისახება სასამართლოს მიერ მტკიცებულებების ობიექტური შეფასება და მათი სამართლებრივი ანალიზი.

¹² ECHR, *Hadjianastassiou v. Greece*, 1992, p. 45;

¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/5/1347, 2020, გვ. 25;

¹⁴ ბაქრაძე ი., საქართველოს სისხლის სამართლის პრინციპები, თბ., 2015, გვ. 220.

¹⁵ ECHR, Article 6 „*Hadjianastassiou v. Greece*,“ 1992, p. 45;

საერთაშორისო სამართლის პრინციპების თანახმად, ეს აუცილებელია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, რომელიც ეხება სამართლიანი სასამართლოს პრინციპებს, პირდაპირ მოითხოვს, რომ განაჩენი იყოს დასაბუთებული, რათა უზრუნველყოს მხარეების ნდობა სასამართლო პროცესის სამართლიანობისადმი.¹⁶ განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ სასამართლოში გამოკვლეულ მტკიცებულებებს, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრინციპია. მის დასაბუთებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება მტკიცებულებების შეფასების მეთოდებს, რაც განპირობებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით.¹⁷ მისი დასაბუთება აუცილებელია, რათა მხარეებმა და საზოგადოებამ აღიარონ გადაწყვეტილების სამართლიანობა და კანონიერება. განაჩენი, კანონიერი ძალის მიღებასთან ერთად, სავალდებულოა ყველა მხარისათვის. მისი აღსრულება უზრუნველყოფს სამართლებრივი ნორმების უზენაესობას და დემოკრატიული პრინციპების დაცვას. როგორც UNODC-ის ანგარიშშია აღნიშნული, „სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება უზრუნველყოფს საზოგადოებრივ ნდობას სამართლებრივი სისტემისადმი.“¹⁸ განაჩენი წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს ქვაკუთხედს, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ინდივიდუალური უფლებების დაცვას, ისე, საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებას. მისი დასაბუთება აუცილებელია როგორც სასამართლოსადმი ნდობის, ისე, კანონის უზენაესობის უზრუნველსაყოფად. ის ასახავს სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს, რაც განსაზღვრავს მართლმსაჯულების სისტემის ხარისხს.¹⁹ განაჩენის ცნების და მისი სამართლებრივი მნიშვნელობის ფორმირება უკავშირდება სამართლის ისტორიულ განვითარებას. რომაულ სამართალში

¹⁶ ECHR, Article 6; "Case of Suominen v. Finland," 2003, p. 23;

¹⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N2/482, 2020 წლის 15 ივლისი, გვ. 15;

¹⁸ UNODC, The Role of Prosecutors in Criminal Proceedings, 2015, p. 37.

¹⁹ Blackstone W., Commentaries on the Laws of England, Vol. 4, Oxford, 1769, p. 213;

განაჩენი აღიქმებოდა, როგორც მსჯავრის (iudicium) გამოხატულება, რაც განსაზღვრავდა სამართლებრივი პროცესის დასრულებას და გადაწყვეტილების სამართლიანობის უზრუნველყოფას. რომაულ სამართალში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ განაჩენი გამომდინარეობდეს ობიექტური მტკიცებულებების შეფასებიდან, რაც საფუძვლად დაედო სამართლებრივი პრინციპების შემდგომ განვითარებას.²⁰

შუა საუკუნეების რომანულ-გერმანულ სამართლებრივ სისტემებში, სამართლებრივი პროცესის განვითარება კიდევ უფრო მეტად დაყრდნობილი იყო განაჩენის დასაბუთებაზე.²¹ კერძოდ, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ ფორმალურად სწორი, არამედ, მორალურად და სამართლებრივად გამართლებული. ეს მოთხოვნა ასახულია გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც, სადაც განაჩენის დასაბუთება ითვლება მისი სავალდებულო ატრიბუტად.²² რომანულ-გერმანული სამართლის ქვეყნები, როგორებიცაა გერმანია და საფრანგეთი, გამოირჩევიან დეტალური სამართლებრივი რეგულაციებით, რომლებიც განაჩენის დასაბუთებას სავალდებულო ელემენტად განიხილავენ. მაგალითად, გერმანიის სასამართლო ვალდებულია, თითოეული მტკიცებულება დეტალურად შეაფასოს და განაჩენის ტექსტში ასახოს მათი სამართლებრივი მნიშვნელობა.²³ საფრანგეთში კი დასაბუთებული განაჩენი ასახავს არა მხოლოდ სამართლებრივ, არამედ სოციალური პასუხისმგებლობის ასპექტსაც, რაც სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებაში მტკიცებულებების სიღრმისეულ ანალიზს მოითხოვს.

ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნებში, როგორებიცაა აშშ და დიდი ბრიტანეთი, პრეცედენტული სამართალი განაჩენის მიღების ძირითად

²⁰ Buckland W., A Textbook of Roman Law, 1921, p. 243;

²¹ Suominen v. Finland. ECtHR. #37801/97, 1/07/2004, 37;

²² German Code of Criminal Procedure, Section 267.

²³ Tiedemann K., The Role of Courts in Criminal Proceedings, Springer, 2014, p. 95;

საფუძვლად ითვლება. სასამართლოები ვალდებული არიან, გაითვალისწინონ წინა პრეცედენტები და მათი სამართლებრივი ანალიზი. ეს სისტემა უზრუნველყოფს სტაბილურობას და სამართლებრივი პროცესის პროგნოზირებადობას. მაგალითად, ინგლისში „Stare Decisis“ პრინციპი მოითხოვს, რომ სასამართლოები დაეყრდნონ წინა გადაწყვეტილებებს და მათი სამართლებრივი არგუმენტები განაჩენის ტექსტში ასახონ.²⁴

სკანდინავიური სამართლის ქვეყნები, როგორებიცაა შვედეთი და ნორვეგია, გამოირჩევიან მოქნილი და პრაქტიკაზე ორიენტირებული მიდგომებით. ამ ქვეყნებში განაჩენის დასაბუთება უფრო კონცენტრირებულია მორალური და სოციალური ეფექტების შეფასებაზე, რაც უზრუნველყოფს სწრაფ და ეფექტურ მართლმსაჯულებას. ნორვეგიის სასამართლო სისტემა, მაგალითად, ახორციელებს სამართლებრივი პროცესის მაქსიმალურ გამჭვირვალობას და გადაწყვეტილებების დეტალურ ახსნას.²⁵ განაჩენის სამართლებრივი მნიშვნელობა და მისი ფორმირების ისტორიული განვითარება ასახავს იმ განსხვავებულ მიდგომებს, რომლებიც სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების ნაწილია. რომაულ სამართალში, დაწყებული პრინციპებიდან, რომანულ-გერმანულ დეტალურ ანალიზამდე და ანგლოსაქსურ პრეცედენტულ მოდელამდე, განაჩენის დასაბუთება რჩება სამართლებრივი პროცესის უმთავრეს ელემენტად, რაც უზრუნველყოფს სამართლიანობის პრინციპების დაცვას და საზოგადოების ნდობის განმტკიცებას მართლმსაჯულების სისტემისადმი.

1.2. განაჩენის სახეები

განაჩენის სახეები სისხლის სამართლის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართლებრივი სისტემის ეფექტურობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფაში. მათი მრავალფეროვნება საშუალებას აძლევს სასამართლოებს, თითოეული საქმე განიხილონ მის სპეციფიკაზე

²⁴ Blackstone W., Commentaries on the Laws of England, Vol. 4, Oxford, 1769, p. 213;

²⁵ Kramp O., Nordic Criminal Justice in a Global Context, Routledge, 2020, p. 88.

მორგებული მიდგომებით. საქართველოს სამართლებრივი პრაქტიკაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა განაჩენების კლასიფიკაციას სამართლებრივი შედეგების, მიზნების და შინაარსის მიხედვით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განმარტავს, რომ განაჩენის თითოეული სახეობა უნდა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ სამართლებრივ, არამედ მორალურ და სოციალურ პრინციპებსაც.²⁶

ქართული სამართლის ტრადიციებში, სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენები მოიცავს როგორც მტკიცებულებების დეტალურ ანალიზს, ისე, საზოგადოების ნდობის განმტკიცებას მართლმსაჯულებისადმი. აღნიშნული მიდგომა ხაზგასმულია იოსებ ბაქრაძის ნაშრომში, რომელიც აღნიშნავს, რომ „საქართველოს სასამართლოები ვალდებული არიან, გადაწყვეტილებები მიიღონ სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით, რაც განაჩენის დასაბუთებასთან მჭიდრო კავშირშია“²⁷.

მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, რომ სკანდინავიური ქვეყნები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ განაჩენის სოციალური და მორალური ასპექტების ანალიზს, რაც უზრუნველყოფს სამართლებრივი პროცესის ჰარმონიულ ფუნქციონირებას. მაგალითად, ნორვეგიაში სასამართლო გადაწყვეტილებები შეესაბამება როგორც სამართლებრივ, ისე, სოციალურ მოთხოვნებს.²⁸ სკანდინავიის სამართლებრივი სისტემები, ასევე, გამოირჩევიან განაჩენების მოქნილი და პრაქტიკული მიდგომით. შვედეთსა და ნორვეგიაში სასამართლო გადაწყვეტილებებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოციალურ და მორალურ ასპექტებს, რაც განაჩენის სამართლიანობის აღქმას აუმჯობესებს და საზოგადოებრივ ნდობას აძლიერებს.²⁹

²⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხლი 260 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=164>

²⁷ ბაქრაძე ი., საქართველოს სისხლის სამართლის პრინციპები, თბ., 2015, გვ. 220.

²⁸ Kramp O., Nordic Criminal Justice in a Global Context, Routledge, 2020, p. 88;

²⁹ Merrills J. G., The Development of International Law by the European Court of Human Rights, Manchester University Press, 1993, p. 78;

იტალიის სისხლის სამართლის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა განაჩენის შინაარსობრივ და ფორმალურ ნაწილებს, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების სრულყოფილად დასაბუთებას. იტალიურ სამართალში განაჩენების ძირითადი მახასიათებელია მათი დეტალური ახსნა, რომელშიც ასახულია ყველა მტკიცებულება და არგუმენტი, რაც უზრუნველყოფს სასამართლო გადაწყვეტილების სანდოობას და ნდობას.³⁰ განაჩენების კლასიფიკაცია ხშირად ხდება სამართლებრივი შედეგების მიხედვით, რაც მათ პრაქტიკულ და სტრუქტურულ სიმარტივეს განაპირობებს. საერთაშორისო დონეზე, სისხლის სამართლის ტრიბუნალებში, როგორცაა იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალი, განაჩენების სტანდარტიზაცია მიზნად ისახავს არა მხოლოდ სამართლიანობის უზრუნველყოფას, არამედ სამართლებრივი სისტემის ეფექტურობის გაზრდას.³¹

მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ სამართლებრივი კულტურები და ტრადიციები განაპირობებენ განაჩენების სტრუქტურისა და დასაბუთების მრავალფეროვნებას. ანგლოსაქსურ და რომანულ-გერმანულ სისტემებს შორის არსებული განსხვავებები ხაზს უსვამს პრეცედენტული და ნორმატიული სამართლის მიდგომების სპეციფიკას. მაგალითად, აშშ-ში ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გამჭვირვალობა განაჩენებისადმი საზოგადოების ნდობას მნიშვნელოვნად ზრდის.³² ასეთი მრავალფეროვანი მიდგომები უზრუნველყოფენ არა მხოლოდ ინდივიდუალური, არამედ საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას, რაც სისხლის სამართლის პროცესის ფუნდამენტურ ნაწილს წარმოადგენს.

1.2.1. გამამტყუნებელი განაჩენი

გამამტყუნებელი განაჩენი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებაა, რომელიც ადგენს, რომ ბრალდებული დამნაშავეა

³⁰ Cassese A., *International Criminal Law*, Oxford University Press, 2013, p. 45;

³¹ Richard M., *Essentials of International Criminal Law*, Cambridge University Press, 2009, p. 102.

³² Nancy Amoury Combs, *Fact-Finding Without Facts*, Cambridge University Press, 2010, p. 134;

ჩადენილ დანაშაულში. ასეთი განაჩენის საფუძველზე, სასამართლო მას აკისრებს შესაბამის სასჯელს, რომელიც უნდა იყოს როგორც სამართლიანი, ისე, კანონის პრინციპებთან შესაბამისობაში. ამ გადაწყვეტილებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მტკიცებულებების შეფასებისა და მათი სისწორის სრულყოფილ ანალიზს.

საქართველოს სამართლებრივი პრაქტიკა, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (მუხლი 260), ითვალისწინებს, რომ სასამართლომ დეტალურად უნდა განმარტოს, თუ რომელი მტკიცებულებები გახდა საფუძველი ბრალდებულის დამნაშავედ ცნობისათვის. ეს დასაბუთება უზრუნველყოფს განაჩენის სამართლიანობას და მის სანდოობას როგორც მხარეებისთვის, ისე, საზოგადოებისათვის.³³

საერთაშორისო დონეზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, გამამტყუნებელ განაჩენთან დაკავშირებით, ხაზს უსვამს დასაბუთების სტანდარტებს. მაგალითად, „Case of Barberà, Messegue and Jabardo v. Spain“ (1988) აჩვენებს, რომ გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს ობიექტური და სათანადო მტკიცებულებების საფუძველზე მიღებულ დასკვნებს.³⁴

ამგვარი მიდგომები, ასევე, გვხვდება რომანულ-გერმანული სამართლის ქვეყნებში, სადაც გამამტყუნებელი განაჩენის დასაბუთება დეტალურად უნდა მოიცავდეს ყველა არსებით საკითხს, რაც გადაწყვეტილების სამართლიანობისა და სამართლებრივი ძალის საფუძველია.³⁵

1.2.2. გამამართლებელი განაჩენი

გამამართლებელი განაჩენი იმ შემთხვევაში მიიღება, თუ სასამართლო დაასკვნის, რომ ბრალდებულის წინააღმდეგ წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისი არ არის მისი დამნაშავედ ცნობისთვის. ასეთი

³³ ბაქრაძე ი., საქართველოს სისხლის სამართლის პრინციპები, თბ., 2015, გვ. 225.

³⁴ ECHR., Case of Barberà, Messegue and Jabardo v. Spain., 1988;

³⁵ Tiedemann K., The Role of Courts in Criminal Proceedings, Springer, 2014, p. 95;

გადაწყვეტილება ასახავს სასამართლოს ვალდებულებას, დაიცვას უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი,³⁶ რომელიც ფუნდამენტური ღირებულებაა საქართველოს და საერთაშორისო სამართლებრივ სისტემებში. გამამართლებელი განაჩენის შემთხვევაში, სასამართლო ვალდებულია დეტალურად განმარტოს, თუ რატომ ვერ დააკმაყოფილა წარმოდგენილმა მტკიცებულებებმა კანონის მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების გამჭვირვალობას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითხოვს, რომ სასამართლომ ყურადღება მიაქციოს მტკიცებულებების საკმარისობას და სანდოობას, როგორც გამამართლებელი განაჩენის ძირეულ პირობას.³⁷ ვლადიმერ ქურდაძე თავის ნაშრომი ხაზს უსვამს, რომ „სასამართლოები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ ბრალდებულის უფლებების მაქსიმალური დაცვა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მტკიცებულებები არ შეესაბამება ბრალის დასამტკიცებელ სტანდარტს“.³⁸

საერთაშორისო სტანდარტებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი ხაზს უსვამს სამართლიანი სასამართლოს პრინციპს, რომლის განუყოფელი ნაწილი გამამართლებელი განაჩენის დასაბუთებაა. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე „Case of Salabiaku v. France“ (1988), განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მტკიცებულებების არასაკმარისობის საკითხს და მათი სამართლებრივი მნიშვნელობის არგუმენტირებას.

გარდა ამისა, სკანდინავიური სამართლის ქვეყნები, როგორცაა შვედეთი და ნორვეგია, მკაფიოდ აჩვენებენ, რომ გამამართლებელი განაჩენი არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ სოციალური ნდობის განმტკიცებასაც ემსახურება.³⁹ მსგავსი მიდგომები გვხვდება იტალიურ სამართალში, სადაც

³⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტ. კოლექტივი, გ. გიორგაძის რედ., თბ., 2015, გვ. 145;

³⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხლი 260 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=164>

³⁸ ქურდაძე ვ., სისხლის სამართლის პროცესის საკითხები, თბ., 2018, გვ. 145;

³⁹ Kramp O., Nordic Criminal Justice in a Global Context, Routledge, 2020, p. 88;

გამამართლებელი განაჩენები გამორჩეულია დეტალური დასაბუთებით, რაც ქმნის ნდობას სასამართლო სისტემისადმი.⁴⁰ გამამართლებელი განაჩენი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება საერთაშორისო სისხლის სამართალს. მაგალითად, იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალის გადაწყვეტილებებში ნაჩვენებია, რომ გამამართლებელი განაჩენი ხელს უწყობს სამართლებრივი პროცესის სანდოობის ზრდას, განსაკუთრებით, პოლიტიკურად სენსიტიური საქმეების განხილვისას.⁴¹

1.2.3. შერეული განაჩენი

შერეული განაჩენი გულისხმობს იმ შემთხვევას, როდესაც ბრალდებულის ქმედებების ნაწილი შეფასებულია, როგორც დანაშაულებრივი, ხოლო სხვა ნაწილი ის არ ითვლება დამნაშავედ. ასეთი განაჩენი, როგორც წესი, მიიღება იმ შემთხვევაში, თუ ბრალდების ზოგიერთი ეპიზოდზე წარმოდგენილი მტკიცებულებები არ არის საკმარისი ან მათ სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს, რომ შერეული განაჩენი უნდა იყოს სრულად დასაბუთებული. ამასთან, სასამართლოს ვალდებულებაა, განმარტოს, თუ რომელი ეპიზოდები შეესაბამება ბრალის სტანდარტს და რომლები არა. ვლადიმერ ქურდაძის ნაშრომში ხაზგასმულია, რომ „შერეული განაჩენები აუცილებელია სამართლებრივი ბალანსის შესანარჩუნებლად, განსაკუთრებით, რთულ საქმეებში, სადაც ბრალის და უდანაშაულობის საკითხები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული.“⁴²

საერთაშორისო პრაქტიკაში, შერეულ განაჩენებს ვხვდებით იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალის გადაწყვეტილებებთან

⁴⁰ Cassese A., International Criminal Law, Oxford University Press, 2013, p. 45;

⁴¹ Richard M., Essentials of International Criminal Law, Cambridge University Press, 2009, p. 102.

⁴² ქურდაძე ვ., სისხლის სამართლის პროცესის საკითხები, თბ., 2018, გვ. 148;

მიმართებაში.⁴³ ანალოგიურად, შვედური სამართლის ტრადიციებში, შერეული განაჩენები მიიჩნევა სამართლებრივი პროცესის მოქნილი ინსტრუმენტად, რომელიც უზრუნველყოფს ბრალდებულის უფლებებისა და საზოგადოების ინტერესების ბალანსს.⁴⁴

1.2.4. ნაფიც მსაჯულთა განაჩენი

სპეციფიკურობით გამოირჩევა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გადაწყვეტილებები. ამერიკის შეერთებულ შტატებში ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი განიხილება, როგორც დემოკრატიული მართლმსაჯულების გამოხატულება. ასეთი სისტემა საშუალებას აძლევს ჩვეულებრივ მოქალაქეს, უშუალოდ ჩაერთოს მართლმსაჯულების განხორციელებაში, რაც იწვევს სასამართლო პროცესების გამჭვირვალობას და მის მიმართ ნდობის ზრდას.

ამასთან, ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილებები ხშირად საჭიროებენ დამატებით დასაბუთებას მოსამართლეთა მხრიდან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება სამართლებრივი პრინციპების განმარტებას და მათი პრაქტიკაში გამოყენებას. ასე, მაგალითად,⁴⁵ საქმეში „*Bushell's Case*“ (1670) განმარტებულია, რომ ნაფიც მსაჯულებს აქვთ უფლება, გადაწყვეტილება მიიღონ საკუთარი შეხედულებისამებრ, თუმცა, მოსამართლის ვალდებულებას, გადაწყვეტილება იყოს დასაბუთებული სამართლებრივად და ფორმალურად.⁴⁶

სკანდინავიურ სამართლებრივ სისტემებში ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილებებს შედარებით იშვიათად ვხვდებით, თუმცა, მას ახასიათებს დიდი აქცენტი სოციალურ კონტექსტზე. მაგალითად, ნორვეგიის სასამართლო სისტემა ნაფიც მსაჯულებს სთავაზობს მტკიცებულებების დინამიურ ანალიზს, რაც გადაწყვეტილებებს უფრო სამართლიანსა და სანდოს ხდის.⁴⁷

⁴³ Richard M., *Essentials of International Criminal Law*, Cambridge University Press, 2009, p. 110;

⁴⁴ Kramp O., *Nordic Criminal Justice in a Global Context*, Routledge, 2020, p. 95.

⁴⁵ *Bushell's Case* (1670);

⁴⁶ Blackstone W., *Commentaries on the Laws of England*, Vol. 4, Oxford, 1769, p. 213;

⁴⁷ Kramp O., *Nordic Criminal Justice in a Global Context*, Routledge, 2020, p. 110;

საქართველოს სამართლებრივ სისტემაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედარებით ახალი ინსტიტუტია, თუმცა, მისი მნიშვნელობა სწრაფად იზრდება. ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთება განსაკუთრებით კრიტიკულია, რათა უზრუნველყოფილ იყოს მათი სამართლიანობა და ნდობა საზოგადოების მხრიდან.⁴⁸

მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გადაწყვეტილებები ხშირად არის სამართლებრივი და სოციალური პრინციპების შერწყმის მაგალითი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეში „Taxquet v. Belgium“ (2010), განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილების დასაბუთების ხარისხს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სამართლიანი სასამართლოს პრინციპების დაცვა.⁴⁹

1.2.5. პრეცედენტული განაჩენი

პრეცედენტული განაჩენი ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნებში მოქმედებს, როგორც მომავალი გადაწყვეტილებების საფუძველი. ასეთი განაჩენების მთავარი ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ქმნიან სამართლებრივი სტაბილურობის გარანტიას და უზრუნველყოფენ სამართლებრივი პრინციპების თანმიმდევრულ განვითარებას. მათი სამართლებრივი მნიშვნელობა განსაზღვრავს არა მხოლოდ კონკრეტული საქმის შედეგებს, არამედ, ზოგადად, სამართლებრივი სისტემის განვითარებასაც.

დიდ ბრიტანეთში „Stare Decisis“ პრინციპი განსაზღვრავს სასამართლო პრაქტიკის სტაბილურობას. ეს პრინციპი გულისხმობს, რომ სასამართლოები ვალდებული არიან, გაითვალისწინონ წინა სასამართლოების მიერ მიღებული პრეცედენტები. მაგალითად, ⁵⁰ საქმეში „London Street Tramways v. London County Council“ (1898) ხაზგასმულია

⁴⁸ ბაქრაძე ი., საქართველოს სისხლის სამართლის პრინციპები, თბ., 2015, გვ. 228.

⁴⁹ ECHR, Taxquet v. Belgium., 2010;

⁵⁰ London Street Tramways Co Ltd v London County Council., 1898. AC 375;

პრეცედენტების დაცვაზე დაყრდნობა, როგორც სამართლებრივი პროგნოზირებადობის განმტკიცების ინსტრუმენტი.⁵¹

ამერიკის შეერთებულ შტატებში, პრეცედენტული განაჩენები კიდევ უფრო ფართოდ გამოიყენება.⁵² საქმეში „Marbury v. Madison“ (1803) ასახულია პრეცედენტული სამართლის მეშვეობით სასამართლო ძალაუფლების განმტკიცების მაგალითი. აღნიშნული პრეცედენტი არა მხოლოდ სასამართლო კონტროლის იდეას აფუძნებს, არამედ სამართლებრივი სისტემის განვითარების პროცესშიც მონაწილეობს.⁵³

ქართული სამართლებრივი პრაქტიკა პრეცედენტულობის პრინციპს ნაკლებად ეფუძნება, თუმცა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ხშირად გვევლინება ზოგადი სამართლებრივი პრინციპების განმსაზღვრელ სტანდარტად. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის გადაწყვეტილებაში (N1/5/1275) ხაზგასმულია პრინციპი, რომ სასამართლოები ვალდებული არიან, გაითვალისწინონ საკონსტიტუციო სამართლის ძირითადი პრინციპები კონკრეტულ საქმეებში.⁵⁴

პრეცედენტული სამართლის მნიშვნელობა კარგად ჩანს საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალების პრაქტიკაში. მაგალითად, იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალის საქმე „Prosecutor v. Tadić“ (1995) აჩვენებს, რომ პრეცედენტები ხელს უწყობენ სამართლებრივი ნორმების ჰარმონიზაციას და სამართლებრივი პროცესის გამჭვირვალობას.⁵⁵

⁵¹ Blackstone W., Commentaries on the Laws of England, Vol. 4, Oxford, 1769, p. 213;

⁵² Marbury v. Madison, 5 U.S. (1 Cranch) 137 (1803) - აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება.

⁵³ Tiedemann K., The Role of Courts in Criminal Proceedings, Springer, 2014, p. 95;

⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/5/1275, 2020, გვ. 25;

⁵⁵ Richard M., Essentials of International Criminal Law, Cambridge University Press, 2009, p. 120.

თავი II. სისხლის სამართლის პროცესში განაჩენის გამოტანისთვის დადგენილი სტანდარტები

სისხლის სამართლის პროცესში განაჩენის გამოტანა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს, რადგან მასზეა დამოკიდებული არა მხოლოდ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის შედეგი, არამედ, ზოგადად, მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოების ნდობა. განაჩენის გამოტანის პროცესი ეფუძნება სამართლებრივი პრინციპების ერთობლიობას, რომლებიც განისაზღვრება როგორც ეროვნული, ასევე, საერთაშორისო სამართლის ფარგლებში. აღნიშნული სტანდარტები უზრუნველყოფს სასამართლოს მიერ ობიექტური, სამართლიანი და კანონის მოთხოვნებთან შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას. სხვადასხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტი, მათ შორის, ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია⁵⁶ განსაზღვრავს სასამართლოს მიუკერძოებლობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების გარანტიებს.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია და 2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავენ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს, რომელიც ერთ-ერთ უმთავრეს საყრდენს წარმოადგენს განაჩენის გამოტანის პროცესში. სისხლის სამართლის პროცესში, მტკიცებულებათა შეფასებისას, მოქმედებს პრინციპი, რომლის მიხედვითაც, პირის ბრალეულობა უნდა დადასტურდეს „გონივრული ეჭვის მიღმა“ სტანდარტით, რაც საერთაშორისოდ აღიარებული მიდგომაა.⁵⁷ განაჩენის გამოტანისას აუცილებელია სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს მოსამართლის თავისუფლებას ნებისმიერი გარე ზეწოლისგან.⁵⁸ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უნდა იყოს დასაბუთებული და არგუმენტირებული, რაც

⁵⁶ ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1950, მუხლი 6. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>

⁵⁷ In re Winship, 397 U.S. 358 (1970) – აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება.

⁵⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხლი 10 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=164>

ევროსასამართლოს პრაქტიკის⁵⁹ და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების მიხედვით, აუცილებელი პირობაა სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფისათვის. განაჩენის გამოტანისას სასამართლო უნდა დაეყრდნოს მხოლოდ კანონიერ მტკიცებულებებს, რაც, ასევე, წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის არსებით პრინციპს.⁶⁰ უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება დაუშვებელია, რაც აღიარებულია როგორც საქართველოს, ასევე, საერთაშორისო სამართლის პრაქტიკაში.⁶¹

ამრიგად, განაჩენის გამოტანისათვის აუცილებელი სტანდარტები ემყარება სამართლებრივი წესრიგის ფუნდამენტურ პრინციპებს, რომელთა დაცვა უზრუნველყოფს მართლმსაჯულების სისტემის ლეგიტიმურობას და საზოგადოების ნდობას მის მიმართ.

2.1. უდანაშაულობის პრეზუმფცია

უდანაშაულობის პრეზუმფცია სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია, რომელიც განაპირობებს ბრალდებულის სამართლებრივი დაცვის მექანიზმებს. აღნიშნული პრინციპის საფუძველზე, ნებისმიერ პირს ენიჭება უდანაშაულობის სტატუსი, სანამ მისი დანაშაული არ დადასტურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით.⁶²

საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკა უდანაშაულობის პრეზუმფციას განიხილავს, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარანტიას. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ საქმეში მიუთითებს, რომ აღნიშნული

⁵⁹ ECHR., Case of Hadjianastassiou v. Greece., 1992;

⁶⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხლი 75 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=164>

⁶¹ Mapp v. Ohio, 367 U.S. 643., 1961 – აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება.

⁶² საქართველოს კონსტიტუცია, 1995, მუხლი 40 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

პრინციპი მოითხოვს, სახელმწიფომ არ განიხილოს ბრალდებული, როგორც დამნაშავე, სანამ მისი დანაშაული კანონიერად არ იქნება დადგენილი.⁶³

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს, რომ ბრალდებულს არ ეკისრება ვალდებულება, დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა, ხოლო ნებისმიერი ეჭვი, რომელიც არ აღმოიფხვრება სამართლებრივი საფუძვლით, უნდა განიმარტოს ბრალდებულის სასარგებლოდ.⁶⁴ უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის სამართლიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია. მისი დარღვევა, შესაძლოა, გამოიხატოს როგორც საჯარო განცხადებებში ბრალდებულის წინასწარ დამნაშავედ წარმოჩენით, ასევე, სასამართლო პროცესში არასათანადო მტკიცებულებების გამოყენებით.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეში შეაფასა უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვა, როგორც პროცესის სამართლიანობის მნიშვნელოვანი კომპონენტი. მაგალითად, საქმეში „კასტრავეტი მოლდოვის წინააღმდეგ“, სასამართლომ დაადგინა, რომ ბრალდებულსა და მის ადვოკატს შორის ფიზიკური ბარიერი ხელს უშლიდა კომუნიკაციას და შესაბამისად, სრულფასოვან დაცვას.⁶⁵ გარდა ამისა, ფსიქოლოგიური დაცვის მნიშვნელობა გამოიკვეთა საქმეში „რამიშვილი და კოხრეიძე საქართველოს წინააღმდეგ“, სადაც სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ განსასჯელის მოთავსება რკინის გალიაში და ნიღბიანი მცველებით გარშემორტყმა არღვევდა სამართლიანი სასამართლოს გარანტიებს და წარმოადგენდა უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას.⁶⁶ უდანაშაულობის პრეზუმფცია ერთ-ერთი ფუნდამენტური და უძველესი სამართლებრივი პრინციპია, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სისხლის სამართლის პროცესში დემოკრატიული საწყისების

⁶³ ECHR., Case of Barberà, Messegué and Jabardo v. Spain., 1988;

⁶⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხლი 19 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=164>

⁶⁵ ECHR., Castravet v. Moldova., 2007;

⁶⁶ ECHR., Ramishvili and Kokhreidze v. Georgia., 2009;

ჩამოყალიბებასა და განვითარებას. აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია როგორც საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში, ასევე, შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში, რაც ხაზგასმით მიუთითებს მის მნიშვნელოვან როლზე სამართლებრივი სისტემის ფორმირებაში.⁶⁷

დანაშაულის დამტკიცების პროცესში მტკიცების ტვირთი მთლიანად ბრალდების მხარეს ეკისრება. ეს ნიშნავს, რომ ბრალმდებელს მოეთხოვება როგორც თავად დანაშაულის ფაქტის დადასტურება, ასევე იმის მტკიცება, რომ ბრალდებული არის ის პირი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა⁶⁸ აღნიშნული პრინციპი კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან უზრუნველყოფს, რომ ბრალდებული არ ჩაითვალოს დამნაშავედ მანამ, სანამ მისი ბრალეულობა სათანადო სამართლებრივი პროცედურების დაცვით არ დადასტურდება. უდანაშაულობის პრეზუმფცია განსაკუთრებული გარანტიაა ბრალდებულის სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით. აღნიშნული პრინციპი მოიცავს ყველას თანასწორ მოპყრობას და გულისხმობს, რომ ყოველი ადამიანი უდანაშაულოდ უნდა ჩაითვალოს, სანამ სასამართლო, კანონით განსაზღვრული პროცედურების დაცვით, მის მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს არ გამოიტანს.⁶⁹ შესაბამისად, დაუშვებელია პირის დამნაშავედ გამოცხადება მანამ, სანამ ეს სათანადო სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით არ დადასტურდება.⁷⁰ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, უდანაშაულობის პრეზუმფციის მხოლოდ ფორმალურად დაცვა არ არის საკმარისი. განხილვაში მონაწილე პირებმა უნდა უზრუნველყონ ფსიქოლოგიური გარემოს შექმნაც. მხოლოდ ის ფაქტი, რომ სასამართლო ან ბრალდების მხარე ბრალდებულს წინასწარ არ

⁶⁷ საქართველოს კონსტიტუცია, 1995, მუხლი 40

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

⁶⁸ ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 6.2 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>

⁶⁹ „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 26 აპრილის #25091/07 განჩინება

⁷⁰ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მუხლი 40, თბილისი, 2013. გვ. 489. (მოქმედი, 2018 წლის, კონსტიტუციის 31-ე და ძველი კონსტიტუციის 40-ე მუხ.) ავტორთა კოლექტივი

მოიხსენიებს დამნაშავედ, არ არის საკმარისი. მნიშვნელოვანია ურთიერთობის ხასიათი, ვერბალური და ფაქტობრივი მოპყრობა. მაგალითად, აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების მხარე ბრალდებულის მიმართ ითხოვს გარკვეული შემაკავებელი ღონისძიების გამოყენებას, მან უნდა ამტკიცოს პირის მიერ „სავარაუდო“ დანაშაულის ჩადენა და არ უნდა მოიხსენიოს იგი დამნაშავედ. ამ პრინციპის მიზანია ბრალდებულის არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ფსიქოლოგიური ზეწოლისგან დაცვა.⁷¹

გვხვდება მოსაზრება, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია მხოლოდ სისხლის სამართალში მოქმედებს. თუმცა, არსებობს შემთხვევები, როდესაც სამოქალაქო სამართალწარმოების ეტაპზეც შეიძლება მისი გამოყენება. მაგალითად, თუ ბრალდებული სამოქალაქო წესით იწყებს დავას მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სასამართლო, გარკვეულწილად, მის მიმართ ბრალად წარდგენილ ქმედებას განიხილავს და უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის რისკიც არსებობს.⁷²

როდესაც ვსაუბრობთ უდანაშაულობის პრეზუმფციის მოქმედების ფარგლებზე, მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, თუ სად იწყება და სად სრულდება მისი მოქმედება. კანონმდებლობის თანახმად, უდანაშაულობის პრეზუმფცია მოქმედებს მანამ, სანამ სასამართლო კანონიერ ძალაში შესულ გამამტყუნებელ განაჩენს არ გამოიტანს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ბრალდებულს სააპელაციო ან საკასაციო საჩივრის პროცესში არ უნდა ჰქონდეს უფლება, მოითხოვოს თავის უდანაშაულოდ მიჩნევა. სასამართლოს პრაქტიკაში არსებობს არაერთი შემთხვევა, როდესაც პირველი ინსტანციის მიერ დამნაშავედ მიჩნეული პირი გამართლდა სააპელაციო ან საკასაციო განხილვის შედეგად.⁷³ უდანაშაულობის პრეზუმფცია არა მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესის ფუნდამენტური პრინციპია, არამედ მას დიდი გავლენა აქვს საზოგადოებრივ ურთიერთობებზეც. მისი დაცვა

⁷¹ ECHR., Viorel Burzo v. Romania, ECtHR, 30/06/2009;

⁷² Trechsel St., Human Rights in Criminal Proceedings, OUP, 2006, p. 188.

⁷³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №18/351-12: 2012;

უზრუნველყოფს, რომ ბრალდებულს მიეცეს რეალური შესაძლებლობა, გამოიყენოს თავისი სამართლებრივი დაცვის მექანიზმები და თავი დაიცვას უსამართლო ან დაუსაბუთებელი ბრალდებებისგან. შესაბამისად, სახელმწიფომ, სასამართლომ, მედიამ და საზოგადოებამ უნდა უზრუნველყონ აღნიშნული პრინციპის დაცვა, რათა გარანტირებული იყოს სამართლიანი მართლმსაჯულება და კანონის უზენაესობა.⁷⁴

2.2. სასამართლოს მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა

სამართლიანი სახელმწიფოს არსებობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი სასამართლოს როლი, რომელიც უზრუნველყოფს არა მხოლოდ კონკრეტული პირების მიერ კანონების დაცვას, არამედ სახელმწიფოს ყველა ორგანოს ქმედებების სამართლიანობასა და ადამიანის უფლებების დაცვას.⁷⁵ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა აუცილებელი კომპონენტია სამართლებრივი სახელმწიფოსთვის, რაც უზრუნველყოფს ძალაუფლების დანაწილებასა და მთავრობის საქმიანობაზე ეფექტურ კონტროლს.⁷⁶

ისტორიულად, სამართლიანობის აღდგენის მცდელობა კაცობრიობის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა იყო. სხვადასხვა ეპოქაში სასამართლოს ინსტიტუტი განსხვავებულ ფორმებს იღებდა, დაწყებული მონარქის ან არისტოკრატის მიერ მართვადი ორგანოებიდან, დამთავრებული თანამედროვე დამოუკიდებელი სასამართლოებით.⁷⁷ მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ხშირად მჩაგვრელ ინსტრუმენტად გამოიყენებოდა, მისი ძირითადი დანიშნულება მაინც სამართლიანობის აღდგენა იყო. ეს ინსტიტუტი დროთა განმავლობაში იხვეწებოდა და პოლიტიკურ სივრცეში მნიშვნელოვანი როლი შეიძინა, რაც დღემდე

⁷⁴ ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009. გვ. 190;

⁷⁵ Smilov Daniel., *The Least Dangerous Branch?*, Chapter 40, p. 859;

⁷⁶ Dworkin R., *Law's Empire*, Harvard University Press, 1986, p. 192.

⁷⁷ Shapiro M., *Courts: A Comparative and Political Analysis*, University of Chicago Press, 1981, p. 111;

დემოკრატიული რეჟიმებისა და ადამიანის უფლებების დაცვის მთავარი ელემენტია.⁷⁸

სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გარანტიის შესაფასებლად სხვადასხვა მეცნიერი გვთავაზობს საკვანძო მახასიათებლებს. დანიელ სმილოვი სასამართლოს დამოუკიდებლობის განსაზღვრაში გამოყოფს ძირითად კრიტერიუმებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია განისაზღვროს, რამდენად შეესაბამება საქართველოს სასამართლო სისტემა დამოუკიდებელი მართლმსაჯულების სტანდარტებს.⁷⁹ ესენია: მოსამართლეთა დანიშვნის წესები, უფლებამოსილების ვადები, ხელფასები, გადაყენების კრიტერიუმები და სასამართლოს საქმიანობის დაფინანსება⁸⁰ მოსამართლის დამოუკიდებლობის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია მისი უფლებამოსილების ვადების განსაზღვრულობა და საქმიანობის გარანტიები. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მოსამართლე უნდა იყოს დამოუკიდებელი როგორც შიდა, ისე, საგარეო გავლენებისგან და მისი საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს კანონის უზენაესობის პრინციპს.⁸¹

საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე უფლებამოსილია, განახორციელოს სამართლიანი მართლმსაჯულება დამოუკიდებლად. მის საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია და ისჯება კანონით.⁸² მიუხედავად ამ გარანტიებისა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობისა და მისი მუშაობის მექანიზმების მიმართ ხშირად არსებობს კითხვები, რაც სასამართლოს დამოუკიდებლობის სრულყოფას აფერხებს.⁸³ სასამართლო ხელისუფლება არის სახელმწიფოს ის შტო, რომელიც უზრუნველყოფს კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებების დაცვას. მისი დამოუკიდებლობის გარანტიაა პროფესიული და ეთიკური

⁷⁸ ტურავა მ., სამართლიანი სასამართლოს უფლება., 2013, 45;

⁷⁹ Smilov D., *The Least Dangerous Branch?*, Chapter 40, p. 860;

⁸⁰ Smilov D., *The Least Dangerous Branch?*, Chapter 40, p. 860;

⁸¹ UN Basic Principles on the Independence of the Judiciary, Adopted by General Assembly resolution 40/32 of 29 November, 1985.

⁸² ტურავა მ., სამართლიანი სასამართლოს უფლება., 2013, 65;

⁸³ Young Lawyers Association of Georgia, *Justice System in Georgia*, Tbilisi, 2010, p. 7-10;

სტანდარტების დაცვა, სასამართლო გადაწყვეტილებების სამართლიანობა და სახელმწიფოს მხრიდან არასათანადო ზეწოლის არარსებობა.⁸⁴ საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც სასამართლოს დამოუკიდებლობა სათანადოდ არ არის დაცული, სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის მიმართ ნდობა მნიშვნელოვნად დაბალია.⁸⁵

გაეროს მიერ მიღებული დოკუმენტები სასამართლო დამოუკიდებლობას სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარ საყრდენად მიიჩნევს. 1985 წელს მიღებული „სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები“ ადგენს, რომ მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ გარანტირებული დანიშვნის გამჭვირვალე პროცედურები, თანამდებობაზე ყოფნის გრძელვადიანი გარანტიები და პოლიტიკური ზეწოლისგან დაცვა.⁸⁶

საქართველოს სასამართლო სისტემის რეფორმები მნიშვნელოვან ნაბიჯებს მოიცავდა, განსაკუთრებით, 1997 წლიდან, როდესაც მიღებულ იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, ხოლო 2005 წელს რეფორმების ახალი ეტაპი დაიწყო.⁸⁷ მიუხედავად ამისა, სასამართლოს დამოუკიდებლობის საკითხი კვლავ გამოწვევად რჩება, განსაკუთრებით, მოსამართლეთა დანიშვნის, უფლებამოსილების განხორციელებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის სფეროებში.⁸⁸

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობა არის ადამიანის უფლებების დაცვისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი წინაპირობა. მისი უზრუნველყოფისთვის აუცილებელია საკანონმდებლო და პრაქტიკული მექანიზმების დახვეწა, მოსამართლეთა შერჩევის პროცესის გამჭვირვალობა, პოლიტიკური ზეწოლის თავიდან აცილება და ფინანსური

⁸⁴ Dworkin R., *Freedom's Law: The Moral Reading of the American Constitution*, Harvard University Press, 1999, p. 178;

⁸⁵ საქართველოს კონსტიტუცია, 1995, მუხლი 84

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

⁸⁶ UN Basic Principles on the Independence of the Judiciary, 1985, Article 1-2.

⁸⁷ Young Lawyers Association, 2010, p. 9-12;

⁸⁸ ტურავა მ., სამართლიანი სასამართლოს უფლება., 2013, გვ. 54;

დამოუკიდებლობის გარანტიები.⁸⁹ სასამართლო დამოუკიდებლობის მაღალი სტანდარტების დაცვა უზრუნველყოფს მოქალაქეთა ნდობას მართლმსაჯულების სისტემის მიმართ და აძლიერებს დემოკრატიული მმართველობის ფუნდამენტურ პრინციპებს.

2.3. სამართლიანი და მოტივირებული გადაწყვეტილება

მოტივირებული სასამართლო გადაწყვეტილების უფლება წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს მნიშვნელოვან მექანიზმს, რომელიც ხელს უწყობს სახელმწიფო თვითნებობის შეზღუდვას და უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვის განმტკიცებას.⁹⁰ სასამართლოს გადაწყვეტილებების დასაბუთების სავალდებულობა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას და სხვა საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს.⁹¹

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, როგორც დემოკრატიული სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი, წარმოადგენს გამოწვევას მოტივირებული გადაწყვეტილებების უზრუნველსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ ეს ინსტიტუტი წარმატებით იკიდებს ფეხს საქართველოს სასამართლო სისტემაში, მისი ფუნქციონირება უნდა იყოს შეჯერებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის სტანდარტებთან.⁹² სამართლებრივი მტკიცების სისწორის დადგენა არ ემყარება მეცნიერულ ექსპერიმენტებს, არამედ ეფუძნება დასაბუთებულ, ლოგიკურ და ამომწურავ მიზეზებს.⁹³ ამგვარი დასაბუთების გარეშე სასამართლოს გადაწყვეტილებას ვერ ექნება სამართლებრივი სანდოობა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციაში პირდაპირ არ არის გაწერილი მოტივირებული გადაწყვეტილების უფლება, ის იგულისხმება სამართლიანი

⁸⁹ Smilov Daniel., *The Least Dangerous Branch?*, Chapter 40, p. 869.

⁹⁰ Dworkin R., *Freedom's Law: The Moral Reading of the American Constitution*, Harvard University Press, 1999, p. 192;

⁹¹ ტურავა მ., *სამართლიანი სასამართლოს უფლება.*, 2013, 112;

⁹² Shapiro M., *Courts: A Comparative and Political Analysis*, University of Chicago Press, 1981, p. 113;

⁹³ Smilov Daniel., *The Least Dangerous Branch?*, Chapter 40, p. 869;

სასამართლოს უფლების განუყოფელ ნაწილად. ეს უფლება აუცილებელია, რათა შეიზღუდოს სახელმწიფო ინსტიტუტების თვითნებობა და უზრუნველყოფილი იქნას სასამართლოს გამჭვირვალობა.⁹⁴ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება განისაზღვრება როგორც სამართლებრივი, ასევე, საერთაშორისო ნორმებით. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მკაფიოდ ადგენს, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილება წარმოადგენს სახელმწიფოს თვითნებობის თავიდან აცილების მექანიზმს.⁹⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს, რომ სასამართლოს განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს ეჭვის გამორიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას. ამდენად, დაუსაბუთებელი განაჩენი ვერ უზრუნველყოფს სამართლიანობის პრინციპების დაცვას და ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ პრინციპებს.⁹⁶

ბელგიის კონსტიტუცია პირდაპირ ითვალისწინებს სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულებას (Belgian Constitution, Article 149). ეს უზრუნველყოფს არა მხოლოდ სამართლებრივ სიცხადეს, არამედ საზოგადოების ნდობას სასამართლოს მიმართ.⁹⁷

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული სამართლებრივი რეგულირებით ფუნქციონირებს. ბელგიის კონსტიტუციაში გაწერილია ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული ვერდიქტების დასაბუთების სავალდებულობა, რაც უზრუნველყოფს სამართლიანობასა და გამჭვირვალობას.⁹⁸

საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტების დასაბუთების ვალდებულება არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, რაც გარკვეულ წინააღმდეგობებს წარმოშობს სამართლიანი სასამართლოს სტანდარტებთან

⁹⁴ Ibid.

⁹⁵ Dworkin R., *Freedom's Law: The Moral Reading of the American Constitution*, Harvard University Press, 1999, p. 180;

⁹⁶ ტურავა მ., სამართლიანი სასამართლოს უფლება, 2013, გვ. 54;

⁹⁷ Shapiro M., *Courts: A Comparative and Political Analysis*, University of Chicago Press, 1981, p. 111;

⁹⁸ Alexy R., *A Theory of Constitutional Rights*. Oxford University Press. 2002. p. 91;

მიმართებით.⁹⁹ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილებების დასაბუთების ალტერნატიული გზების შემუშავება.¹⁰⁰ სასამართლოს მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილებების აუცილებლობა ხაზგასმულია არაერთ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში. მაგალითად, საქმეში *Taxquet v. Belgium*, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი დაუსაბუთებელი ვერდიქტი კონვენციის მე-6 მუხლთან შეუსაბამო იყო.¹⁰¹ სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მხარეებისთვის, არამედ საზოგადოების ნდობის განსამტკიცებლად.¹⁰² დასაბუთებული განაჩენი უზრუნველყოფს იმას, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის თვითნებური და ემყარება კანონიერ საფუძვლებს.¹⁰³ მოტივირებული გადაწყვეტილების უფლება სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია. მისი არსებობა აუცილებელია სახელმწიფო ინსტიტუტების თვითნებობის შეზღუდვისა და სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფისთვის.¹⁰⁴ საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობა მკაფიოდ ასახავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები უნდა იყოს დასაბუთებული, რათა უზრუნველყოფილი იყოს სამართლებრივი დაცულობა და საზოგადოებრივი ნდობა სასამართლო სისტემის მიმართ.¹⁰⁵

2.4. სათანადო სამართლებრივი პროცედურების დაცვა

სამართლებრივი პროცედურების დაცვა და ბრალდებულის უფლებების უზრუნველყოფა წარმოადგენს სასამართლოს განაჩენის

⁹⁹ Young Lawyers Association, Report/Book Title, Young Lawyers Association, 2010, pp. 7-10;

¹⁰⁰ ECtHR, *Taxquet v. Belgium*, 2010, §92.

¹⁰¹ Ibid;

¹⁰² ECtHR, *Boldea v. Romania*, no. 19997/02, 15 February, 2007, §30;

¹⁰³ Dworkin R., *Freedom's Law: The Moral Reading of the American Constitution*, Harvard University Press, 1999, p. 192;

¹⁰⁴ Smilov Daniel., *The Least Dangerous Branch?*, Chapter 40, p. 870;

¹⁰⁵ ტურავა მ., სამართლიანი სასამართლოს უფლება, თბ., 2013, გვ. 54.

კანონიერების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. აღნიშნული პრინციპები ეფუძნება როგორც ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრულ გარანტიებს, ასევე, საერთაშორისო სამართლის სტანდარტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სამართლიანი სასამართლოს უფლებას. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი ადგენს ბრალდებულის უფლებებს და ასახავს ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორიცაა უდანაშაულობის პრეზუმფცია, სამართლიანი სასამართლოს უფლება, დაცვის უფლება და მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში სახელმწიფო ორგანოთა ვალდებულებები. აღნიშნული მუხლი შეესაბამება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის (ECHR) მე-6 მუხლის მოთხოვნებს, რომელიც მკაფიოდ განისაზღვრავს სამართლიანი სასამართლოს პრინციპებს. დადგენილი სამართლებრივი სტანდარტების დაცვა კრიტიკულია არა მხოლოდ ბრალდებულის უფლებების თვალსაზრისით, არამედ მართლმსაჯულების სისტემის ლეგიტიმურობის უზრუნველსაყოფად. მაგალითად, მტკიცებულებების მოპოვებისას სამართალდამცავ ორგანოებს უნდა გააჩნდეთ მკაცრი პროცედურული სტანდარტები, რათა არ დაირღვეს ადამიანის ფუნდამენტური უფლებები. ამერიკის შეერთებულ შტატებში „სამართლიანი სამართალწარმოების“ (Due Process) პრინციპი, რომელიც განმტკიცებულია აშშ-ის კონსტიტუციის მეხუთე და მეოთხმეტე შესწორებებში, ითვალისწინებს როგორც პროცედურულ, ისე, არსებით გარანტიებს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრეცედენტული საქმეა „Mapp v. Ohio,“ 367 U.S. 643 (1961), რომელმაც დაადასტურა, რომ უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებები მიუღებელია სასამართლოში.¹⁰⁶ საქართველოს კანონმდებლობაც განსაზღვრავს ბრალდებულის სამართლებრივი დაცვის მექანიზმებს. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დაუშვებელია მტკიცებულებების გამოყენება, თუ ისინი მოპოვებულია ადამიანის უფლებების დარღვევით (მაგალითად, უკანონო ჩხრეკის ან

¹⁰⁶ Mapp v. Ohio, 367 U.S. 643. 1961.

დაკავების გზით). ამ პრინციპის დაცვის გარეშე, სასამართლო განაჩენი შეიძლება გამოცხადდეს არალეგიტიმურად, რაც საფრთხეს უქმნის როგორც მართლმსაჯულების სისტემას, ისე, საზოგადოების ნდობას სამართლებრივი პროცესის მიმართ.

ამრიგად, სამართლებრივი პროცედურების დაცვა და ბრალდებულის უფლებების უზრუნველყოფა წარმოადგენს არა მხოლოდ ინდივიდუალური პიროვნების დაცვის გარანტიას, არამედ სახელმწიფოს მიერ სამართლიანი და სამართლიანობაზე დაფუძნებული მართლმსაჯულების განხორციელების აუცილებელ წინაპირობას.¹⁰⁷ საქართველოსა და საერთაშორისო სამართალში ჩამოყალიბებული ნორმები, როგორიცაა ECHR-ის მე-6 მუხლი, აშშ-ის კონსტიტუციის Due Process პრინციპი და საქართველოს კონსტიტუცია, წარმოადგენენ სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტს და ხელს უწყობენ სასამართლო სისტემის დემოკრატიულობასა და ეფექტურობას.

2.5. გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი

გონივრულ ეჭვს მიღმა (Beyond a Reasonable Doubt) სტანდარტი წარმოადგენს უმაღლეს მტკიცების სტანდარტს სისხლის სამართლის პროცესში. ეს სტანდარტი გულისხმობს, რომ ბრალდებულის დამნაშავედ ცნობისთვის აუცილებელია მტკიცებულებათა ისეთი ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა ბრალდებულის დანაშაულში.¹⁰⁸ ამ სტანდარტის მიზანია, მაქსიმალურად გამოირიცხოს უდანაშაულო პირის დასჯის შესაძლებლობა და უზრუნველყოს მართლმსაჯულებისადმი საზოგადოების ნდობა. გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი თამაშობს მნიშვნელოვან როლს მართლმსაჯულებისადმი საზოგადოების ნდობის

¹⁰⁷ Mapp v. Ohio, 367 U.S. 643 (1961) – აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრეცედენტი;

¹⁰⁸ ხაზალია გ., ჩოჩია ნ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ქართული მოდელის გაუმჯობესების შესაძლებლობა, https://constcourt.ge/files/pdfs/Full_Issue_GEO.pdf?utm.com

ჩამოყალიბებაში.¹⁰⁹ სასამართლოები ვალდებული არიან, სამართლიანად შეაფასონ მტკიცებულებები, მათი ძალა და ამ პროცესში წარმოშობილი ყოველგვარი გონივრული ეჭვი გადაწყვიტონ ბრალდებულის უდანაშაულობის, მისი თავისუფლების სასარგებლოდ.¹¹⁰ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი უნდა გამორიცხავდეს ეჭვებისა და ვარაუდების საფუძველზე პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას. ამ სტანდარტის დაცვა უზრუნველყოფს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები ეფუძნებოდეს მტკიცებულებათა მყარ საფუძველს და არა ვარაუდებსა და ეჭვებს. გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტი თამაშობს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს სისხლის სამართლის პროცესში.¹¹¹

ამგვარად, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი წარმოადგენს ფუნდამენტურ პრინციპს, რომელიც უზრუნველყოფს ბრალდებულის უფლებების დაცვას და მართლმსაჯულების სამართლიანობას. მისი ძირითადი ელემენტებია:

- **მაღალი მტკიცების ზღვარი:** გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას;
- **გონივრული ეჭვის დეფინიცია:** გონივრული ეჭვი არის ეჭვი, რომელიც გონივრულად მოაზროვნე ადამიანს შეიძლება გაუჩნდეს მტკიცებულებების შეფასებისას. ეს არ არის უბრალო ვარაუდი ან სპეკულაცია, არამედ ეჭვი, რომელიც ეფუძნება მტკიცებულებების ლოგიკურ და ობიექტურ ანალიზს;
- **აბსოლუტური დარწმუნებულობის მოთხოვნის არარსებობა:** გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი არ მოითხოვს აბსოლუტურ

¹⁰⁹ მართლმსაჯულების გაძლიერებისა და განათლების ცენტრი, მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი <https://jelec.iliauni.edu.ge/40-e-mukhlis-me-3-punqti/?t.com>

¹¹⁰ მართლმსაჯულების გაძლიერებისა და განათლების ცენტრი, 40-ე მუხლის მე-3 პუნქტი <https://jelec.iliauni.edu.ge/40-e-mukhlis-me-3-punqti/?utm.com>

¹¹¹ გოგეშვილი თ., მტკიცების სტანდარტი გამოძიების სტადიაზე, თბ., 2019, გვ. 5.

დარწმუნებულობას. ეს ნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულებები უნდა იყოს დამაჯერებელი და უტყუარი, არ არის საჭირო 100%-ით დარწმუნება ბრალდებულის დამნაშავეობაში. მნიშვნელოვანია, რომ დარჩენილი ეჭვი არ იყოს გონივრული და არ ეფუძნებოდეს მტკიცებულებების ლოგიკურ ანალიზს.

ამგვარად, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი უზრუნველყოფს, რომ ბრალდებულის დამნაშავედ ცნობა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მტკიცებულებები იმდენად დამაჯერებელია, რომ გონივრულ ადამიანს არ დარჩება ეჭვი პირის დამნაშავეობაზე. ეს სტანდარტი კრიტიკულად მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების სამართლიანობისა და საზოგადოების ნდობის უზრუნველსაყოფად.

გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის ადგილი მტკიცების სტანდარტებში
სამართლებრივი მტკიცების სტანდარტები დამოკიდებულია საქმის ბუნებაზე:

სტანდარტი	გამოყენების სფერო	მტკიცებულების საჭირო დონე
დაბალი სტანდარტი: "სავარაუდო მიზეზი" (Probable Cause)	სისხლისსამართლებრივი გამოძიების დაწყება, დაპატიმრება	დაბალი
შუამავალი სტანდარტი: "მტკიცებულებათა წონასწორობა" (Preponderance of Evidence)	სამოქალაქო სამართალი – სარჩელის დასაკმაყოფილებლად	50%+1 მეტი რწმენა
შუამავალი სტანდარტი: "განსაზღვრული და დამაჯერებელი მტკიცებულება" (Clear and Convincing Evidence)	სამოქალაქო სამართალში განსაკუთრებული შემთხვევები	მაღალზე მაღალი, მაგრამ არ არის აბსოლუტური
უმაღლესი სტანდარტი: "გონივრულ ეჭვს მიღმა" (Beyond a Reasonable Doubt)	სისხლისსამართლებრივი საქმეები – ბრალდებულის გასამტყუნებლად	თითქმის სრული დარწმუნებულობა

გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის (Beyond a Reasonable Doubt) კონცეფცია სათავეს იღებს ინგლისურ საერთო სამართალში (Common Law), სადაც იგი ჩამოყალიბდა, როგორც უმაღლესი მტკიცების სტანდარტი სისხლის სამართლის საქმეებში. მისი ძირითადი მიზანი იყო უდანაშაულო პირების დასჯის პრევენცია და სასამართლო სისტემის სამართლიანობის გაძლიერება. ამ სტანდარტის დანერგვამ უზრუნველყო, რომ სისხლის

სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე, პროკურატურას დაეკისრა მაღალი მტკიცებულებითი ზღვარის დაკმაყოფილების ვალდებულება.¹¹² ამ სტანდარტმა შემდგომში განვითარება განიცადა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც იგი კონსტიტუციურ გარანტიად იქცა. აშშ-ის კონსტიტუციის მეხუთე შესწორება უზრუნველყოფს, რომ არავინ არ უნდა იქნას დამნაშავედ ცნობილი, თუ მისი ბრალეულობა არ დადასტურდება გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებებით. ეს პრინციპი განმტკიცებულია აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრეცედენტებით. კერძოდ, საქმეზე „In re Winship“ (1970), სასამართლომ დაადგინა, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი წარმოადგენს კონსტიტუციურ მოთხოვნას არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებში. 12 წლის სამუელ ვინშიპს ბრალად ედებოდა ქალის საფულის მოპარვა. ნიუ-იორკის საოჯახო სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო მტკიცებულებათა უპირატესობის სტანდარტის (preponderance of the evidence) საფუძველზე,¹¹³ რაც იმ დროს მოქმედი ნიუ-იორკის საოჯახო სასამართლოს აქტის §744(b)-ის მოთხოვნა იყო. უზენაესმა სასამართლომ ეს გადაწყვეტილება გააუქმა და დაადგინა, რომ არასრულწლოვანთა საქმეებშიც აუცილებელია გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცების სტანდარტის გამოყენება, რათა დაცული იყოს უდანაშაულობის პრეზუმფცია და თავიდან იქნეს აცილებული უდანაშაულო პირების დასჯა.¹¹⁴

დიდ ბრიტანეთში, გონივრულ ეჭვს მიღმა (Beyond a Reasonable Doubt) სტანდარტი წარმოადგენს უმაღლეს მტკიცების სტანდარტს სისხლის სამართლის საქმეებში. ეს სტანდარტი გულისხმობს,¹¹⁵ რომ ნაფიც მსაჯულებს ან მოსამართლეს უნდა ჰქონდეთ მტკიცებულებათა ისეთი ერთობლიობა, რომელიც გამორიცხავს გონივრულ ეჭვს პირის

¹¹² გოგეშვილი თ., მტკიცების სტანდარტი გამოძიების სტადიაზე, თბ., 2019, გვ. 5.

¹¹³ ყუშიტაშვილი მ., მტკიცების პროცესი მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის პირობებში., ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, 2017 წლის №3. გვ. 147;

¹¹⁴ U.S. Supreme Court Center., <https://supreme.justia.com/cases/federal/us/>

¹¹⁵ კორკელია კ., ადამიანის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოს დემოკრატიული ტრანსფორმაცია., სტატიათა კრებული., თბ., 2020, გვ. 54;

ბრალეულობის შესახებ. ეს ნიშნავს, რომ სასამართლო უნდა იყოს პრაქტიკულად სრულად დარწმუნებული პირის დამნაშავეობაში, რათა გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი. ამ სტანდარტის მიზანია უდანაშაულო პირების დასჯის პრევენცია და მართლმსაჯულების სამართლიანობის უზრუნველყოფა.¹¹⁶

კონტინენტური ევროპის სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია და საფრანგეთი, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი გამოიყენება სისხლის სამართლის საქმეებში, თუმცა, მისი ინტერპრეტაცია და გამოყენება შეიძლება განსხვავდებოდეს.

გერმანია: გერმანიის სისხლის სამართლის პროცესში, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულის დანაშაულის დასამტკიცებლად საჭიროა მტკიცებულებათა მაღალი სტანდარტი, სასამართლოები აქცენტს აკეთებენ მტკიცებულებათა თავისუფალ შეფასებაზე და საერთო სურათის ანალიზზე. ეს ნიშნავს, რომ მოსამართლეს აქვს დისკრეცია, შეაფასოს მტკიცებულებები საკუთარი შეხედულებისამებრ და მიიღოს გადაწყვეტილება საერთო გარემოებების გათვალისწინებით.¹¹⁷

საფრანგეთი: საფრანგეთის სისხლის სამართლის პროცესში, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი ასევე გამოიყენება, თუმცა, მისი ინტერპრეტაცია შეიძლება უფრო მოქნილი იყოს. სასამართლოები აქცენტს აკეთებენ მტკიცებულებათა შეფასებაზე და განაჩენის გამოტანისას ითვალისწინებენ როგორც პირდაპირ, ასევე, არაპირდაპირ მტკიცებულებებს, რაც მათ საშუალებას აძლევს, უფრო მოქნილად მიუდგნენ მტკიცებულებათა შეფასებას.¹¹⁸

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპია, მისი ინტერპრეტაცია და გამოყენება შეიძლება განსხვავდებოდეს

¹¹⁶ Beyond Reasonable Doubt, What Is It And What Does It Mean?" Cornell Law School, 2021, 45.

¹¹⁷ მახარობლიძე თ., არასრულწლოვანთა სასჯელების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები, თბ., 2021, გვ. 45;

¹¹⁸ გოგშელიძე ზ., სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის, 2023, გვ. 57.

სამართლებრივი ტრადიციებისა და პრაქტიკის მიხედვით. სასამართლოები ხშირად განმარტავენ გონივრულ ეჭვს, რათა ნაფიცმა მსაჯულებმა უკეთ გაიგონ მისი მნიშვნელობა. გონივრული ეჭვი არის ეჭვი, რომელიც დამყარებულია გონებასა და საღ აზრზე და არ არის დამნაშავეობის უბრალო ალბათობა. ეს არის ისეთი ეჭვი, რომელიც გონიერ ადამიანს აიძულებს, დაეჭვდეს ამა თუ იმ ქმედებისას. შესაბამისად, გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებათა ერთობლიობა უნდა იყოს იმდენად დამაჯერებელი, რომ გონიერმა ადამიანმა შეძლოს მასზე დაყრდნობა და მის მიხედვით მოქმედება.¹¹⁹ გონივრული ეჭვს მიღმა სტანდარტის ზუსტი განმარტება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ნაფიცი მსაჯულებისათვის, რათა მათ სწორად გაიგონ მისი მნიშვნელობა და არ შეამცირონ სტანდარტის სიმკაცრე, რამაც, შესაძლოა, უდანაშაულო პირის დასჯა გამოიწვიოს. გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე კრიტიკული შეხედულება:¹²⁰

1. **სუბიექტურობა:** გონივრული ეჭვის ზღვარი შეიძლება განსხვავებულად იქნას აღქმული სხვადასხვა ადამიანების მიერ, რაც იწვევს სტანდარტის სუბიექტურ ინტერპრეტაციას. ეს ნიშნავს, რომ ნაფიც მსაჯულებს ან მოსამართლეებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული წარმოდგენები იმის შესახებ, თუ რა დონეზე უნდა იყოს მტკიცებულებები დამაჯერებელი, რათა ბრალდებული დამნაშავედ ცნონ. ამ სუბიექტურობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს სასამართლო გადაწყვეტილებების ერთგვაროვნებაზე.¹²¹
2. **პრაქტიკული სირთულეები:** სასამართლოებს ხშირად უჭირთ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის ზუსტი განმარტება. მიუხედავად იმისა, რომ ეს სტანდარტი კრიტიკულად მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის პროცესში, მისი ბუნდოვანება ართულებს მის გამოყენებას

¹¹⁹ გოგეშვილი თ., მტკიცების სტანდარტი გამოძიების სტადიაზე, თბ., 2019, გვ. 76;

¹²⁰ Newman J. O., 'Taking 'Beyond a Reasonable Doubt' Seriously. *Judicature*, 2019. 54;

¹²¹ Conklin M., Reasonable Doubt Ratcheting: How Jurors Adjust the Standard of Proof to Reach a Desired Result. *North Dakota Law Review*, 95, 2020. 281.

პრაქტიკაში. სასამართლოები ცდილობენ განმარტონ ეს სტანდარტი ნაფიც მსაჯულებისთვის, თუმცა, ეს განმარტებები ხშირად არ არის საკმარისად მკაფიო, რაც იწვევს გაურკვევლობას.

3. ნაფიც მსაჯულთა გაურკვევლობა: ზოგჯერ ნაფიც მსაჯულებს უჭირთ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის ზუსტი ინტერპრეტაცია და გადაწყვეტილების მიღება. ეს გამოწვეულია სტანდარტის ბუნდოვანებით და სუბიექტურობით, რაც შეიძლება გამოიწვიოს არათანმიმდევრულ გადაწყვეტილებებს. ნაფიც მსაჯულებს შეიძლება გაუჭირდეთ განსაზღვრონ, თუ რა დონეზე უნდა იყოს მტკიცებულებები დამაჯერებელი, რათა ბრალდებული დამნაშავედ ცნონ.¹²²

ამ კრიტიკულ შეხედულებებს საფუძვლად უდევს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის ბუნდოვანება და სუბიექტურობა, რაც ართულებს მის ერთგვაროვან გამოყენებას სასამართლო პროცესებში. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოებმა და იურიდიულმა საზოგადოებამ განაგრძონ მუშაობა ამ სტანდარტის უფრო მკაფიო განმარტებისა და გამოყენების გაუმჯობესების მიზნით. გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის უმაღლეს მტკიცების სტანდარტს, რომელიც მიზნად ისახავს ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვას. მისი მიზანია, თავიდან აიცილოს უდანაშაულო პირების არასწორი დასჯა და გაამლიეროს სისხლის სამართლის სისტემის სამართლიანობა.

ძირითადი პრინციპები:

- **პროკურატურის მტკიცების ვალდებულება:** პროკურატურამ უნდა დაამტკიცოს ბრალდება ისე, რომ მტკიცებულებათა ერთობლიობა ობიექტურ პირს დაარწმუნებს პირის ბრალეულობაში.

¹²² Shapiro J., A., & Muth, K. T. Beyond a Reasonable Doubt: Juries Don't Get It. Loyola University Chicago Law Journal, 52, 2021. 1029.

- **გონივრული ექვის არსებობა:** თუ არსებობს გონივრული ექვი, რომელიც საღად მოაზროვნე ადამიანს დარჩება, ბრალდებული უდანაშაულოდ უნდა ჩაითვალოს.¹²³
- **სტანდარტის მნიშვნელობა:** ეს სტანდარტი კრიტიკულად მნიშვნელოვანია დემოკრატიულ და სამართლიან საზოგადოებაში, რათა თავიდან იქნას აცილებული უდანაშაულო პირების დასჯა და საზოგადოების ნდობა მართლმსაჯულების სისტემის მიმართ.

სამართლებრივი პრინციპი: „სჯობს ათი დამნაშავე დარჩეს დაუსჯელი, ვიდრე ერთი უდანაშაულო დაისაჯოს.“ ეს პრინციპი ასახავს გონივრულ ექვს მიღმა სტანდარტის მნიშვნელობას და მიზნად ისახავს უდანაშაულო პირების დაცვას.

2.6. საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის სტანდარტი

მე-19 საუკუნის პირველ ნახევრამდე ევროპის მრავალი ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში არსებობდა დეტალური რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავდა, რომელი მტკიცებულებები იყო საკმარისი ბრალდებულის მსჯავრდებისთვის.¹²⁴ მოგვიანებით გაჩნდა მოსაზრება, რომ ასეთი მკაცრი რეგულაციები, შესაძლოა, დიდი რისკის შემცველი ყოფილიყო, რადგან მათი საფუძველზე უდანაშაულო პირები შეიძლება შეცდომით დაესაჯათ, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, თუ მოწმე ცრუობდა ან აღიარებითი ჩვენება იძულებით იყო მოპოვებული.¹²⁵ ამ საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, მოსამართლეებს მიენიჭათ უფრო ფართო დისკრეცია მტკიცებულებების შეფასებისას. შედეგად, სასამართლო აღარ იყო ვალდებული, მხოლოდ ობიექტურად განსაზღვრული მტკიცებულებებით ემართა საქმე, არამედ შეეძლო გაეთვალისწინებინა

¹²³ გოგეშვილი თ., მტკიცების სტანდარტი გამოძიების სტადიაზე, თბ., 2019, თბ., 76;

¹²⁴ Frisch, Wolfgang, Von Beweisregeln über die freie zur strukturierten Beweiswürdigung, in: Fischer, Thomas (Hrsg.), Beweis, Baden-Badener Strafrechtsgespräche, Band 4, 2019, S. 161-162.

¹²⁵ ebd, S. 162;

მტკიცებულებათა სანდოობა და კონტექსტი. ამრიგად, თუ ადრე ორი მოწმის ჩვენება და ბრალდებულის აღიარება ავტომატურად იწვევდა განაჩენის გამოტანას, ახლა მოსამართლეს ჰქონდა შესაძლებლობა, დამოუკიდებლად შეეფასებინა წარმოდგენილი მტკიცებულებები და საბოლოო გადაწყვეტილება მათი მთლიანობის გათვალისწინებით მიეღო.¹²⁶

დღესდღეობით, მტკიცებულებათა შეფასების პროცესში მოსამართლეები ხელმძღვანელობენ რიგი პრინციპებით, რომლებიც უზრუნველყოფენ სასამართლო პროცესის სამართლიანობას და გამჭვირვალობას. თუმცა, სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებების დასაშვებობის და შეფასების კრიტერიუმებზე საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ დონეზე კვლავაც არ არსებობს ერთიანი პოზიცია. გერმანულ და ქართულ სამართალში ამ საკითხებზე განსხვავებული მიდგომები არსებობს, რომლებიც საჭიროებს დამატებით შესწავლას, რათა განისაზღვროს მათი გავლენა სისხლის სამართლის პროცესზე და ბრალდებულის უფლებების დაცვის ხარისხზე.

მოსამართლის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფამ, რომელიც მე-19 საუკუნეში არაერთი ევროპული ქვეყნის კონსტიტუციაში აისახა და სასამართლო გადაწყვეტილებებისადმი ნდობის ზრდამ შეცვალა მტკიცებულებათა სამართლებრივი რეგულირების კონცეფცია, რის შედეგადაც გაჩნდა მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასების პრინციპი.¹²⁷ მე-18 - მე-19 საუკუნეების სისხლის სამართლის მეცნიერება, რომელიც ფილოსოფიური შეხედულებებით იყო გაჯერებული, მივიდა დასკვნამდე, რომ მტკიცებულებათა შეფასების პროცესში არსებობს ისეთი კომპლექსური საკითხები, რომელთა გადაჭრა მხოლოდ საკანონმდებლო რეგულირებით შეუძლებელი იქნებოდა.¹²⁸ ამ პერიოდმა სისხლის სამართლის თეორიაში გააძლიერა მიდგომა, რომლის მიხედვითაც, მტკიცებულებების შეფასება

¹²⁶ Frisch, Wolfgang, Von Beweisregeln über die freie zur strukturierten Beweiswürdigung, in: Fischer, Thomas (Hrsg.), Beweis, Baden-Badener Strafrechtsgespräche, Band 4, 2019, S. 164.

¹²⁷ Frisch, Wolfgang, Von Beweisregeln über die freie zur strukturierten Beweiswürdigung, in: Fischer, Thomas (Hrsg.), Beweis, Baden-Badener Strafrechtsgespräche, Band 4, 2019, S. 165;

¹²⁸ Foucault M., Discipline and Punish: The Birth of the Prison. Pantheon Books. 1977, p. 85;

უნდა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ სამართლებრივ ნორმებს, არამედ გამოცდილებას, ლოგიკურ მსჯელობასა და ინდივიდუალურ შეფასებებს.¹²⁹ განსხვავებული გამოცდილება და მოსაზრებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ აღნიშნულ პროცესში, რაც შეუძლებელს ხდის მის მკაცრად განსაზღვრული საკანონმდებლო წესებით რეგულირებას. მტკიცებულებათა შეფასება არ შემოიფარგლება მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებების უშუალო გაანალიზებით, რომლებიც დანაშაულის ჩადენის ან არჩადენის შესახებ ცნობებს შეიცავს. მისი არსი ბევრად უფრო ღრმაა და მოითხოვს სტრუქტურირებულ მიდგომას.¹³⁰ აღნიშნული სტრუქტურის ცენტრში დგას კონკრეტული ჰიპოთეზა, რომლის ნამდვილობა უნდა შემოწმდეს შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე. სისხლის სამართლის მეცნიერებაში აღნიშნული მიდგომა განიხილება, როგორც უმნიშვნელოვანესი ასპექტი, რომელიც განსაზღვრავს მართლმსაჯულების ეფექტიანობას. დანაშაულის ჩადენის ჰიპოთეზის დასადასტურებლად აუცილებელია მტკიცებულებათა არსებობა, რომლებიც მის სანდოობას ადასტურებს. მაგალითად, მოწმეთა ჩვენებები უნდა შეფასდეს გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით, რათა დადგინდეს მათი სანდოობა.¹³¹ სასამართლო პრაქტიკაში აღნიშნულია, რომ თუ არ მოიპოვება საკმარისი მტკიცებულებები, დანაშაულის შესახებ ჰიპოთეზის სანდო აღიარება ვერ მოხერხდება.¹³² შესაბამისად, მტკიცებულებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია სისხლის სამართლის პროცესში. ამასთან, მტკიცებულებები უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ წინაპირობებს. მაგალითად, არ უნდა არსებობდეს ეჭვი იმაზე, რომ მოწმემ ჩვენება არასწორი პირობების გამო მისცა, როგორიცაა მეხსიერების პრობლემა ან იძულება.¹³³

¹²⁹ Bentham J., *Rationale of Judicial Evidence*. Hunt & Clarke. 1827. P. 112;

¹³⁰ Duff R. A., *Punishment, Communication, and Community*. Oxford University Press. 2002, p. 45.

¹³¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009, მუხლი 82 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=164>

¹³² Pizzi, W. T. (1999). *Trials Without Truth: Why Our System of Criminal Trials Has Become an Expensive Failure and What We Need to Do to Rebuild It*. NYU Press. P. 74;

¹³³ Williamson T., *Misleading Evidence and Misleading Defendants*. Oxford University Press. 2004. p. 88;

ასეთ შემთხვევაში, მტკიცებულებებს მტკიცებითი ძალა არ ექნება. თანამედროვე სამართლებრივი რეგულაციები ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ მტკიცებულებების სანდოობა უნდა განისაზღვროს მათი მოპოვების პირობების ანალიზით. მოსამართლემ უნდა განიხილოს ყველა შესაძლო ჰიპოთეზა. კონკურენტი ჰიპოთეზების გამოირიცხვას ვერ უზრუნველყოფთ ემოციურ და სუბიექტურ მოსაზრებებზე დაყრდნობით. მაგალითად, მხოლოდ იმ ფაქტზე დაყრდნობა, რომ მსხვერპლის ჩვენება უფრო დამაჯერებლად ჟღერს, ვიდრე ბრალდებულის, არ წარმოადგენს ლეგიტიმურ საფუძველს.¹³⁴ სამართლებრივი ანალიზი და ობიექტური დასკვნების გაკეთება ემყარება ლოგიკას, გამოცდილებასა და რაციონალურ მსჯელობას.

²³⁸ ECHR. 7th Protocol. Strasbourg: Council of Europe, 2016, 76;

²³⁹ European Court of Human Rights (2005). *Van Kück v. Germany*, Case No. 35968/97. Strasbourg: ECHR Reports;

დამოკიდებულია სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტებზე, რომლებიც შესაძლოა სხვა საქმეში გამოყენებულ იქნას დამამტკიცებელ ან გამამართლებელ გარემოებად.²⁴⁰ ამ კონტექსტში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია „ne bis in idem“, რომელიც გამორიცხავს იმავე პირის იმავე დანაშაულისთვის ორჯერ გასამართლებას. ეს პრინციპი გაწერილია ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-7 დამატებით ოქმში.²⁴¹ პრაქტიკაში, სისხლის სამართლის საქმეებში პრეუდიციული გარემოებები ხშირად გამოიყენება, მაგალითად, როდესაც ადმინისტრაციულ პროცესში დადგენილი სამართალდარღვევა შემდგომ გამოიყენება სისხლის სამართლის პროცესში, როგორც მტკიცებულება.²⁴² მაგალითისთვის, ქართული სასამართლო პრაქტიკაში, ერთ-ერთი პრეცედენტი უკავშირდება სახელმწიფო მოხელეების კორუფციული დანაშაულების გამოძიებას, სადაც სასამართლომ პრეუდიციულად მიიღო ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები.²⁴³

პრეუდიციული გარემოება წარმოადგენს ისეთ ფაქტს ან სამართლებრივ შეფასებას, რომელიც უკვე დადგენილია ადრე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებით და რომელზეც დაყრდნობა შესაძლებელია მომდევნო საქმეში.²⁴⁴ სამართლებრივი საფუძვლები მოიცავს როგორც ეროვნულ კანონმდებლობის ნორმებს, ასევე, საერთაშორისო სამართლის პრინციპებს. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს, რომ სასამართლოს მიერ უკვე დადგენილ ფაქტებს არ ესაჭიროებათ ხელახალი განხილვა სხვა სისხლის სამართლის საქმეებში.²⁴⁵ ამ პრინციპის პრაქტიკაში გამოყენების

²⁴⁰ მაისურაძე მ., სისხლის სამართლის სამართალწარმოება და პრეცედენტები საქართველოში., თბ., 2019, გვ. 32;

²⁴¹ Jones M., The Principle of Prejudice in Criminal Law. Harvard Law Review, Vol. 130, 2017. p. 215

²⁴² Williams D., The Use of Precedents in Criminal Cases. Yale University Press, 2019. p. 90;

²⁴³ საქმე N1/1223-17, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, 2017;

²⁴⁴ Brown A., Judicial Precedent and Its Application in Legal Systems. Cambridge University Press, 2020, p. 67;

²⁴⁵ Georgian Legislation (2019). Criminal Procedure Code of Georgia. Tbilisi: Ministry of Justice, p. 4;

ერთ-ერთი მაგალითია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, სადაც განმარტებულია, რომ პრეუდიცია არ უნდა იყოს მიკერძოებული ან განუკითხავად გამოყენებული.²⁴⁶ პრეუდიციული გარემოებების გამოყენება სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში სხვადასხვანაირად რეგულირდება.²⁴⁷ მაგალითად, ინგლისურ სამართლებრივ სისტემაში პრეცედენტის პრინციპი (*stare decisis*) მნიშვნელოვანია, რაც გულისხმობს, რომ უმაღლესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა ქვედა ინსტანციის სასამართლოებისთვის.²⁴⁸ ეს სისტემა ემყარება იურიდიული პრეცედენტების ერთგულად დაცვას, რაც უზრუნველყოფს სამართლებრივი ნორმების პროგნოზირებადობასა და სტაბილურობას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, პრეუდიციის პრინციპი ხშირად გამოიყენება როგორც ფედერალურ, ასევე შტატების დონეზე. კერძოდ, საქმე *Ashe v. Swenson* (1970) აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ განიხილა როგორც პრეცედენტი, რომელიც გამორიცხავს ერთი და იმავე ბრალდების ორჯერ განხილვას. გარდა ამისა, აშშ-ში მოქმედებს *collateral estoppel*-ის პრინციპი, რომელიც კრძალავს სასამართლოს მიერ ერთხელ განხილული საკითხის ხელახალ განხილვას.²⁴⁹

ევროპულ სასამართლო პრაქტიკაში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები პრეცედენტული ძალით მოქმედებს წევრ ქვეყნებზე, რაც უზრუნველყოფს სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნებას.²⁵⁰ პრეუდიციული გარემოებები აქტიურად გამოიყენება გერმანიაში, სადაც სამართლებრივი პრინციპები ეფუძნება სამართლებრივი ნორმების სისტემატურ განვითარებას. გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს ხშირად სავალდებულო

²⁴⁶ European Court of Human Rights (2005). *Van Kück v. Germany*, Case No. 35968/97. Strasbourg: ECHR Reports.

²⁴⁷ Miller R., *Comparative Law and Precedents*. Stanford University Press, 2019, p. 150;

²⁴⁸ UK Supreme Court Case Law on *Stare Decisis* in the UK. London: UK Supreme Court Reports, 2020;

²⁴⁹ US Supreme Court *Ashe v. Swenson*, 397 U.S. 436 (1970). Washington, D.C.: US Supreme Court Reports, 1970;

²⁵⁰ ECHR. Recent Decisions on Judicial Precedents. Strasbourg: European Court of Human Rights, 2022

ხასიათი აქვს ქვედა ინსტანციის სასამართლოებისთვის, რაც ხელს უწყობს ერთიანი სამართლებრივი სივრცის შექმნას.²⁵¹

საფრანგეთში, რომელიც კონტინენტური სამართლის სისტემას ეყრდნობა, პრეუდიცია ფორმალურად არ არის სავალდებულო, თუმცა საკასაციო სასამართლოს (Cour de cassation) გადაწყვეტილებებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ქვედა ინსტანციის სასამართლოების პრაქტიკაზე. საფრანგეთის სამართლებრივი სისტემა იშვიათად მიმართავს პრეცედენტულობას, მაგრამ პრაქტიკაში, სასამართლო გადაწყვეტილებები დიდ გავლენას ახდენს მომდევნო საქმეების გადაწყვეტაზე.²⁵²

შვეიცარიაში, სასამართლოები გარკვეულწილად იყენებენ პრეცედენტს, თუმცა, მათი სამართლებრივი სისტემა მეტ ყურადღებას აქცევს საკანონმდებლო ნორმებს. შვეიცარიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებები გარკვეულწილად სავალდებულოა ქვედა ინსტანციის სასამართლოებისთვის, მაგრამ ადგილობრივი სასამართლოები სარგებლობენ უფრო ფართო დისკრეციით.²⁵³ ამრიგად, სხვადასხვა ქვეყნების სასამართლო სისტემებში პრეუდიციის გამოყენება სხვადასხვაგვარად რეგულირდება. ზოგიერთ სახელმწიფოში იგი სავალდებულოა, ზოგან კი მხოლოდ რეკომენდაციულ ხასიათს ატარებს. თუმცა, საერთო ტენდენცია აჩვენებს, რომ პრეუდიციული გარემოებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართლებრივი სისტემების სტაბილურობისა და თანმიმდევრულობის უზრუნველყოფაში. პრეუდიციული გარემოებების გამოყენებას აქვს როგორც უპირატესობები, ისე გამოწვევები. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიკერძოებულობა ან არასათანადოდ დასაბუთება, რაც შეიძლება გამოიწვიოს სასამართლო შეცდომები.²⁵⁴ პრაქტიკაში, გამოწვევას წარმოადგენს ის, რომ ხშირად სასამართლოები არ არიან თანმიმდევრულნი პრეუდიციული გარემოებების

²⁵¹ German Federal Constitutional Court, 2021 https://www.bundesverf4_1bvr265618en.html

²⁵² French Supreme Court, 2020, <https://eapil.org/2020/03/10/french-supoi-in-parenthood-matters/>

²⁵³ Swiss Federal Court, 2019., <https://www.europeanlawinstitute.eu/ers/swiss-federal-supreme-court>

²⁵⁴ Clark E., Judicial Bias and Precedents in Legal Systems. Princeton University Press, 2021, p. 180.

გამოყენებაში, რაც ართულებს სამართლებრივი ნორმების ერთგვაროვნებას.²⁵⁵ მეორე პრობლემა არის ის, რომ პრეუდიციული გარემოებები შეიძლება გამოიწვიოს სამართლებრივი გაურკვევლობა იმ შემთხვევაში, თუ ახალი მტკიცებულებები გამოდის საქმეში. მაგალითად, სისხლის სამართლის პროცესში განაჩენის შემდეგ ახალი, გამამართლებელი მტკიცებულების გაჩენა შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს პრეუდიციის პრინციპს, რაც ართულებს სამართლებრივ პროცესს.²⁵⁶ პრეუდიციული გარემოებების გამოყენება სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მაგრამ მისი პრაქტიკული გამოყენება საჭიროებს მკაცრ სამართლებრივ ჩარჩოს და საერთაშორისო სტანდარტების დაცვას. იმისათვის, რომ სასამართლო პროცესები სამართლიანი და ეფექტიანი იყოს, აუცილებელია სასამართლოებმა გააანალიზონ პრეუდიციის ყველა ასპექტი და დაიცვან კანონმდებლობის მოთხოვნები, რათა თავიდან აიცილონ სამართლებრივი გაურკვევლობა და შესაძლო უსამართლობა.²⁵⁷

4.4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენება განაჩენის დასაბუთებისას

სამართლებრივი პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი არის განაჩენის დასაბუთება, რაც აუცილებელია როგორც სამართლიანობისთვის, ასევე სასამართლო პრაქტიკის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. განაჩენის დასაბუთება გულისხმობს მოსამართლის მიერ კონკრეტული სამართლებრივი ნორმების, ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი არგუმენტების დეტალურ განმარტებას, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების სამართლიანობას, გამჭვირვალობას და

²⁵⁵ Davis T., Challenges in the Use of Judicial Precedents. Columbia Law Review, Vol.135, 2020, p. 300

²⁵⁶ Johnson L. The Impact of New Evidence on Established Precedents. Journal of Legal Studies, Vol. 29, 2018. p. 75;

²⁵⁷ Taylor K., Ensuring Legal Consistency Through Precedents. Cambridge University Press, 2022. p. 60

მომავალი სამართლებრივი პრაქტიკის ერთგვაროვნებას.²⁵⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს განაჩენის სამართლებრივ ლეგიტიმურობაზე და ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკაზე. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს კანონმდებლობის განმარტების პრაქტიკას, რადგან ქვედა ინსტანციების სასამართლოები, მართალია, ფორმალურად არ არიან ვალდებული უშუალოდ მიჰყვნენ უზენაესი სასამართლოს პრეცედენტებს, თუმცა მათი გათვალისწინება ხელს უწყობს გადაწყვეტილებების ჰარმონიზაციას და სამართლებრივი ერთიანობის შექმნას. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კი არა მხოლოდ სამართლებრივ დისკურსს განსაზღვრავს, არამედ ხშირად მოქმედი კანონმდებლობის გადახედვის საფუძვლადაც შეიძლება იქცეს. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ადამიანის უფლებების დაცვის, კონსტიტუციური ნორმების ინტერპრეტაციისა და კანონის კონსტიტუციურობის შეფასების პროცესში. ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართლებრივი სისტემის კონსტიტუციურ ჩარჩოებში მოქცევაში და მისი სტაბილურობის განმტკიცებაში.²⁵⁹ საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკა აჩვენებს, რომ განაჩენის დასაბუთება ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება. კერძოდ, ადამიანის უფლებებთან, კანონების განსხვავებულ ინტერპრეტაციასთან და ნორმების გამოყენებასთან დაკავშირებულ საქმეებში ხშირად იკვეთება არასაკმარისი არგუმენტაცია. ამ გამოწვევების გადასაჭრელად მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო ორგანოებმა უფრო აქტიურად გამოიყენონ უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ

²⁵⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი https://www.supremecourt.ge/?utm_source

²⁵⁹ დემოკრატიის ინდექსის კვლევა: „სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ხარისხის კვლევა“, 2020, 5.

ჩამოყალიბებული პრაქტიკა, რათა უზრუნველყონ განაჩენების დასაბუთებულობა და სამართლებრივი პროცესის გამჭვირვალობა.²⁶⁰

უზენაესი სასამართლო უმაღლესი იურისდიქციის ორგანოა, რომლის პრეცედენტული გადაწყვეტილებები ქმნის გზამკვლევს ქვედა ინსტანციებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სამართლებრივ სისტემაში პრეცედენტული სამართალი არ არის სავალდებულო, უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები პრაქტიკულად აისახება სამართლებრივ პრაქტიკაში.²⁶¹ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები კრიტიკულად მნიშვნელოვანია ნორმების განმარტებისა და ერთგვაროვანი სამართლებრივი სივრცის ჩამოყალიბებისთვის. სასამართლო პრაქტიკაში ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც კანონმდებლობა ორაზროვანია ან კონკრეტულ საქმესთან მიმართებით გაურკვევლობებს ტოვებს. ასეთ ვითარებაში, უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მკაფიო მიმართულებას აძლევს ქვედა ინსტანციებს, რაც სასამართლო სისტემაში წინასწარხედვადობასა და პროგნოზირებადობას უზრუნველყოფს.²⁶² გარდა ამისა, უზენაესი სასამართლოს პრეცედენტები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების გაუმჯობესებაში. საერთაშორისო სამართლის პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს უზენაესი სასამართლო ხშირად მიმართავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას და საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს სასამართლო სისტემის შესაბამისობას თანამედროვე სამართლებრივ სტანდარტებთან.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს, შეესაბამება თუ არა კანონები და ნორმატიული აქტები

²⁶⁰ საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი - ევროპის საბჭო., 2017., 54. <https://rm.coe.int/168070a54c>

²⁶¹ კონსტიტუციური სამართლის საკითხები - იურიდიული კვლევები., <https://ilpr.ge/wp-content/uploads/book/book-3.pdf>

²⁶² ევროპის საბჭო - ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები და მათი გავლენა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაზე., <https://rm.coe.int/168070a54c>

კონსტიტუციას. მისი გადაწყვეტილებები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და სასამართლოსთვის.²⁶³ საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქცია მოიცავს არა მხოლოდ კონსტიტუციური ნორმების დაცვას, არამედ სამართლებრივი დისკურსის ჩამოყალიბებასა და კონსტიტუციური პრინციპების განმარტებას. მისი გადაწყვეტილებები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერებას, რაც აისახება როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო სამართლებრივ სისტემაში.²⁶⁴ განაჩენის დასაბუთებისას საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინება მნიშვნელოვანია, რადგან იგი ქმნის სასამართლო გადაწყვეტილებების სამართლებრივ საყრდენს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება კონსტიტუციურ პრინციპებს, ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სისტემატური გამოყენება ზრდის მართლმსაჯულების ხარისხს, აძლიერებს სამართლებრივი პროცესის გამჭვირვალობას და ხელს უწყობს ნორმატიული ბაზის ერთიანობას.²⁶⁵ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები შეიძლება გახდეს ახალი საკანონმდებლო ინიციატივების საფუძველი. მაგალითად, ევროპულ პრაქტიკაში მრავალი ქვეყანა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს განიხილავს, როგორც საკანონმდებლო პროცესის შემადგენელ ნაწილს, რაც ქმნის სამართლებრივ სტანდარტებს და უზუსტებებს აცილებს ეროვნულ კანონმდებლობაში.

საქართველოს სასამართლო სისტემაში განაჩენის დასაბუთების ხარისხი ხშირად გამოწვევებს აწყდება. სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ ზოგჯერ განაჩენებში არ არის სათანადოდ

²⁶³ კუჭუხიძე ა., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა". 2021., გვ. 76. ხელმისაწვდომია: <https://clr.iliauni.edu.ge/index.php/journal/article/view/153>

²⁶⁴ გეგენავა დ., „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების ზოგიერთი საკითხი“. 2022, გვ. 45. ხელმისაწვდომია: <https://clr.iliauni.edu.ge/index.php/journal/article/view/153>

²⁶⁵ დემოკრატიის ინდექსი საქართველო. „საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხი“. ხელმისაწვდომია: <https://democracyindex.ge/>

დასაბუთებული, რატომ და როგორ ეყრდნობა კონკრეტული შემთხვევა არსებულ სასამართლო პრაქტიკას. ეს განსაკუთრებით პრობლემურია, როდესაც საქმე ეხება ადამიანის უფლებებს ან რთულ სამართლებრივ საკითხებს, სადაც საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები უნდა ითვალისწინებოდეს.²⁶⁶ განაჩენის დასაბუთების პროცესში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სამართლებრივი ნორმების ზედაპირული მითითება, არამედ მათი დეტალური ანალიზი, არსებული პრეცედენტების განხილვა და კონკრეტულ შემთხვევასთან შესაბამისობის განმარტება. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ განვითარებული სამართლებრივი სისტემები დიდ ყურადღებას უთმობენ მოსამართლის მიერ არგუმენტაციის სიღრმესა და ხარისხს, რაც იწვევს უფრო პროგნოზირებად და სტაბილურ სამართლებრივ გარემოს.²⁶⁷ განსაკუთრებით პრობლემურია განაჩენების მოკლე და ზედაპირული დასაბუთება, რაც ქმნის სამართლებრივ გაურკვევლობას და ზოგჯერ არღვევს სამართლიანი სასამართლოს პრინციპს. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სამოსამართლო კორპუსის პროფესიული განვითარება, შესაბამისი ტრენინგებისა და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება, რაც ხელს შეუწყობს გადაწყვეტილებების ხარისხიან დასაბუთებას. გარდა ამისა, საჭიროა ცალკეული სამართლებრივი ინსტრუმენტების ეფექტიანი გამოყენება, როგორიცაა სამართლებრივი ანალიზის საფუძვლიანი მეთოდები, სამეცნიერო დოქტრინის გათვალისწინება და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების იმპლემენტაცია. ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სათანადო დასაბუთება არა მხოლოდ ინდივიდუალური უფლებების დაცვისთვის არის მნიშვნელოვანი, არამედ სასამართლო გადაწყვეტილებებისადმი საზოგადოების ნდობის გასამყარებლადაც.²⁶⁸

²⁶⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები <https://constcourt.ge/ka>

²⁶⁷ ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური მექანიზმები - გაერო და ევროკავშირი <https://rm.coe.int/168008ebdb>

²⁶⁸ ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები და მათი გავლენა ეროვნული სასამართლო პრაქტიკაზე., <https://rm.coe.int/168070a54c>

საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ უმაღლესი ინსტანციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გავლენა განაჩენის დასაბუთებაზე თითქმის ყველა ქვეყანაში მნიშვნელოვანი ფაქტორია. მაგალითად, აშშ-სა და გაერთიანებულ სამეფოში უზენაესი სასამართლოს პრეცედენტები მტკიცე იურიდიული მნიშვნელობის მატარებელია და სავალდებულოა ქვედა ინსტანციებისთვის.²⁶⁹ აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები ხშირად განსაზღვრავს ქვეყნის სამართლებრივი მიმართულების ზოგად ტრენდს, ხოლო გაერთიანებულ სამეფოში სტარე დეკიზის (precedent-based system) პრინციპი უზრუნველყოფს იურიდიული პრაქტიკის სტაბილურობასა და პროგნოზირებადობას.²⁷⁰

კონტინენტური ევროპული ქვეყნების, როგორცაა გერმანია და საფრანგეთი, სასამართლო სისტემა მეტწილად სტრუქტურირებულია საკანონმდებლო აქტებზე დაყრდნობით, მაგრამ ამ ქვეყნებში უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკა მაინც დიდ როლს ასრულებს სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებაში.²⁷¹ გერმანიაში ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ხშირად განმსაზღვრელია საკანონმდებლო ინიციატივებისთვის, ხოლო საფრანგეთში საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეროვნული კანონმდებლობის ინტერპრეტაციაზე.²⁷² ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სასამართლო პრაქტიკაზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტების გამოყენება ეროვნულ სასამართლოებში აძლიერებს უფლებრივი დაცვის მექანიზმებს და ხელს

²⁶⁹ აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზი - Harvard Law Review., https://harvardlawreview.org/?utm_source

²⁷⁰ გაერთიანებული სამეფოს პრეცედენტული სამართლის სისტემა - Oxford University Press., <https://corp.oup.com/>

²⁷¹ საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს როლი ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში - European Journal of Legal Studies., <https://ejls.eu.eu/>

²⁷² გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები - Max Planck Institute for Comparative Public Law., <https://www.mpil.de/en/pub/news.cfm>

უწყობს ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დაცვას. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებები კი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წევრი სახელმწიფოების სამართლებრივ ინტეგრაციაზე.²⁷³

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებების გამოყენება განაჩენის დასაბუთებისას არა მხოლოდ უზრუნველყოფს კანონმდებლობის ერთგვაროვნებას, არამედ ამყარებს საზოგადოების ნდობას მართლმსაჯულების სისტემისადმი. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების სისტემატური გამოყენება ხელს უწყობს სამართლებრივი ნორმების ერთიანი განმარტების განვითარებას, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს სამართლის პრაქტიკის სტაბილურობასა და თანმიმდევრულობას. მაგალითად, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების ინტერპრეტაციაზე, რაც უზრუნველყოფს უფრო პროგნოზირებად და სამართლებრივად დამყარებულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ინტეგრირება ქვედა ინსტანციის სასამართლოებში ხელს უწყობს კონსტიტუციური პრინციპების დაცვას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ამ გადაწყვეტილებების გათვალისწინება მაშინ, როდესაც საქმე ეხება ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებს. მაგალითად, კონსტიტუციური სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ხშირად გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო ქვედა ინსტანციის მოსამართლეებისთვის იმ შემთხვევებში, როდესაც საკანონმდებლო ნორმის შესაბამისობა კონსტიტუციასთან სადავოა.²⁷⁴

²⁷³ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებები და მათი გავლენა წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობაზე - European Court of Justice Reports., <https://eur-lex.europa.eu/collection/eu-law/eu-case-law/reports.html>

²⁷⁴ საქართველოს სასამართლო სისტემის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის კვლევა - საერთაშორისო სამართლებრივი ინიციატივა (ISLI) http://hcoj.gov.ge/Uploads/2024/%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%98%202020-2023_1.pdf

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სასამართლო სისტემა განაგრძობს ამ პროცესის დახვეწას და სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ხარისხის გაუმჯობესებას. კვლევები აჩვენებს, რომ მაღალი ხარისხის დასაბუთებული გადაწყვეტილებები ზრდის საზოგადოების ნდობას მართლმსაჯულების სისტემისადმი და ხელს უწყობს სამართლებრივი პროგნოზირებადობის ამღლებას.²⁷⁵ გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები მეტად აისახოს პრაქტიკაში, რათა უზრუნველყოს სამართლის ერთგვაროვანი გამოყენება და გააძლიეროს იურიდიული სივრცის ჰარმონიზაცია. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება იურიდიული განათლების განვითარებასა და მოსამართლეთა პროფესიულ გადამზადებას, რაც ხელს შეუწყობს სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესებასა და საერთაშორისო სტანდარტებთან მის დაახლოებას.

4.5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენება განაჩენის დასაბუთებისას

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (AHES) წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (AHEK) ზედამხედველ ორგანოს, რომელიც განიხილავს კერძო პირებისა და სახელმწიფოების საჩივრებს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების წინააღმდეგ. მისი გადაწყვეტილებები სავალდებულოა კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებისთვის და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეროვნული სასამართლოების მიერ განაჩენების დასაბუთებაზე, განსაკუთრებით იმ საქმეებში, რომლებიც ეხება ადამიანის უფლებათა დაცვას.²⁷⁶ AHES-ის პრეცედენტული პრაქტიკა უზრუნველყოფს ადამიანის

²⁷⁵ მართლმსაჯულების ნდობის საკითხები - გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ანგარიში <https://www.gyla.ge/files/%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1.pdf>

²⁷⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიში: სათაური: „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება და ეროვნული სასამართლოების როლი“ ბმული: <https://www.supremecourt.ge> გვ. 15;

უფლებათა დაცვის სტანდარტების ჰარმონიზაციას ევროპაში, რაც ხელს უწყობს ეროვნული სასამართლოების მიერ კონვენციის პრინციპების ერთგვაროვან ინტერპრეტაციასა და გამოყენებას.²⁷⁷ ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა ან სასამართლო პრაქტიკა არ არის საკმარისად განვითარებული ან არსებობს სამართლებრივი ვაკუუმი.²⁷⁸

ამ ნაშრომის მიზანია, გაანალიზოს AHES-ის გადაწყვეტილებების გამოყენების მნიშვნელობა საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში, ასევე, საერთაშორისო გამოცდილება ამ კუთხით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა AHES-ის პრეცედენტების ინტეგრაციას საქართველოს სასამართლოების მიერ და იმ გამოწვევებს, რომლებიც ამ პროცესს თან ახლავს.²⁷⁹ AHES-ის გადაწყვეტილებები სავალდებულოა იმ სახელმწიფოებისთვის, რომელთა წინააღმდეგაც გამოტანილია განაჩენი. ეს ვალდებულება გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (AHEK) 46-ე მუხლიდან, რომლის მიხედვითაც, ხელმომწერი სახელმწიფოები ვალდებული არიან, შეასრულონ AHES-ის გადაწყვეტილებები როგორც ინდივიდუალური, ისე, ზოგადი სამართლებრივი პრინციპების ნაწილში.²⁸⁰ თუმცა, მისი პრეცედენტული პრაქტიკა უფრო ფართო გავლენას ახდენს სხვა სახელმწიფოების სასამართლო პრაქტიკაზეც, რაც ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების ჰარმონიზაციას ევროპაში. მაგალითად, „Case of Al-Skeini and Others v. The United Kingdom” (2011) განსაზღვრავს სახელმწიფოების პოზიტიურ ვალდებულებებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, რაც

²⁷⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ანგარიში - "AHES-ის გადაწყვეტილებების აღსრულება და ეროვნული სასამართლოების როლი" (supremecourt.ge, 2023).

²⁷⁸ ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ვებგვერდი: სათაური: „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო“, ბმული: COE.INT, გვ. 49;

²⁷⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი: სათაური: „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: 50 კითხვა“, ბმული: ECHR.COE.INT გვ. 4.

²⁸⁰ ევროპის საბჭო - „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: უფლებრივი დაცვის მექანიზმები“, coe.int, 2024;

გავლენას ახდენს არა მხოლოდ ბრიტანეთის, არამედ სხვა სახელმწიფოების სასამართლო გადაწყვეტილებებზე.²⁸¹

AHES-ის პრეცედენტების გავლენა ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაზე. ეს ნიშნავს, რომ ეროვნული სასამართლოები, მათ შორის, საქართველოს სასამართლოები, ვალდებულნი არიან გაითვალისწინონ AHES-ის პრეცედენტები, რათა უზრუნველყონ კონვენციის პრინციპების დაცვა. საქართველოში AHES-ის გადაწყვეტილებების გათვალისწინება განსაკუთრებით აქტუალურია ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში, რაც აისახება სასამართლო პრაქტიკის ევოლუციაზე. მაგალითად, „Case of Identoba and Others v. Georgia“ (2015), რომელიც ეხებოდა ლგბტ უფლებების დაცვას და პოლიციის ვალდებულებას მშვიდობიანი დემონსტრანტების დაცვის კუთხით, გახდა პრეცედენტული საქმე საქართველოს სამართლებრივ სივრცეში.²⁸² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ მიუთითა, რომ ეროვნული სასამართლოებისათვის აუცილებელია AHES-ის პრეცედენტების გათვალისწინება, რათა თავიდან იქნას აცილებული საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა. მაგალითად, „Case of Merabishvili v. Georgia“ (2017) არსებითად შეცვალა საქართველოს სასამართლო პრაქტიკა წინასწარი პატიმრობის გამოყენებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის კუთხით.²⁸³ ასევე, „Case of Mammadov v. Azerbaijan“ (2014), რომელიც შეეხებოდა პოლიტიკური პატიმრობის საკითხს, გამოიყენეს როგორც სახელმძღვანელო პრეცედენტი საქართველოს ეროვნულ სასამართლოებში პოლიტიკურად მოტივირებული დევნის წინააღმდეგ.²⁸⁴ საქართველო AHEK-ის ხელშემკვერელი 1999 წლიდან გახდა, რაც ნიშნავს, რომ ამ დროიდან ქვეყნის სასამართლო სისტემა

²⁸¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „Case of Al-Skeini and Others v. The United Kingdom“, 2011, echr.coe.int.

²⁸² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება "Case of Identoba and Others v. Georgia" (2015) - echr.coe.int.

²⁸³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება "Case of Merabishvili v. Georgia" (2017) - echr.coe.int.

²⁸⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება "Case of Mammadov v. Azerbaijan" (2014) - echr.coe.int.

ვალდებულია გაითვალისწინოს AHES-ის პრეცედენტები. ეს მოვალეობა გამომდინარეობს კონვენციის 46-ე მუხლიდან, რომლის თანახმად, ხელმომწერი სახელმწიფოები ვალდებული არიან შეასრულონ AHES-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები როგორც კონკრეტულ საქმეებში, ისე, ზოგადი სამართლებრივი პრინციპების ნაწილში.²⁸⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მომზადებული მასალები ცხადყოფს, რომ AHES-ის გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაზე, განსაკუთრებით, ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების განმტკიცების კუთხით.

კვლევების მიხედვით, AHES-ის პრეცედენტების ინტეგრაცია ქართულ მართლმსაჯულებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ საკითხებში, როგორიცაა არასათანადო მოპყრობის აკრძალვა, სამართლიანი სასამართლოს უფლება და საკუთრების უფლებების დაცვა.²⁸⁶ მაგალითად, „Case of Ilascu and Others v. Moldova and Russia“ (2004) დაეხმარა საქართველოს სასამართლო სისტემას სახელმწიფო პასუხისმგებლობის განსაზღვრაში საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპების გათვალისწინებით.²⁸⁷ ასევე, „Case of Merabishvili v. Georgia“ (2017) იყო ერთ-ერთი საკვანძო საქმე, რომელმაც შეცვალა საქართველოს სასამართლო პრაქტიკა წინასწარი პატიმრობის გამოყენებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვასთან დაკავშირებით. ამ გადაწყვეტილებამ ხელი შეუწყო უფრო მკაფიო სამართლებრივი სტანდარტების ჩამოყალიბებას და ადამიანის უფლებათა დაცვას სასამართლო პროცესებში.²⁸⁸ გარდა ამისა, საქართველოს

²⁸⁵ ევროპის საბჭო - „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: უფლებრივი დაცვის მექანიზმები“.

²⁸⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „Case of Ilascu and Others v. Moldova and Russia“, 2004, echr.coe.int.

²⁸⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ანგარიში - „AHES-ის გადაწყვეტილებების აღსრულება და ეროვნული სასამართლოების როლი“, supremecourt.ge, 2023;

²⁸⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „Case of Merabishvili v. Georgia“ (2017) - echr.coe.int.

საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ მიუთითა, რომ ეროვნული სასამართლოებისათვის აუცილებელია AHES-ის პრეცედენტების გათვალისწინება, რათა თავიდან იქნას აცილებული საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობა.²⁸⁹ ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ საქმეებში, რომლებიც ეხება სამართლიანი სასამართლოს უფლებას, წამების აკრძალვასა და საკუთრების უფლებას.

კანონმდებლობის ერთგვაროვნება: AHES-ის გადაწყვეტილებების გათვალისწინება ხელს უწყობს სამართლებრივი ნორმების ერთგვაროვან ინტერპრეტაციას, რაც უზრუნველყოფს სამართლის სტაბილურობასა და პროგნოზირებადობას. ეროვნულ სასამართლოებში AHES-ის პრეცედენტების გამოყენება ხელს უწყობს სამართლის ერთიანობის განმტკიცებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს სამართლებრივი სისტემის კონტექსტში.²⁹⁰ მაგალითად, „Case of Marckx v. Belgium“ (1979) გავლენიანი პრეცედენტია საკუთრების უფლებების ინტერპრეტაციის კუთხით, რაც ქართულ სასამართლო სისტემას დაეხმარა საკუთრების დაცვის სტანდარტების დახვეწაში.²⁹¹

საზოგადოების ნდობა მართლმსაჯულების სისტემისადმი: სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთება AHES-ის პრეცედენტებზე დაყრდნობით აძლიერებს საზოგადოების ნდობას სასამართლო სისტემისადმი, რადგან ეს მიუთითებს საერთაშორისო სტანდარტების დაცვაზე. მაგალითად, „Case of D.H. and Others v. The Czech Republic“ (2007), რომელიც ეხებოდა დისკრიმინაციის საკითხებს განათლების სისტემაში, გამოყენებულ იქნა საქართველოს სასამართლოებში თანასწორუფლებიანობის პრინციპის განსამტკიცებლად.²⁹²

²⁸⁹ გაეროს განვითარების პროგრამის ანგარიში - „AHES-ის პრეცედენტები საქართველოში (2019-2023)“, undp.org, 2023.

²⁹⁰ გაეროს განვითარების პროგრამის ანგარიში - "AHES-ის პრეცედენტები საქართველოში (2019-2023)" (undp.org, 2023);

²⁹¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება "Case of Marckx v. Belgium" (1979) - echr.coe.int;

²⁹² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება "Case of D.H. and Others v. The Czech Republic" (2007) - echr.coe.int.

ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერება: AHES-ის პრაქტიკის გათვალისწინება უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტების დანერგვას ეროვნულ დონეზე.²⁹³ მაგალითად, „Case of Bouyid v. Belgium“ (2015), რომელიც ეხებოდა პოლიციის მიერ არასათანადო მოპყრობას, გამოყენებულ იქნა საქართველოს სასამართლოებში, რათა განმტკიცებულიყო სამართალდამცავთა პასუხისმგებლობა წამებისა და არასათანადო მოპყრობის თავიდან აცილებაში.²⁹⁴ სხვა ევროპული ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა აჩვენებს, რომ AHES-ის გადაწყვეტილებების გამოყენება განაჩენის დასაბუთებისას ფართოდ არის გავრცელებული. მაგალითად, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ხშირად ეყრდნობა AHES-ის პრეცედენტებს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხების განხილვისას, რაც აჩვენებს საერთაშორისო სტანდარტების მნიშვნელობას ეროვნული სამართლის ინტერპრეტაციაში.²⁹⁵

აღნიშნული ანალიზიდან გამომდინარე, ცხადია, რომ AHES-ის გადაწყვეტილებების გამოყენება განაჩენის დასაბუთებისას კრიტიკულად მნიშვნელოვანია როგორც სამართლებრივი ერთგვაროვნების, ასევე, ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების გაუმჯობესების თვალსაზრისით. უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებების გათვალისწინება ეროვნულ დონეზე უზრუნველყოფს სასამართლო პრაქტიკის ერთიანობას და პროგნოზირებადობას, რაც ხელს უწყობს სამართლებრივი სისტემის მდგრადობას.²⁹⁶ AHES-ის პრეცედენტული პრაქტიკა არა მხოლოდ სავალდებულო ხასიათს ატარებს იმ სახელმწიფოებისთვის, რომელთა წინააღმდეგაც გამოტანილია გადაწყვეტილება, არამედ მას ფართო გავლენა აქვს ეროვნული სასამართლო

²⁹³ ევროპის საბჭო - "ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: უფლებრივი დაცვის მექანიზმები" (coe.int, 2024);

²⁹⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება "Case of Bouyid v. Belgium" (2015) - echr.coe.int;

²⁹⁵ გაეროს განვითარების პროგრამის ანგარიში - "AHES-ის პრეცედენტები საქართველოში (2019-2023)" (undp.org, 2023).

²⁹⁶ ევროპის საბჭო - "ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: უფლებრივი დაცვის მექანიზმები" (coe.int, 2024).

სისტემების ჩამოყალიბებასა და ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების დახვეწაზე. საქართველოს სასამართლო პრაქტიკა აჩვენებს, რომ AHES-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ხშირად ხდება სამართლებრივი რეფორმების საფუძველი, რაც კიდევ უფრო აძლიერებს კონსტიტუციური და სამართლებრივი სისტემის ლეგიტიმურობას.²⁹⁷ გარდა ამისა, სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების პროცესში AHES-ის პრეცედენტებზე დაყრდნობა ხელს უწყობს საზოგადოების ნდობის გაძლიერებას სასამართლო სისტემისადმი, რადგან ეს მიუთითებს საერთაშორისო სტანდარტების დაცვაზე და ადამიანის უფლებათა დაცვის მაღალი სტანდარტების დანერგვაზე ეროვნულ დონეზე. მაგალითად, „Case of Identoba and Others v. Georgia“ (2015) პრეცედენტული გახდა, რაც შეეხება სამართალდამცავი ორგანოების ვალდებულებებს დემონსტრანტების დაცვის კონტექსტში და მისი გათვალისწინება გააუმჯობესებს ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმებს საქართველოში.²⁹⁸ ამგვარად, საქართველოს სასამართლო სისტემა უნდა გააგრძელოს AHES-ის გადაწყვეტილებების ინტეგრაცია, რათა მოხდეს სამართლებრივი სტანდარტების დახვეწა და ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების გაუმჯობესება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ საკმეებში, რომლებიც დაკავშირებულია სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან, თავისუფლებისა და უსაფრთხოების დაცვასთან და დისკრიმინაციის პრევენციასთან. AHES-ის პრეცედენტების გამოყენება საქართველოს სამართლებრივი სისტემისთვის არამარტო ვალდებულებაა, არამედ განვითარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტიც.²⁹⁹

²⁹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ანგარიში - „AHES-ის გადაწყვეტილებების აღსრულება და ეროვნული სასამართლოების როლი“ (supremecourt.ge, 2023);

²⁹⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება "Case of Identoba and Others v. Georgia" (2015) - echr.coe.int;

²⁹⁹ გაეროს განვითარების პროგრამის ანგარიში - „AHES-ის პრეცედენტები საქართველოში (2019-2023)“, (undp.org, 2023).

თავი V. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი სამართლებრივი სისტემის ეფექტიანობის შეფასების ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია. მართლმსაჯულების გამჭვირვალობის, დასაბუთებულობისა და სამართლიანობის ხარისხი განისაზღვრება იმით, თუ რამდენად თანმიმდევრულად და არგუმენტირებულად ხდება განაჩენების მიღება. განაჩენის დასაბუთება სასამართლო გადაწყვეტილების ლეგიტიმურობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლო პროცესების სამართლიანობას და მათი შედეგების სანდოობას. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი იძლევა შესაძლებლობას, განისაზღვროს კანონმდებლობის ეფექტიანობა, სასამართლოს მიერ ნორმატიული აქტების ინტერპრეტაციის ერთგვაროვნება და სამართლებრივი ნორმების პრაქტიკაში გამოყენების ხარისხი. სასამართლო აქტების დეტალური ანალიზი საშუალებას გვაძლევს, გამოვავლინოთ არსებული ხარვეზები, სამართლებრივი ნორმების ინტერპრეტაციის პრობლემები და დასაბუთების ხარისხი. ეს პროცესი გულისხმობს არა მხოლოდ განაჩენების შინაარსობრივი შეფასების მეთოდოლოგიურ ანალიზს, არამედ მათი შესაბამისობის შეფასებას როგორც ეროვნულ კანონმდებლობასთან, ისე, საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან. სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხი პირდაპირ გავლენას ახდენს საზოგადოების ნდობაზე მართლმსაჯულების სისტემის მიმართ.³⁰⁰ საქართველოს კონტექსტში, სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამართლებრივ გარემოზე და ადამიანთა უფლებრივ მდგომარეობაზე. სწორად დასაბუთებული სასამართლო აქტები არა მხოლოდ აყალიბებს სამართლებრივ ერთგვაროვნებას, არამედ აძლიერებს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს და ხელს უწყობს ადამიანის

³⁰⁰ ციმაკურიძე ე., ჯაფარიძე ქ., საქართველოს სასამართლო სისტემის დასაბუთების ხარისხი. Democracy Index (2023), 27.

https://democracyindex.ge/uploads_script/studies/tmp/phpuQ119u.pdf?utm_source

უფლებების დაცვას. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში განხორციელდა სასამართლო რეფორმები, მათი პრაქტიკული ეფექტიანობა კვლავ საჭიროებს შეფასებას. ამიტომ, სასამართლო პრაქტიკის შეფასება კრიტიკულად მნიშვნელოვანია როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სამართლებრივი კონტექსტის გათვალისწინებით.³⁰¹

საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ სამართლებრივი სისტემის სანდოობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მკაფიო და სრულყოფილია სასამართლო განაჩენის დასაბუთება. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ანალიზი ცხადყოფს, რომ დასაბუთების ნაკლებობა ხშირად იწვევს სააპელაციო დავებს და სამართლებრივი სისტემის არაეფექტიანობას. შესაბამისად, საქართველოს სასამართლო სისტემა უნდა მიმართავდეს საერთაშორისო პრაქტიკას, რათა განამტკიცოს მართლმსაჯულების ხარისხი და სამართლებრივი უსაფრთხოება.³⁰²

5.1. პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი განაჩენების დასაბუთებულობა

პირველი ინსტანციის სასამართლოები მართლმსაჯულების სისტემის საწყის საფეხურს წარმოადგენენ და მათი გადაწყვეტილებების ხარისხი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამართლებრივი პროცესის სამართლიანობასა და ეფექტიანობაზე. განაჩენის დასაბუთებულობა განსაზღვრავს სასამართლოს ობიექტურობას, მიუკერძოებლობას და კანონის ერთგვაროვან გამოყენებას.³⁰³ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენი უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე ძირითად

³⁰¹ Supreme Court of Georgia (2023) - პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენების დასაბუთებულობა, გვ. 7

https://old.supremecourt.ge/print/?id=64&lang=geo&page=text&utm_source

³⁰² European Court of Human Rights, 2023, გვ. 36;

³⁰³ ციმაკურიძე ე., ჯაფარიძე ქ., საქართველოს სასამართლო სისტემის დასაბუთების ხარისხი. Democracy Index, 2023, 27.

https://democracyindex.ge/uploads_script/studies/tmp/phpuQ119u.pdf?utm_source

კრიტერიუმს, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტებით.

ნორმატიული შესაბამისობა – განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს საქართველოს კონსტიტუციას, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის კოდექსებს, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

ფაქტობრივი გარემოებების დეტალური ანალიზი – მოსამართლე ვალდებულია, განიხილოს საქმის ყველა არსებითი მტკიცებულება და გაანალიზოს მათი სამართლებრივი მნიშვნელობა.³⁰⁴

სამართლებრივი არგუმენტაცია – განაჩენი უნდა შეიცავდეს სამართლებრივ დასაბუთებას, თუ რატომ იქნა მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილება.³⁰⁵

პროგნოზირებადობა და თანმიმდევრულობა – გადაწყვეტილებები არ უნდა იყოს თვითნებური, არამედ უნდა ეფუძნებოდეს ადრინდელ პრეცედენტებს და დადგენილ სამართლებრივ პრინციპებს.³⁰⁶

საქართველოს სასამართლო სისტემის ანალიზი აჩვენებს, რომ პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი განაჩენების დასაბუთების ხარისხი ხშირად წარმოადგენს დისკუსიის საგანს. რამდენიმე ძირითადი პრობლემა გამოიკვეთა:

ზედაპირული დასაბუთება – გადაწყვეტილებებში ხშირად არ არის დეტალურად განხილული მტკიცებულებების ღირებულება და მათი გავლენა საბოლოო გადაწყვეტილებაზე.³⁰⁷

³⁰⁴ European Court of Human Rights (2023) - პრეცედენტული გადაწყვეტილებები ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებზე, [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-177682%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-177682%22]})

³⁰⁵ ციმაკურიძე ე., ჯაფარიძე ქ., საქართველოს სასამართლო სისტემის დასაბუთების ხარისხი. Democracy Index (2023), 27.

https://democracyindex.ge/uploads_script/studies/tmp/phpuQ119u.pdf?utm_source

³⁰⁶ European Court of Human Rights (2023) - პრეცედენტული გადაწყვეტილებები ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებზე, [https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-177682%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-177682%22]})

³⁰⁷ ციმაკურიძე ე., ჯაფარიძე ქ., საქართველოს სასამართლო სისტემის დასაბუთების ხარისხი. Democracy Index (2023), 27. https://democracyindex.ge/uploads_script/studies/tmp/phpuQ119u.pdf?utm_source

პრეცედენტული სამართლის ნაკლებობა – არ ხდება ადრინდელი სასამართლო პრაქტიკის სათანადო გათვალისწინება, რაც იწვევს სამართლებრივი პრაქტიკის არათანმიმდევრულობას.³⁰⁸

მოსამართლეთა გადატვირთულობა – დიდი რაოდენობით საქმეების გამო მოსამართლეებს არ აქვთ სათანადო დრო და რესურსი განაჩენების სიღრმისეული დასაბუთებისთვის.

საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობა – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების არასათანადო გამოყენება, რაც ხელს უშლის ევროპული სამართლებრივი სტანდარტების იმპლემენტაციას ეროვნულ პრაქტიკაში. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის სათანადო სტანდარტით განხილვას და კანონიერი, სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. მხარეთა მიერ მტკიცებულებათა უაშუალო და ზეპირი გამოკვლევის შედეგად, მოსამართლე, მათი შეფასების გზით, უნდა მივიდეს არგუმენტირებულ დასკვნამდე. არ შეიძლება, მის მიერ გამოტანილი განაჩენი ემყარებოდეს ვარაუდს. პირის დამნაშავეობა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით უნდა დადგინდეს. თუმცა, სამწუხაროდ, პრაქტიკაში ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი სათანადოდ არაა დასაბუთებული. ასე, მაგალითად, ახალქალაქის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში, ბრალდების მხარე ითხოვდა პირის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება). დაცვის მხარე კი მიიჩნევდა, რომ ბრალდებულის ქმედება უნდა დაკვალიფიცირებულიყო საქართველოს სსკ-ის 124-ე მუხლით (ჯანმრთელობის დაზიანება გაუფრთხილებლობით). თუმცა, მოსამართლემ გაიზიარა ბრალდების მხარის არგუმენტები და ბრალდებული დამნაშავედ

³⁰⁸ European Court of Human Rights - პრეცედენტული გადაწყვეტილებები ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებზე, 2023
[https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-177682%22}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-177682%22})

ცნო სწორედ 117-ე მუხლის პირველი ნაწილით. სამოტივაციო ნაწილში კი განავითარა მსჯელობა: „ზემოაღნიშნული ნორმების მიხედვით, გაუფრთხილებლობითი დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანია ქმედების ჩადენა დაუდევრობით ან/და თვითიმედოვნებით. ჩვენს შემთხვევაში, მნიშნელოვანია, როგორ მოხდა გასროლა? გასროლა თუ არა თოფმა იმისგან დამოუკიდებლად, ვისაც იგი ეჭირა თუ გასროლა მოხდა მის მიერ? ამ შემთხვევაში, მნიშნელოვანია, თუ როგორ ეჭირა თოფი პირს - უმიზნებდა თუ არა დაზარალებულს? თუ უმიზნებდა - უნდოდა თუ არა სასხლეტზე თითის გამოკვრა, თუ შემთხვევით გამოკრა თითი? ან პირი იყო თვითიმედოვანი (თვითდაჯერებული), რომ უბრალოდ, შეაშინებდა წინ მიმავალს? ანდა იმდენად იყო თვითიმედოვანი (თვითდაჯერებული), რომ თოფი თვითონ არ გაისვრიდა? თუმცა, ბრალდებულმა განაცხადა, რომ არ უმიზნებდა დაზარალებულს... ყოველ შემთხვევაში, მას მძიმე შედეგი მოჰყვა. შესაბამისად, დაცვის მხარემ ვერ დაამტკიცა, რომ გასროლა ჩადენილია გაუფრთხილებლობით. პირიქით, დგინდება ბრალდებულის გულგრილი და უპასუხისმგებლო ქცევა - თოფის დამიზნება ადამიანზე და გასროლა, რამაც მიიყვანა სავალალო შედეგამდე. ამასთან, დაცვის მხარემ არ წარმოადგინა მტკიცებულება თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად“.³⁰⁹

მიმაჩნია, რომ სასამართლოს მიერ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენი დაფუძნებულია ვარაუდზე. ამასთან, თავად მოსამართლე სხვამს კითხვის ნიშნებს იმ გარემოებების შესახებ, რაც სადავოა და მიუთითებს, რომ გარემოება, რომელიც ბრალდების მხარის სამტკიცებელია, უნდა დაემტკიცებინა დაცვის მხარეს. ამ ფორმით განაჩენის დადგენა არღვევს სამართლიანი სასამართლოს პრინციპს და განაჩენის დასაბუთებულობის მოთხოვნებს. განაჩენი გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ დააკმაყოფილა დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარი, რის შედეგადაც შეიცვალა პირველი ინსტანციის სასამართლო განაჩენი და მსჯავრდებულის ქმედება გადაკვალიფიცირდა

³⁰⁹ ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 09 დეკემბრის №1/129-20 განაჩენი.

სსკ-ის 124-ე მუხლით. სააპელაციო სასამართლო ავითარებს მსჯელობას: „რომელი კონკრეტული მტკიცებულებით დასტურდება, რომ გასროლის მომენტში გ. მ.-ს ჰქონდა აღნიშნული ქმედების განხორციელების განზრახვა? აღნიშნულ ნაწილში ახალქალაქის რაიონული სასამართლო განმარტავს, რომ საქმეში არსებობს დაზარალებულის ა. მ-ის ფიცის ქვეშ მიცემული ჩვენება, რომელიც ადასტურებს, რომ გასროლის მომენტში ბრალდებული თოფს მას შეგნებულად უმიზნებს. სასამართლოს მხრიდან მტკიცებით ფორმატში დაზარალებულის ჩვენების არგუმენტად მოყვანა არასწორია იმ მარტივი მიზეზით, რომ დაზარალებულის ჩვენება საეჭვოა. ის გასროლის ფაქტზე ყურადღებას ამახვილებს სხვადასხვაგვარად. ერთ შემთხვევაში, დაზარალებული მიუთითებს, რომ მსჯავრდებულმა გაისროლა, მიიხედა და ტყვია მოხვდა თვალში. დაცვის მხარის შენიშვნის შემდეგ, რომ ეს ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება, დაზარალებული ცვლის მიდგომას და ამბობს, რომ მიბრუნდა და ნახა, როგორ ჰქონდა დამიზნებული მსჯავრდებულს მასზე ტყვია და როგორ გაისროლა. პრაქტიკულად, დაზარალებული ცდილობს დაასაბუთოს, რომ მსჯავრდებულმა მას განზრახ ესროლა. მისი მტკიცება ჩვენების მიცემისას არაა სათანადოდ სარწმუნო და სანდო, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლემ ეს ჩვენება გაიზიარა, როგორც უტყუარი მტკიცებულება. მოსამართლის შეფასება განზრახ განხორციელებულ ქმედებასთან დაკავშირებით მხოლოდ და მხოლოდ დაზარალებულის ჩვენებას ეყრდნობა. სხვა ვერც ერთი მოწმე და მტკიცებულება ვერ ასაბუთებს, რომ გ. მ-მა შეგნებულად, განზრახ ესროლა დაზარალებულს“.³¹⁰

ზემოხსენებული გარემოებების მხედველობაში მიღებით, სააპელაციო პალატა დასკვნის სახით აღნიშნავს, რომ ქმედების კვალიფიკაცია დამოკიდებულია არა მხოლოდ დანაშაულის ჩადენის იარაღზე და მიყენებული დაზიანების ლოკაციაზე, არამედ სხვადასხვა

³¹⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 15 სექტემბრის #18/54-22 განაჩენი;

ობიექტურ თუ სუბიექტურ გარემოებებსა და ნიშნებზე, რომლებიც უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად სხვა გარემოებებთან ერთად. პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების და ფაქტობრივ გარემოებათა ანალიზით ვერ დგინდება გ. მ.-ის განზრახვა, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიეყენებინა ა. მ.-სთვის. ბრალდების მხარის პოზიცია ამგვარი განზრახვის არსებობის შესახებ არ ემყარება უტყუარ მტკიცებულებებს და მხოლოდ დაუსაბუთებელ ვარაუდს წარმოადგენს. პირველი ინსტანციის სასამართლომ განაჩენის დადგენისას ჯეროვნად არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადგენილი ყველა ფაქტობრივი გარემოება, რამაც განაპირობა გ. მ.-ის ქმედების არასწორი სამართლებრივი შეფასება.³¹¹ აღნიშნულ საქმეზე საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება და დაუშვებლად ცნო ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი.³¹² ზემოხსენებული შემთხვევა ნათლად აჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია მართლმსაჯულებაში მტკიცებულებათა სწორი სამართლებრივი შეფასება. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით, მსჯავრდებულს განესაზღვრა 3 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთა. სააპელაციო სასამართლოს მიერ კვალიფიკაციის შეცვლამდე მან თითქმის 1 წელი გაატარა პენიტენციურ დაწესებულებაში, მაშინ, როცა საქართველოს სსკ-ის 124-ე მუხლი საერთოდ არ ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას. თავისუფლების შეზღუდვის დაკომპენსირება შეუძლებელია. შესაბამისად, სასამართლო მაქსიმალურად უნდა იყოს ორიენტირებული, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით უტყუარად დაადგინოს პირის ბრალეულობა.

ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელი

³¹¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 15 სექტემბრის #18/54-22 განაჩენი;

³¹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 12 იანვრის #1107აპ-22 განჩინება.

განაჩენი. მთავარი საფუძველი იყო ის ფაქტი, რომ ბრალდებულის ადვოკატმა, მის დაუსწრებლად, ბრალდების მხარის მტკიცებულებები სრულად ცნო უდავოდ, რაც პროცესუალური დარღვევა იყო და ბრალდებულის უფლებების დარღვევას წარმოადგენდა. „გამომიების და წინასასამართლო სხდომის სტადიაზე, ბრალდებული გ. ტ. არ ცნობდა თავს დამნაშავედ. ის იყენებდა დუმილის უფლებას. თუმცა, აშკარად გამოხატავდა სურვილს, სასამართლოში მისი ბრალეულობა გამორკვეულიყო მტკიცებულებათა ზეპირი და უშუალო გამოკვლევის გზით. პირველი ინსტანციის სასამართლომ გაითვალისწინა ადვოკატის მოსაზრება, რომელმაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოკვლევის გარეშე, უდავოდ ცნო ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები. შედეგად, გამოტანილი განაჩენით ვერ მოხდა სამართლებრივი საფუძვლის დადგენა. მას არ გააჩნდა კანონიერი საფუძველი.³¹³ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ გაკეთებული განმარტება, რომელიც ეხება ბრალდებულის უფლებას, სასამართლოს წინაშე გამოიკვლიოს მის წინააღმდეგ არსებული ბრალდების მხარის მტკიცებულებები, სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდებულის მიერ უფლებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს რამდენიმე საკვანძო საკითხს:

1. უფლებაზე არაორაზროვნად უარის თქმა - სასამართლომ უნდა შეამოწმოს, არსებობს თუ არა ეჭვი ბრალდებულის მხრიდან არაორაზროვნად გაკეთებული განცხადების შესახებ;
2. უფლებაზე უარის თქმა და საჯარო ინტერესი - მნიშვნელოვანია, რომ ბრალდებულის მიერ უფლების გამოყენებაზე უარის თქმა არ ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოებრივ ინტერესებს. მაგალითად, თუ ბრალდებულის უარი დააზიანებს გამოძიებას ან პროცესს, მაშინ მისი უარი უფლებაზე შეიძლება იყოს საზიანო;

³¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 12 იანვრის #1107აპ-22 განჩინება. იქვე.

3. ბრალდებულის სმარტული უნარი - უნდა შეფასდეს, რამდენად გონივრულად ჰქონდა ბრალდებულს გააზრებული მისი გადაწყვეტილების (უფლებაზე უარის) სამართლებრივი შედეგები. თუ ბრალდებულს არ ჰქონდა შესაძლებლობა, ეს გაერკვია, მისი უარი შეიძლება ჩაითვალოს არასწორად მიღებულად.

ამგვარი შეფასებები გვხვდება საერთაშორისო პრაქტიკაშიც, რადგან უზრუნველყოფს სამართალწარმოებას, რომელიც ზრუნავს როგორც ინდივიდის უფლებების დაცვაზე, ისე, საზოგადოებრივი ინტერესების უზრუნველყოფაზე. ზემოაღნიშნული სტანდარტები, რომლებსაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად, სრულად ემთხვევა იმ პრინციპებს, რომლებითაც უზრუნველყოფილია ბრალდებულის უფლებები, მათ შორის, უფლება, უარი თქვას ბრალდების მხარის მოწმეების დაკითხვაზე. ეს სტანდარტები ეხება იმას, რომ ბრალდებულს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, სწორად გაიაზროს თავისი გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თუ ბრალდებულმა უარი თქვა ამ უფლებაზე, ის უნდა ყოფილიყო სრულად ინფორმირებული შედეგების შესახებ, ჰქონოდა შესაძლებლობა, გაეაზრებინა, რა ზეგავლენას მოახდენს ეს ყოველივე მის საქმეზე³¹⁴. აღნიშნული გადაწყვეტილებით უზენაესმა სასამართლომ დაადგინა პრეცედენტი, რომლის მიხედვითაც, ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა შეამოწმონ ბრალდებულის ნება, როდესაც ის უარს ამბობს საკუთარ უფლებებზე. ამასთანავე, სასამართლომ განმარტა, რომ კასაციის ეტაპზე ის არ არის უფლებამოსილი, შეასრულოს ისეთი ფუნქცია, როგორიცაა სწორი კვალიფიკაციის დადგენა, რადგან საპროცესო კანონმდებლობა ამის საშუალებას არ აძლევს. შედეგად, მან გააუქმა მეორე ინსტანციის გამამტყუნებელი განაჩენი და გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი. ამ გადაწყვეტილებით, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ სწორი და

³¹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 27 დეკემბრის #86აპ-23 განაჩენი.

სამართლიანი სამართლებრივი შეფასება არის არა მხოლოდ პროცესში მონაწილე მხარეების, არამედ, თავად, სასამართლოს ვალდებულება. როდესაც საქმე მხოლოდ ფორმალური კვალიფიკაციის შეცვლას ეხება, მნიშვნელოვანია, რომ საქმის ყველა ფაქტობრივი გარემოება და მტკიცებულება საფუძვლიანად იყოს გამოკვლეული. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენების დასაბუთება კრიტიკულად მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების სისტემის გამჭვირვალობისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად. დასაბუთებული განაჩენები ხელს უწყობს როგორც სამართლებრივი სტაბილურობის განმტკიცებას, ისე საზოგადოების ნდობის გაძლიერებას მართლმსაჯულების სისტემის მიმართ. განაჩენის სათანადო დასაბუთება განსაზღვრავს გადაწყვეტილების სამართლებრივ სიმძლიერეს, რაც მისი სამართლიანობისა და ლეგიტიმურობის გარანტიას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა, დასაბუთების ხარისხთან დაკავშირებული გამოწვევები კვლავ რჩება აქტუალურად. კვლევები აჩვენებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ხშირად მოკლებულია დეტალურ სამართლებრივ ანალიზს, რაც სამართლებრივი გაურკვევლობის და უსამართლობის განცდას იწვევს.³¹⁵

საერთაშორისო გამოცდილება და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები მიუთითებს, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილებები ზრდის მართლმსაჯულების ხარისხს და ამცირებს თვითნებური გადაწყვეტილებების რისკს. კერძოდ, „Case of Hadjianastassiou v. Greece“ (1992)-ის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასაბუთებული განაჩენი აუცილებელია მხარეთა მიერ მათი უფლებების და მოვალეობების ზუსტად

³¹⁵ Supreme Court of Georgia (2023) - პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენების დასაბუთებულობა, 56
https://old.supremecourt.ge/print/?id=64&lang=geo&page=text&utm_source

გასაგებად.³¹⁶ სამართლებრივი სტანდარტების დაცვა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება ხელს შეუწყობს საქართველოს სასამართლო სისტემის განვითარებას. პირველ რიგში, აუცილებელია მოსამართლეთა პროფესიული განვითარების გაგრძელება და ტრენინგების ინტენსივობის ზრდა საერთაშორისო პრეცედენტული სამართლის გამოყენების მიმართულებით. ასევე, საჭიროა ციფრული ინსტრუმენტების დანერგვა, რაც მოსამართლეებს გადაწყვეტილებების დასაბუთებისას უფრო ფართო სამართლებრივი ბაზის გამოყენების საშუალებას მისცემს.

ამ ქვეთავში გაანალიზდა კონკრეტული საქმეები და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები, რაც შესაძლებელს გახდის სასამართლო რეფორმების შემდგომი განვითარების მიმართულებების განსაზღვრას. ამის შედეგად, გაიზრდება საზოგადოებრივი ნდობა სასამართლოს მიმართ და უზრუნველყოფილი იქნება კონსტიტუციური პრინციპების დაცვა როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

5.2. მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენების დასაბუთებულობა. განსხვავებული აზრი

მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამართლებრივი პროცესის სამართლიანობის უზრუნველყოფაში. სასამართლოს დასაბუთებულობის ხარისხი განსაზღვრავს, თუ რამდენად შეესაბამება გადაწყვეტილება სამართლებრივ პრინციპებსა და მტკიცებულებათა შეჯერებას. გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა მნიშვნელოვანია, რადგან იგი უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს არსებობას, იცავს მხარეთა უფლებებს და ამცირებს თვითნებობის რისკს. ამ კონტექსტში, განსაკუთრებით საყურადღებოა განსხვავებული აზრის ინსტიტუტი, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს როგორც უმცირესობის მოსაზრებას,

³¹⁶ European Court of Human Rights (2023) - პრეცედენტული გადაწყვეტილებები ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებზე
[https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:\[%22001-177682%22}](https://hudoc.echr.coe.int/eng#{%22itemid%22:[%22001-177682%22})

ისე მნიშვნელოვანი კრიტიკის საფუძველს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების მიმართ.

საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკის მიხედვით, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს სამართლებრივად დასაბუთებულ არგუმენტებს. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში აღნიშნულია, რომ გადაწყვეტილებების დასაბუთება სამართლებრივი უსაფრთხოების გარანტიაა.³¹⁷ ქართულ სამართლებრივ სისტემაში სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთება რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ კანონით.³¹⁸ მეორე ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობის ხარისხი განისაზღვრება რამდენიმე ძირითადი ელემენტით:

მოტივირებული გადაწყვეტილება – სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენი უნდა შეიცავდეს სრულ და საკმარის არგუმენტაციას, რომელიც განმარტავს როგორც ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ საკითხებს. ასეთ გადაწყვეტილებებში აუცილებელია მოყვანილი იყოს სამართლებრივი ანალიზი, რომელიც სამართლებრივ პრეცედენტებს, შესაბამის სამართლებრივ ნორმებსა და საერთაშორისო პრაქტიკას ეყრდნობა.³¹⁹ ქართულ სამართლებრივ პრაქტიკაში აღნიშნული სტანდარტი განმტკიცებულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონით (მუხლი 29), სადაც მითითებულია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ კანონმდებლობას, არამედ იმ მტკიცებულებებს, რომლებიც საქმის მასალებშია წარმოდგენილი.

მტკიცებულებათა შეფასება – სასამართლოს ვალდებულებაა, განიხილოს ყველა წარმოდგენილი მტკიცებულება და გამოიტანოს

³¹⁷ ECHR, Case of Suominen v. Finland, 2003;

³¹⁸ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 84.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=134>

³¹⁹ ECHR, Case of Hirvisaari v. Finland, 2009;

დასაბუთებული გადაწყვეტილება. მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენი უნდა ასახავდეს მტკიცებულებათა შეფასების ობიექტურ და თანმიმდევრულ ანალიზს, რათა უზრუნველყოფილ იქნას სამართლებრივი სამართლიანობა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ასპექტია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, სადაც არაერთი საქმე ხაზს უსვამს მტკიცებულებათა შეფასების აუცილებლობას.³²⁰ ასევე, მტკიცებულებათა სრულფასოვანი ანალიზის საჭიროება დაფიქსირებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებში, მაგალითად, საქმეში #2/1/370 (2007).

წინააღმდეგობრივი არგუმენტაციის განხილვა – სასამართლომ უნდა განმარტოს, რატომ არ დაეთანხმა გარკვეულ მტკიცებულებებს ან სამართლებრივ დასაბუთებებს. დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში აუცილებელია დეტალურად აიხსნას, რატომ მიიჩნევს სასამართლო, რომ ზოგიერთი მტკიცებულება სანდო არ არის ან რატომ არ მიენიჭა მას გადამწყვეტი მნიშვნელობა. აღნიშნული სტანდარტი უზრუნველყოფს სასამართლოს გადაწყვეტილების გამჭვირვალობას და ლოგიკურ თანმიმდევრულობას.³²¹ საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკაში ეს პრინციპი გაწერილია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსში, სადაც ნათქვამია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს არგუმენტაციას, თუ რატომ არ იქნა მიღებული მხარის მიერ წარმოდგენილი კონკრეტული მტკიცებულება.

განსხვავებული აზრის მნიშვნელობა – განსხვავებული მოსაზრებების არსებობა მიუთითებს სასამართლო პროცესის გამჭვირვალობასა და პლურალიზმზე, რაც აძლიერებს გადაწყვეტილების ლეგიტიმურობას. განსხვავებული მოსაზრებები ხშირად ასახავს იმ სამართლებრივ და დოგმატურ განსხვავებებს, რომლებიც შესაძლოა არსებობდეს კონკრეტულ საქმეზე მოსამართლეთა შორის. საერთაშორისო

³²⁰ Fair Trial under Article 6 ECHR, Van Dijk et al, 2018.

³²¹ R. v. Sheppard, [2002] UKHL 26.

პრაქტიკაში ასეთი მოსაზრებები მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს სასამართლო დისკუსიის გაღრმავებას და სამართლებრივი სისტემის განვითარებას.³²² ქართულ სასამართლო პრაქტიკაში განსხვავებული აზრის ინსტიტუტი განსაკუთრებით აქტუალური გახდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების კონტექსტში, სადაც მოსამართლეთა უმცირესობის აზრი ხშირად ასახავს საკანონმდებლო ხარვეზებზე და შესაძლო რეფორმებზე მოსაზრებებს.³²³ მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული დასაბუთებული განაჩენები მნიშვნელოვანი ელემენტია სამართლიანი და დემოკრატიული სამართლებრივი სისტემის ფუნქციონირებისთვის. მათი არსებობა არა მხოლოდ აძლიერებს კონკრეტული საქმეების სამართლიანობის ხარისხს, არამედ განსაზღვრავს სამართლებრივი სისტემის მთლიან ლეგიტიმურობას.

სრულიად დასაბუთებული გადაწყვეტილებები უზრუნველყოფენ სამართლებრივი სტაბილურობის შენარჩუნებასა და სასამართლო პრაქტიკის გაძლიერებას. დასაბუთებულობა აძლიერებს სასამართლოს ავტორიტეტს და საზოგადოების ნდობას, რაც ხელს უწყობს სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცებას. ეს პროცესი ხელს უწყობს სასამართლოს გადაწყვეტილებების პროგნოზირებადობას და სამართლებრივი სივრცის მდგრად განვითარებას.³²⁴

განსხვავებული აზრის ინსტიტუტი კი დამატებით აძლიერებს სასამართლო პროცესის გამჭვირვალობას და უზრუნველყოფს სამართლებრივი დისკუსიების განვითარებას, რაც სამომავლოდ უფრო პროგრესული და სტაბილური სამართლებრივი გარემოს ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. იგი ხელს უწყობს სასამართლო პრაქტიკის დახვეწას და ახალი სამართლებრივი ტენდენციების განვითარებას, რაც დემოკრატიული საზოგადოების ძირითადი მახასიათებელია. შესაბამისად, მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული დასაბუთებული განაჩენები არა

³²² Cassese, A., *Dissenting Opinions in International Law*, 2008.

³²³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე #1/3/554, 2013.

³²⁴ Zuckerman A., „Principles of Civil Procedure“, 2020., P. 76.

მხოლოდ აყალიბებს სამართლებრივ დოქტრინებს, არამედ საფუძველს უყრის სამართლებრივი სახელმწიფოს გაძლიერებას.³²⁵

5.3. უზენაესი სასამართლოს როლი ნორმათა განმარტებისას და მისი გავლენა საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე

უზენაესი სასამართლო უმაღლესი იურიდიული ინსტანციაა, რომლის ძირითადი მოვალეობა არ შემოიფარგლება მხოლოდ სამართლის გამოყენებით, არამედ მოიცავს მის ინტერპრეტაციასაც. მისი გადაწყვეტილებები არა მხოლოდ კონკრეტულ საქმეებზე ვრცელდება, არამედ განსაზღვრავს სამართლებრივ პრინციპებს, რომლებიც, შემდგომში, საერთო სასამართლო სისტემისთვის სავალდებულო ხდება. სწორედ უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული განმარტებები და გადაწყვეტილებები ქმნის სამართლებრივ პრეცედენტებს, რომლებიც უზრუნველყოფს სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნებას და ხელს უწყობს სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცებას. ამ პროცესის მეშვეობით უზენაესი სასამართლო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის სამართლებრივი სტაბილურობის შენარჩუნებაში და უზრუნველყოფს, რომ კანონის განმარტება იყოს თანმიმდევრული და სამართლიანი. საქართველოს კანონმდებლობით, უზენაესი სასამართლო წარმოადგენს საბოლოო ინსტანციას, რაც ნიშნავს, რომ მისი გადაწყვეტილებები საბოლოოა და გადახედვას აღარ ექვემდებარება. ეს მისთვის განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გულისხმობს, რადგან სწორედ მისი განმარტებები ხდება სამართლებრივი ნორმების ოფიციალური და სავალდებულო ინტერპრეტაცია. ეს ფუნქცია უზენაეს სასამართლოს ანიჭებს მნიშვნელოვან ძალაუფლებას, რომელიც ვრცელდება არა მხოლოდ მიმდინარე დავებზე, არამედ სამართლის განვითარების ზოგად მიმართულებაზე. შესაბამისად, მისი გადაწყვეტილებები ქმნის მკაფიო სამართლებრივ ჩარჩოებს, რომლებიც საერთო სასამართლოებისთვის სავალდებულოა და უზრუნველყოფს

³²⁵ Sweet St., A., „Governing with Judges: Constitutional Politics in Europe“, 2000., P. 26.

სამართლებრივი სივრცის წინასწარ განსაზღვრულობასა და სამართლიანობას.³²⁶ უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არა მხოლოდ ინდივიდუალურ საქმეებზე, არამედ მთლიანად სამართლის განვითარებაზე და ქვედა ინსტანციების სასამართლო პრაქტიკაზე. მისი გადაწყვეტილებები ხშირად ქმნის პრეცედენტს, რომელიც შემდგომში სამართლებრივი პრაქტიკის განმსაზღვრელი ხდება. მაგალითად, აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს ხშირად აქვს შორს მიმავალი შედეგები ქვეყნის სამართლებრივ სისტემაზე, ვინაიდან მისი პრეცედენტები გავლენას ახდენს საერთო სასამართლო პრაქტიკაზე და სამართლებრივი ნორმების განმარტების მიმართულებაზე. როგორც სამართლის თეორეტიკოსები აღნიშნავენ, სასამართლოს წევრები არა მხოლოდ არსებული ნორმების განმარტებას ახდენენ, არამედ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს იღებენ, რომლებიც გავლენას ახდენს მომავალი სამართლებრივი განვითარების მიმართულებაზე.³²⁷ ეს ტენდენცია საერთაშორისოდ აღიარებულია და მიჩნეულია პრეცედენტული სამართლის ერთ-ერთ უმთავრეს მახასიათებლად. იმ ქვეყნების სამართლებრივ სისტემებში, სადაც პრეცედენტული სამართალი მოქმედებს, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები არა მხოლოდ კონკრეტული საქმის გადაწყვეტას ემსახურება, არამედ ქმნის სამართლებრივ პრინციპებს, რომლებიც შემდეგი სასამართლოებისთვის სავალდებულო ხდება. შედეგად, უზენაესი სასამართლოს საქმიანობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს არა მხოლოდ სამართლის აღსრულებაში, არამედ მისი ინტერპრეტაციისა და სამართლებრივი სივრცის ფორმირებაში, რაც უზრუნველყოფს სამართლებრივი სტაბილურობისა და სამართლიანობის შენარჩუნებას.

უზენაესი სასამართლოს მთავარი ფუნქცია არის სამართლებრივი ნორმების ინტერპრეტაცია, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია

³²⁶ საქართველოს კონსტიტუცია, 1995, მუხლი 84.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=134>

³²⁷ Epstein L., & Knight, J., The Choices Justices Make, 1998, p. 90.

სამართლებრივი სისტემის სტაბილურობისა და ერთიანობისთვის. მისი როლი არ შემოიფარგლება მხოლოდ კონკრეტული საქმეების განხილვით; პირიქით, სასამართლოს გადაწყვეტილებები ქმნის იმ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც ქვედა ინსტანციებისთვის სავალდებულოა და განსაზღვრავს სასამართლო პრაქტიკის ერთიანობასა და პროგნოზირებადობას. ამგვარი ფუნქციის შესრულება უზრუნველყოფს იმას, რომ კანონები თანმიმდევრულად და სამართლიანად იქნეს გამოყენებული სხვადასხვა საქმეებში, რაც აძლიერებს სამართლებრივ უსაფრთხოებას და მოქალაქეების ნდობას სასამართლოსადმი. ამ კუთხით, უზენაესი სასამართლო ვალდებულია არა მხოლოდ ეროვნული სამართლებრივი ნორმების განმარტება და გამოყენება, არამედ საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპების გათვალისწინებაც. თანამედროვე სამართლებრივი სივრცე სულ უფრო მეტად არის ინტეგრირებული საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან, რაც მოითხოვს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა მხედველობაში მიიღონ საერთაშორისო სამართლის პრინციპები და ინსტიტუტების პრაქტიკა. ამის ნათელი მაგალითია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ციტირებულია სხვადასხვა ქვეყნების ეროვნულ სასამართლოებში. ამგვარი პრაქტიკა მნიშვნელოვანია სამართლებრივი ჰარმონიზაციისთვის, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტების დაცვას და ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების ეფექტურ მუშაობას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს ეროვნული სასამართლო პრაქტიკის განვითარებაზე და ხშირად ეროვნული სასამართლოების მიერ გამოიყენება, როგორც სამართლებრივი არგუმენტაციის წყარო. ეს პროცესი არამხოლოდ ზრდის ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებების ხარისხს, არამედ ხელს უწყობს საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების გაძლიერებას და მათ

ერთიან ინტერპრეტაციას.³²⁸ შედეგად, უზენაესი სასამართლოს ფუნქცია მოიცავს არა მხოლოდ შიდა სამართლის კონტექსტში ნორმების განმარტებას, არამედ საერთაშორისო სამართლებრივ გარემოსთან აქტიურ კავშირს. ამ პროცესში სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ქმნის ერთიან და პროგნოზირებად სამართლებრივ სივრცეს, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების დაცვას. პრეცედენტული სამართლის მნიშვნელობა განსაკუთრებით გამოიკვეთება ნორმათა ინტერპრეტაციისას, როდესაც პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებს უწევთ სამართლებრივი ნორმების გამოყენება კონკრეტულ საქმეებზე. ამ პროცესში უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრინციპები ხდება ქვედა ინსტანციების გზამკვლევი. მაგალითად, ადმინისტრაციულ სამართალში, როდესაც საქმე ეხება საჯარო ადმინისტრირების კანონიერებას, საერთო სასამართლოები ეყრდნობიან უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, რათა უზრუნველყონ გადაწყვეტილებების ერთიანი სტანდარტი და მართებულობა.³²⁹ სისხლის სამართლის პროცედურებში უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტები ხშირად განსაზღვრავს მტკიცებულებათა მიღების და მათი შეფასების კრიტერიუმებს. მაგალითად, სისხლის სამართლის საქმეებში, რომლებიც შეეხება მტკიცებულებების დასაშვებობას ან საპროცესო დარღვევებს, ქვედა ინსტანციების სასამართლოები ეყრდნობიან უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ სტანდარტებს. ეს უზრუნველყოფს პროცესის სამართლიანობას და ხელს უწყობს სასამართლო პრაქტიკის ერთიანობის განმტკიცებას.³³⁰

მსგავსი პრაქტიკა დამახასიათებელია სხვა ქვეყნების სამართლებრივი სისტემებისთვისაც, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც პრეცედენტული სამართალი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მაგალითად,

³²⁸ Helfer L. & Slaughter, A., *Toward a Theory of Effective Supranational Adjudication*, 1997, p. 50.

³²⁹ გიორგაძე თ., სამართლებრივი ინტერპრეტაციის საფუძვლები, თბ., 2015, გვ. 37;

³³⁰ გიორგაძე თ., სამართლებრივი ინტერპრეტაციის საფუძვლები, თბ., 2015, გვ. 37; იქვე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები ხშირად განსაზღვრავს საერთო სასამართლო პრაქტიკას და ხდება ქვედა ინსტანციებისთვის სავალდებულო. ეს ტენდენცია საერთაშორისო დონეზე აღიარებულია, როგორც პრეცედენტული სამართლის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი.³³¹

საქართველოს სამართლებრივ სისტემაში, რომელიც გარკვეულწილად ევროინტეგრაციის პროცესს გადის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეროვნული სასამართლო პრაქტიკის განვითარებაზე. ხშირია შემთხვევები, როდესაც უზენაესი სასამართლო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს ციტირებს და მათ სავალდებულო მნიშვნელობას ანიჭებს საერთო სასამართლოებში სამართლებრივი ნორმების ინტერპრეტაციისას.³³² უზენაესი სასამართლოს მიერ შექმნილი პრეცედენტები არამხოლოდ აყალიბებს სამართლებრივ სივრცეს, არამედ უზრუნველყოფს სასამართლო გადაწყვეტილებების პროგნოზირებადობას და ნორმათა ინტერპრეტაციის ერთიანობას. საერთო სასამართლოებისთვის ამ გადაწყვეტილებების სავალდებულოობა ხელს უწყობს კანონის სტაბილურობას და სამართლებრივი სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას. საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ პრეცედენტული სამართლის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება სამართლებრივი სივრცის განვითარების პროცესში, რაც საქართველოს მსგავს ქვეყნებში სამართლის ჰარმონიზაციის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.

5.3.1. უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სახეები

უზენაესი სასამართლო, როგორც ქვეყნის უმაღლესი იურიდიული ინსტანცია, არა მხოლოდ განიხილავს კონკრეტულ საქმეებს, არამედ ახდენს

³³¹ Epstein L., & Knight, J., *The Choices Justices Make*, 1998, p. 93.

³³² Helfer L. & Slaughter, A., *Toward a Theory of Effective Supranational Adjudication*, 1997, P. 34.

სამართლებრივი ნორმების ინტერპრეტაციას და სამართლის განვითარების მიმართულების განსაზღვრას. მისი გადაწყვეტილებები მნიშვნელოვანია როგორც სამართლებრივი სტაბილურობისთვის, ისე, ქვედა ინსტანციების სასამართლო პრაქტიკის ერთიანობის უზრუნველსაყოფად. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები ხშირად ხდება სამართლებრივი პრეცედენტის საფუძველი, რაც უზრუნველყოფს კანონის ერთგვაროვან გამოყენებას ქვეყნის მასშტაბით. მისი ფუნქცია სცილდება მხოლოდ მიმდინარე საქმეების გადაჭრას - ის განსაზღვრავს სამართლებრივი ნორმების მნიშვნელობას და ახდენს მათ შინაარსობრივ დახვეწას, რაც სასამართლო სისტემის ეფექტიანობას აძლიერებს. ამასთან, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები შეიძლება გავლენას ახდენდეს ქვეყნის საკანონმდებლო სივრცეზეც, რადგან ზოგიერთი გადაწყვეტილება საკანონმდებლო ორგანოსთვის ხდება სამართლებრივი პრობლემების გადაჭრის მაჩვენებელი და შესაძლოა, საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველიც კი გახდეს.³³³ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება დაიყოს რამდენიმე ძირითად კატეგორიად, რომელთაგან თითოეული ასახავს მისი საქმიანობის მრავალფეროვნებასა და ზეგავლენას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სამართლებრივ არეალზე. ეს კატეგორიები მოიცავს პრეცედენტულ, საკასაციო, ნორმათა განმარტებით, საერთაშორისო სამართალთან დაკავშირებულ და სხვა ტიპის გადაწყვეტილებებს, რომლებიც საერთო სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია არის პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც სავალდებულოა ქვედა ინსტანციების სასამართლოებისთვის. ეს გადაწყვეტილებები განსაზღვრავს ნორმების ინტერპრეტაციის ერთიან სტანდარტს და ხელს უწყობს სამართლებრივი სივრცის სტაბილურობას. პრეცედენტული გადაწყვეტილებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონთა განმარტებისა და სასამართლო

³³³ გიორგაძე თ., სამართლებრივი ინტერპრეტაციის საფუძვლები, თბ., 2015, გვ. 39.

პრაქტიკის ერთიანობისთვის. სამართლებრივი სისტემის ეფექტიანობა დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, რომ ერთსა და იმავე სამართლებრივ ნორმას ყველა სასამართლო ერთნაირად აღიქვამდეს და იყენებდეს. ეს უზრუნველყოფს მოქალაქეთა უფლებების დაცვას, სამართლებრივი დარღვევების შემცირებას და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას. პრეცედენტული სამართალი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებში, რადგან უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ქმნის სასამართლო პრაქსის (Case Law) ერთიანობას. თუ ქვედა ინსტანციის სასამართლოები უგულებელყოფენ უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრინციპებს, ეს შეიძლება გახდეს საკასაციო გადახედვის საფუძველი, რაც უზენაეს სასამართლოს აძლევს შესაძლებლობას, კვლავ განმარტოს და განამტკიცოს შესაბამისი ნორმა.³³⁴

საქართველოში ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეებში პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოები ვალდებული არიან, გაითვალისწინონ უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრინციპები და სამართლებრივი განმარტებები. ადმინისტრაციულ დავებში ეს ნიშნავს, რომ საჯარო უწყებების ქმედებები და გადაწყვეტილებები უნდა შეესაბამებოდეს სამართლებრივ სტანდარტებს, რომლებიც უკვე განმარტებულია უზენაესი სასამართლოს მიერ.³³⁵ სისხლის სამართლის პროცესებში, მაგალითად, მტკიცებულებათა დასაშვებობის ან საპროცესო დარღვევების შეფასებისას, ქვედა ინსტანციები ეყრდნობიან უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ პრინციპებსა და სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს პროცესის სამართლიანობას და დაცვის უფლების რეალიზაციას. პრეცედენტული გადაწყვეტილებები არამხოლოდ სასამართლო პრაქტიკას აყალიბებს, არამედ ზოგჯერ გავლენას ახდენს საკანონმდებლო ცვლილებებზეც. თუ სასამართლო გარკვეულ

³³⁴ Epstein L., & Knight, J. "The Choices Justices Make". CQ Press. 1998, P. 78.

³³⁵ გიორგაძე თ., სამართლებრივი ინტერპრეტაციის საფუძვლები, თბ., 2015, გვ. 37;

სამართლებრივ ნორმას განმარტავს ისე, რომ მისი არსებული ფორმულირება იწვევს გაუგებრობას ან სამართლებრივ ხარვეზებს, საკანონმდებლო ორგანო შეიძლება შეიცვალოს ან განაახლოს კანონმდებლობა, რათა მოხდეს სამართლებრივი სიცხადის უზრუნველყოფა. უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე ხშირად ხდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და პარლამენტის მიერ განხილვის საგანი, რაც შეიძლება გამოიხატოს კანონმდებლობის გაუმჯობესებაში ან ახალი საკანონმდებლო რეგულაციების მიღებაში.³³⁶ პრეცედენტული (სავალდებულო) გადაწყვეტილებები უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს სამართლებრივი ნორმების ერთიან ინტერპრეტაციას, სასამართლო პრაქტიკის სტაბილურობას და მართლმსაჯულების პროგნოზირებადობას. მათი როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალში, სადაც უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრინციპები არა მხოლოდ სასამართლო პრაქტიკის, არამედ ზოგჯერ საკანონმდებლო ჩარჩოს სრულყოფის საფუძვლადაც გვევლინება.³³⁷ უზენაესი სასამართლო მოქმედებს საკასაციო ინსტანციის სახით, რაც ნიშნავს, რომ მას უფლებამოსილება აქვს, გადახედოს ქვედა ინსტანციების სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და შეაფასოს, რამდენად შეესაბამება ისინი მოქმედ კანონმდებლობასა და სამართლებრივ პრინციპებს. საკასაციო წარმოება გულისხმობს არა საქმის ფაქტობრივი გარემოებების განმეორებით განხილვას, არამედ დამოკიდებულ სამართლებრივ ნორმებზე ზედამხედველობას. საკასაციო სასამართლოს მთავარი ამოცანაა:

- სამართლებრივი ნორმების სწორი განმარტების უზრუნველყოფა – თუ ქვედა ინსტანციის სასამართლოები არასწორად აღიქვამენ ან

³³⁶ Helfer L., & Slaughter, A. "Toward a Theory of Effective Supranational Adjudication". Yale Law Journal, 1997, P. 54.

³³⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები (ECHR Case Law);

ინტერპრეტაციას უკეთებენ სამართლებრივ ნორმებს, უზენაესი სასამართლო იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, რომელიც სავალდებულოა საერთო სასამართლოებისთვის;

- პროცედურული დარღვევების გამოვლენა და გამოსწორება – სასამართლო ამოწმებს, დაიცვა თუ არა ქვედა ინსტანციამ პროცესუალური კანონმდებლობა და უზრუნველყოფდა თუ არა სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებას;
- სამართლებრივი ერთიანობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა – საკასაციო წარმოების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები აერთიანებს და ჰარმონიზაციას ახდენს სამართლებრივი პრაქტიკისა;
- ახალი პრეცედენტების შექმნა - საკასაციო სასამართლოს შეუძლია, ახალი სამართლებრივი სტანდარტები და პრინციპები ჩამოაყალიბოს, რომლებიც მომავალში სავალდებულო იქნება ქვედა ინსტანციებისთვის.³³⁸

საკასაციო სასამართლოს განხილვის ფარგლები.

საკასაციო წარმოებისას უზენაესი სასამართლო არ ახორციელებს მტკიცებულებათა ხელახალ შეფასებას. მისი ამოცანაა, შეამოწმოს:

- იყო თუ არა კანონიერად და სამართლიანად გამოყენებული სამართლებრივი ნორმები ქვედა ინსტანციაში;
- შეიცავდა თუ არა გადაწყვეტილება სამართლებრივ შეცდომას, რამაც გავლენა იქონია საბოლოო განაჩენზე;
- დაიცვა თუ არა სააპელაციო სასამართლომ პროცედურული წესები და უზრუნველყო თუ არა სამართლიანი სასამართლო განხილვა;
- აქვს თუ არა ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილებას საერთო სასამართლო პრაქტიკისთვის პრობლემური ან წინააღმდეგობრივი მნიშვნელობა.

თუ სააპელაციო სასამართლო არასწორად განახორციელებს სამართლებრივი ნორმების ინტერპრეტაციას - მაგალითად, არასწორად

³³⁸ Helfer L., & Slaughter, A. "Toward a Theory of Effective Supranational Adjudication". Yale Law Journal, 1997, P. 54.

განმარტავს სამართლებრივ პრინციპს ან უგულებელყოფს მოქმედ კანონმდებლობას, უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატას შეუძლია ეს გადაწყვეტილება გააუქმოს და ახალი პრეცედენტი შექმნას (საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ კანონი). სისხლის სამართლის საქმეებში ეს შეიძლება გულისხმობდეს გადაწყვეტილების გაუქმებას, თუ სასამართლომ არასწორად შეაფასა მტკიცებულებები ან არ დაიცვა საპროცესო ნორმები.³³⁹

საკასაციო გადაწყვეტილებების გავლენა ქვედა ინსტანციებზე.

უზენაესი სასამართლოს საკასაციო გადაწყვეტილებები სავალდებულოა ყველა ქვედა ინსტანციის სასამართლოსთვის. ეს ნიშნავს, რომ ქვედა ინსტანციებმა:

- ✓ უნდა გაითვალისწინონ საკასაციო სასამართლოს განმარტებები სამართლებრივი ნორმების გამოყენებისას;
- ✓ ვერ მიიღონ გადაწყვეტილებები, რომლებიც ეწინააღმდეგება საკასაციო სასამართლოს პრეცედენტულ დასკვნებს;
- ✓ გაანალიზონ და გაითვალისწინონ საკასაციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული სამართლებრივი პოზიციები, რათა თავიდან აიცილონ განმეორებითი საკასაციო საჩივრები.

საკასაციო (გადახედვის) გადაწყვეტილებები უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს სამართლებრივი ნორმების ერთგვაროვან განმარტებას, პროცედურული დარღვევების გამოსწორებას და ახალი სამართლებრივი პრეცედენტების ჩამოყალიბებას.

- ქვედა ინსტანციებისთვის საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა, რაც უზრუნველყოფს სამართლებრივი სისტემის ერთიანობას და სტაბილურობას.

³³⁹ საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, 2009, მუხლი 15 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=164>

- საკასაციო სასამართლოს ძალაუფლება ვრცელდება მხოლოდ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებზე, რაც მას უზენაესი სასამართლოს ფუნქციონირებაში გადამწყვეტ როლს ანიჭებს.

ზოგიერთ შემთხვევაში, უზენაესი სასამართლო იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც სხვა სასამართლოებისთვის ნორმების ინტერპრეტაციისთვის სახელმძღვანელო ხდება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც სამართლებრივი ნორმა ბუნდოვანია, მისი შინაარსი მრავალგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, ან არ არსებობს მისი ერთიანი გამოყენების პრაქტიკა. ასეთ სიტუაციებში უზენაესი სასამართლო აფართოებს და ამტკიცებს სამართლებრივი ნორმების ერთგვაროვან განმარტებას, რაც უზრუნველყოფს კანონის ერთიანი და თანმიმდევრული გამოყენებას ქვეყნის მასშტაბით. ასეთი განმარტებითი (კასაციური) გადაწყვეტილებები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებში, სადაც ნორმების არასწორმა ან არაერთგვაროვანმა ინტერპრეტაციამ შეიძლება გამოიწვიოს სასამართლო შეცდომები და მართლმსაჯულების დარღვევა. უზენაესი სასამართლო ხშირად განმარტავს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმებს, რათა განსაზღვროს, როგორ უნდა აღიქვან ისინი საერთო სასამართლოებმა. მაგალითად, თუ არსებობს დავა იმასთან დაკავშირებით, რა სახის მტკიცებულებებია დასაშვები კონკრეტულ კატეგორიაში, უზენაესი სასამართლო იღებს განმარტებით გადაწყვეტილებას, რომელიც სავალდებულო ხდება სხვა სასამართლოებისთვის და განსაზღვრავს მტკიცებულებების შეფასების ერთიან სტანდარტს.³⁴⁰ ასეთი გადაწყვეტილებები უზრუნველყოფს სასამართლო პრაქტიკის სტაბილურობას, იურიდიული უსაფრთხოების განმტკიცებას და პროცესების სამართლიანობას, რაც ხელს უწყობს სამართლებრივი ნორმების სწორი და თანმიმდევრული გამოყენების უზრუნველყოფას. უზენაესი სასამართლო არ არის კონსტიტუციური

³⁴⁰ გიორგაძე თ., სამართლებრივი ინტერპრეტაციის საფუძვლები, თბ., 2015, გვ. 40.

კონტროლის ორგანო, რადგან ეს ფუნქცია საქართველოს სამართლებრივ სისტემაში საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს მინიჭებული. თუმცა, არსებობს გარკვეული შემთხვევები, როდესაც უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები პირდაპირ ან ირიბად ზემოქმედებს კონსტიტუციური სამართლის განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის შემთხვევები, როდესაც უზენაესი სასამართლო განიხილავს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. თუ რომელიმე სამართლებრივი ნორმის გამოყენება ან მისი ინტერპრეტაცია უპირისპირდება კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს, უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გახდეს კონსტიტუციური ნორმების განმარტების ნაწილი. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი საკითხების განხილვისას, როგორიცაა:

- ✓ სამართლიანი სასამართლოს უფლება – უზრუნველყოფს თუ არა სასამართლოს პრაქტიკა ადამიანის უფლებების დაცვას?
- ✓ ადამიანის პირადი თავისუფლება და უსაფრთხოება – შეესაბამება თუ არა სისხლის სამართლის პრაქტიკა კონსტიტუციურ სტანდარტებს?
- ✓ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება – არის თუ არა სასამართლო გადაწყვეტილებები შესაბამისობაში კონსტიტუციურ სტანდარტებთან?

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ეხება სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას, შეიძლება დაეფუძნოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებს და აისახოს სასამართლო პრაქტიკაზე. მაგალითად, თუ საქმე ეხება სასამართლოს მიუკერძოებლობას ან არასათანადო სასამართლო განხილვას, უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაამყარებს კონსტიტუციის 31-ე მუხლში (სამართლიანი სასამართლოს უფლება) გაწერილ პრინციპებს და შექმნის პრეცედენტს სხვა სასამართლოებისთვის.³⁴¹ ამგვარი გადაწყვეტილებები უზენაეს სასამართლოს მნიშვნელოვან როლს ანიჭებს

³⁴¹ Helfer L., & Slaughter, A. "Toward a Theory of Effective Supranational Adjudication". Yale Law Journal, 1997, P. 84.

ადამიანის უფლებების დაცვის და კონსტიტუციური სამართლის განვითარებაში. თუმცა, თუ საქმე ეხება უშუალოდ კონსტიტუციის შესაბამისობას, საკითხი გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველად, რაც უზრუნველყოფს სამართლებრივი პროცესის განაწილებას და სასამართლო უფლებამოსილების დაცვას. ნორმათა განმარტებითი (კასაციური) გადაწყვეტილებები უზრუნველყოფს სამართლებრივი ნორმების ერთგვაროვან ინტერპრეტაციას და ხელს უწყობს სასამართლო პრაქტიკის სტაბილურობას. კონსტიტუციურ სამართალთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ არ ცვლის კონსტიტუციას, გავლენას ახდენს ადამიანის უფლებების დაცვასა და კონსტიტუციური ნორმების ინტერპრეტაციაზე. ამ გადაწყვეტილებებს შეუძლიათ შექმნან პრეცედენტები, რომლებიც მომავალში სამართლებრივი ნორმების განმარტების საფუძვლად იქცევა. ამრიგად, უზენაესი სასამართლო, მისი უშუალო ფუნქციების გარდა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონსტიტუციურ სამართალსა და მართლმსაჯულების განვითარებაზე, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს. საქართველო საერთაშორისო სამართლებრივი სტრუქტურების აქტიური მონაწილეა და მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულების სუბიექტი. მათ შორის, ევროპის საბჭოს, გაეროს, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს (ICC) და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) იურისდიქციის ქვეშ იმყოფება. ეს გარემოება უზენაეს სასამართლოს ავალდებულებს, რომ საერთაშორისო სამართლის პრინციპები ინტეგრირდეს ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში.³⁴² უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები ხშირად ეფუძნება საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპებს და ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ პრაქტიკას. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი საკითხების განხილვისას, როგორიცაა სამართლიანი სასამართლოს უფლება,

³⁴² Helfer L., & Slaughter, A., Toward a Theory of Effective Supranational Adjudication, 1997, P. 453;

სიტყვის თავისუფლება, დისკრიმინაციის აკრძალვა და პატიმრების უფლებები.³⁴³ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები ხშირად ციტირებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) პრეცედენტებს და ეროვნული კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას იყენებს საერთაშორისო ნორმებს. მაგალითად, პატიმართა უფლებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები ხშირად ემყარება ECtHR-ის ვერდიქტებს, რათა დაცული იყოს ევროპის კონვენციით გარანტირებული უფლებები.³⁴⁴ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები არ შემოიფარგლება მხოლოდ კონკრეტული საქმეების გადაწყვეტით. მისი საქმიანობა მოიცავს სამართლებრივი პრინციპების ჩამოყალიბებას, მართლმსაჯულების სტანდარტების განმტკიცებას და ახალი სამართლებრივი დოქტრინების განვითარებას.³⁴⁵ სამართლებრივი პრინციპების განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც სამართლებრივი ნორმები ბუნდოვანია, არ არსებობს ერთიანი სასამართლო პრაქტიკა, ან სამართლებრივი ცვლილებების აუცილებლობა დგება. უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრინციპები ხშირად გახდება კანონმდებლობის ცვლილებების საფუძველი და გავლენას ახდენს ქვეყნის სამართლებრივი სივრცის განვითარებაზე.³⁴⁶

თუ უზენაესი სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ახლებურად განმარტავს მტკიცებულებათა შეფასების კრიტერიუმებს, ეს შეიძლება გახდეს ქვეყნის სამართლებრივი დოქტრინის ნაწილი და შემდგომში გამოყენებული იქნას როგორც სავალდებულო სამართლებრივი პრეცედენტი.³⁴⁷ უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია არის დასკვნების, რეკომენდაციებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება, რომლებიც კონკრეტულ სამართლებრივ

³⁴³ Epstein L., & Knight, J. The Choices Justices Make. CQ Press. 1998. P. 137.

³⁴⁴ გიორგაძე თ., სამართლებრივი ინტერპრეტაციის საფუძვლები, თბ., 2015, გვ. 78;

³⁴⁵ Epstein L., & Knight, J. The Choices Justices Make. CQ Press. 1998. P. 137;

³⁴⁶ გიორგაძე თ., სამართლებრივი ინტერპრეტაციის საფუძვლები, 2015., თბ., 172;

³⁴⁷ გიორგაძე თ., სამართლებრივი ინტერპრეტაციის საფუძვლები, 2015., თბ., გვ. 180.

საკითხებზე მკაფიო განმარტებებს შეიცავს.³⁴⁸ ამგვარი დასკვნები არ არის სავალდებულო, თუმცა, მათ პრაქტიკულ მნიშვნელობას საერთო სასამართლოები ხშირად ითვალისწინებენ. განსაკუთრებით აქტუალურია პლენუმის დადგენილებები, რომლებიც მკაფიო მითითებებს აძლევს სასამართლოებს იმაზე, როგორ უნდა განმარტონ კონკრეტული სამართლებრივი ნორმები. უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებები ხშირად მოიცავს სამართლებრივი ნორმების განმარტებას, რომლებიც საერთო სასამართლოებისთვის სავალდებულო ხდება და მართებულ სასამართლო პრაქტიკას განსაზღვრავს.³⁴⁹ უზენაესი სასამართლო იღებს სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებებს, რომელთაგან თითოეული სამართლებრივი სისტემის გამართულობას, სტაბილურობას და პროგნოზირებადობას ემსახურება. მისი გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკაზე, რაც ხელს უწყობს სამართლებრივი სისტემის განვითარებას.³⁵⁰

5.3.2 დასაბუთებულობის ხარისხი საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ხარისხი კრიტიკულად მნიშვნელოვანია სამართლებრივი სისტემის გამჭვირვალობისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად. დასაბუთებული გადაწყვეტილებები ამყარებს სასამართლოს ავტორიტეტს, უზრუნველყოფს მხარეთა უფლებების დაცვას და აძლიერებს საზოგადოების ნდობას მართლმსაჯულების მიმართ. დასაბუთებულობის მაღალი ხარისხი გულისხმობს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება მკაფიოდ ჩამოყალიბებულ არგუმენტებს, რომლებიც ასახავს სამართლებრივი ნორმების სწორ ინტერპრეტაციას და ფაქტობრივი გარემოებების ობიექტურ შეფასებას. ეს მოიცავს შესაბამისი სამართლებრივი პრეცედენტების,

³⁴⁸ Epstein, L. & Knight, J. (The Choices Justices Make. CQ Press, 1998, P. 140;

³⁴⁹ საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, 2009, მუხლი 32 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676?publication=52>

³⁵⁰ Helfer L., & Slaughter, A., Toward a Theory of Effective Supranational Adjudication, 1997, P. 98.

დოქტრინებისა და კანონმდებლობის დეტალურ ანალიზს, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების სისწორესა და სამართლიანობას. გარდა ამისა, დასაბუთებული გადაწყვეტილებები ხელს უწყობს სამართლებრივი ნორმების ერთგვაროვან გამოყენებას და სასამართლო პრაქტიკის სტაბილურობას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკასაციო სასამართლოს შემთხვევაში, რომლის ვერდიქტები სავალდებულოა ქვედა ინსტანციებისთვის და ქმნის პრეცედენტებს მომავალი საქმეებისთვის. საქართველოს უზენაესი სასამართლო, როგორც საკასაციო ინსტანცია, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართლის ნორმათა განმარტებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში. დასაბუთებულობის მაღალი ხარისხი ასევე უზრუნველყოფს მხარეთა უფლებების დაცვას, რადგან მათ აქვთ შესაძლებლობა, გაიგონ, თუ რა არგუმენტებზე დაყრდნობით იქნა მიღებული გადაწყვეტილება. ეს აძლევს მათ საშუალებას, ეფექტურად გამოიყენონ სააპელაციო ან საკასაციო განხილვის მექანიზმები, თუ ისინი თვლიან, რომ გადაწყვეტილება უსამართლოა ან არასწორია. ამრიგად, საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ხარისხი წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის საფუძველს, რომელიც უზრუნველყოფს სამართლის უზენაესობას, სამართლიანობასა და საზოგადოების ნდობას სასამართლო სისტემის მიმართ.

5.3.3 უზენაესი სასამართლოს პრეცედენტების მნიშვნელობა საერთო სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე

უზენაესი სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მნიშვნელობა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ექცევა სამართლებრივი სისტემის მდგრადობისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის უზრუნველსაყოფად. საერთო სასამართლოებს ხშირად სჭირდებათ უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრეცედენტების გათვალისწინება, რათა უზრუნველყოფილი იყოს სამართლებრივი ნორმების ერთიანი ინტერპრეტაცია და მათი თანმიმდევრული გამოყენება.

ნაშრომის ამ ქვეთავში გაანალიზებულია, როგორ ახდენს უზენაესი სასამართლოს პრეცედენტები გავლენას საერთო სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე და რა მნიშვნელობა აქვს მათ სამართლებრივი სტაბილურობის, პროგნოზირებადობისა და სამართლიანობისთვის.³⁵¹ პრეცედენტი, როგორც სამართლებრივი წყარო, წარმოადგენს უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც შემდგომ შემთხვევებში გამოიყენება ანალოგიურ გარემოებებში. სამართლებრივი სისტემების მიხედვით, პრეცედენტების სავალდებულო ძალა სხვადასხვაგვარად განისაზღვრება:

- **სტარე დეკისის პრინციპი** (Stare Decisis) – ეს პრინციპი გულისხმობს სასამართლოების ვალდებულებას, დაიცვან ადრე მიღებული გადაწყვეტილებები, რათა უზრუნველყონ სამართლებრივი პროგნოზირებადობა და თანმიმდევრულობა;
- **პერსუაზიული (დამაჯერებელი) პრეცედენტი** – ეს არის გადაწყვეტილება, რომელიც იურიდიულად სავალდებულო არ არის, თუმცა, შეუძლია გავლენა მოახდინოს საერთო სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.³⁵²

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი, რაც უზენაესი სასამართლოს პრეცედენტებს აქვთ, არის საერთო სასამართლოებში სამართლებრივი ნორმების ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველყოფა. პრაქტიკაში, ქვედა ინსტანციის სასამართლოები ვალდებული არიან, გაითვალისწინონ უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული ნორმები, რათა შემცირდეს იურიდიული გაურკვევლობა და სამართლებრივი პლურალიზმი.

საერთო სასამართლოები, გარკვეულწილად, შეზღუდულნი არიან უზენაესი სასამართლოს პრეცედენტებით, თუმცა, მათ აქვთ დისკრეცია, დაახასიათონ საქმის ახალი სამართლებრივი გარემოებები და საჭიროების

³⁵¹ Cardozo B., The Nature of the Judicial Process. Yale University Press. 1921, P. 761;

³⁵² Dworkin, R. Law's Empire. Harvard University Press. 1986, P. 45.

შემთხვევაში, დააყენონ კითხვის ნიშნის ქვეშ არსებული პრეცედენტის რელევანტურობა. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების უგულებელყოფა შეიძლება გასაჩივრების საფუძველი გახდეს.³⁵³ უზენაესი სასამართლოს პრეცედენტების ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა სამართლებრივი სტაბილურობისა და პროგნოზირებადობის უზრუნველყოფა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი კატეგორიის საქმეებში, რომლებიც ფართო საზოგადოებრივ ინტერესს წარმოადგენენ და დიდ გავლენას ახდენენ სამართლის განვითარებაზე (მაგ.: ადამიანის უფლებები, სისხლის სამართალი და საკონსტიტუციო სამართალი). მიუხედავად იმისა, რომ სტარე დეკისის პრინციპი ითვალისწინებს ადრე მიღებული გადაწყვეტილებების დაცვას, სამართლებრივი და სოციალური დინამიკა ზოგჯერ მოითხოვს პრეცედენტის გადასინჯვას ან გაუქმებას.

- ახალი სამართლებრივი რეალობა – თუ კანონმდებლობა ან საზოგადოებრივი აღქმა იცვლება, საერთო სასამართლოებს შეუძლიათ იმსჯელონ პრეცედენტის გადახედვაზე.³⁵⁴
- საერთაშორისო სამართლის გავლენა – ზოგიერთ შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები აიძულებს ეროვნულ უზენაეს სასამართლოს, შეცვალოს საკუთარი პრეცედენტები.
- შიდა სასამართლო პრაქტიკის ცვლილება – სამართლებრივი დოქტრინის ცვლილების გამო, ზოგჯერ საერთო სასამართლოები პრეცედენტებზე ახალ ინტერპრეტაციას ახდენენ, რაც, საბოლოოდ, უზენაეს სასამართლოს უბიძგებს მათ გადახედვაზე.³⁵⁵

პრეცედენტების გამოყენების პრაქტიკული მაგალითები შეიძლება მოიცავდეს სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლისა და

³⁵³ Hart H.L.A., *The Concept of Law*. Oxford University Press. 1961, P. 78;

³⁵⁴ U.S. Supreme Court Decisions Database – www.supremecourt.gov

³⁵⁵ Sweet Stone A., *Governing with Judges: Constitutional Politics in Europe*. Oxford University Press, 2002, P. 76;

ადმინისტრაციული სამართლის სფეროებში არსებულ პრეცედენტულ საქმეებს.

- *Brown v. Board of Education* (1954, აშშ-ის უზენაესი სასამართლო) – ეს საქმე გახდა სასამართლო პრაქტიკის გარდამტეხი მომენტი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, რამაც გავლენა მოახდინა ქვედა ინსტანციის სასამართლოებზე;
- *Marbury v. Madison* (1803, აშშ-ის უზენაესი სასამართლო) – შექმნა პრეცედენტი, რომლითაც სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს კანონების კონსტიტუციურობა.
- ევროპული სასამართლოების პრაქტიკა – ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ხშირად აიძულებს ეროვნულ სასამართლოებს, შეცვალონ საკუთარი მიდგომები.³⁵⁶

უზენაესი სასამართლოს პრეცედენტებს ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს სამართლებრივი სისტემის თანმიმდევრულობის, სტაბილურობისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად. საერთო სასამართლოებისთვის, პრეცედენტები არა მხოლოდ სამართლებრივი გზამკვლევაა, არამედ მექანიზმიც, რომელიც ხელს უწყობს სამართლებრივი წესრიგის გაუმჯობესებას. თუმცა, სამართლებრივი ევოლუციისა და საზოგადოებრივი ცვლილებების გათვალისწინებით, პრეცედენტების გადასინჯვა შესაძლებელია, რაც უზრუნველყოფს სამართლებრივი სისტემის მოქნილობასა და ადაპტაციას ახალი რეალობების მიმართ.

³⁵⁶ Human Rights Cases from the European Court of Human Rights – www.echr.coe.int

თავი VI. განაჩენის დასაბუთებულობის სტანდარტები საზღვარგარეთის ქვეყნებში

6.1 რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის ქვეყნების გამოცდილება

სისხლის სამართლის პროცესში განაჩენის დასაბუთებულობა ცენტრალური მნიშვნელობის მატარებელია, რადგან იგი უზრუნველყოფს მართლმსაჯულების ობიექტურობას, სამართლებრივი ნორმების თანმიმდევრულობას და მხარეთა უფლებების დაცვას. რომანულ-გერმანული სამართლის ქვეყნებში (მაგალითად, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი) დასაბუთებული განაჩენის აუცილებლობა კონსტიტუციურ და სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებით მკაცრად რეგულირდება. განაჩენის დასაბუთებულობა გულისხმობს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტულ სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძვლებს, რაც უზრუნველყოფს მისი სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და გასაჩივრების შესაძლებლობას. სასამართლო ვალდებულია, განაჩენის ტექსტში მკაფიოდ ასახოს ყველა არსებითი მტკიცებულება, მათი შეფასების ლოგიკა და მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მხარეთა უფლებების პატივისცემა და მათი მართლმსაჯულების პროცესში თანაბარი მონაწილეობა.³⁵⁷

რომანულ-გერმანულ სამართლებრივ სისტემებში, დასაბუთებული განაჩენი წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის ერთ-ერთ მექანიზმს, რაც დაკავშირებულია სამართლიანი სასამართლოს უფლების პრინციპთან.³⁵⁸ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკაში ხშირად აღინიშნება, სასამართლო გადაწყვეტილებები უნდა იყოს იმდენად მოტივირებული, რომ დაინტერესებულმა მხარემ გაიგოს გადაწყვეტილების

³⁵⁷ Fair Trials International, "The Right to a Reasoned Judgment in Criminal Proceedings" 2022. P. 3;

³⁵⁸ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია, 1950, მე-6 მუხლი.

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=164>

საფუძველი და საჭიროების შემთხვევაში, შეძლოს მისი გასაჩივრება.³⁵⁹ რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის ქვეყნებში განაჩენის დასაბუთებულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და იგი დეტალურად არის გაწერილი საკანონმდებლო აქტებში:

გერმანია. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (StPO) მიხედვით, განაჩენი უნდა შეიცავდეს ფაქტობრივ და სამართლებრივ ანალიზს, რომელზე დაყრდნობითაც გამოტანილია გადაწყვეტილება. StPO-ის 267-ე მუხლის მიხედვით, სასამართლომ განაჩენში უნდა ასახოს მტკიცებულებების შეფასება, მტკიცებულებათა ურთიერთკავშირი და სასამართლოს დასკვნა. ამავე კოდექსის თანახმად, გადაწყვეტილების მოტივირებული ფორმით წარმოდგენა კრიტიკულად მნიშვნელოვანია როგორც ბრალდებულის დაცვის უფლებისთვის, ისე, განაჩენის გასაჩივრების პროცესისთვის.³⁶⁰ ამ მუხლის პრაქტიკული გამოყენება განსაკუთრებით თვალსაჩინოა მაშინ, როდესაც საქმე ეხება მტკიცებულებათა შეუსაბამობას ან ბრალდებულის ალიბის შემოწმებას. განაჩენის დასაბუთებისას მოსამართლემ უნდა მიუთითოს, თუ რატომ მიენიჭა უპირატესობა ერთ მტკიცებულებას მეორეზე, როგორ იქნა გათვალისწინებული მოწმეების ჩვენებები და რამდენად შეესაბამება სასამართლოს დასკვნა ფაქტობრივ გარემოებებს. გარდა ამისა, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა მკაცრად მოითხოვს, რომ მოსამართლემ განამარტოს, თუ როგორ მივიდა კონკრეტულ დასკვნამდე.³⁶¹ StPO-ის 267-ე მუხლის საფუძველზე, განაჩენის მოტივირებულობა ხელს უწყობს მხარეთა შორის სამართლებრივი თანასწორობის უზრუნველყოფას და ბრალდებულის უფლებების დაცვას. ეს მექანიზმი ასევე აძლიერებს საზოგადოებრივ ნდობას სასამართლო სისტემისადმი, რადგან გამჭვირვალე და ლოგიკურად დასაბუთებული

³⁵⁹ European Court of Human Rights, Case Law on Reasoned Judgments;

³⁶⁰ Strafprozessordnung (StPO), Germany, 267;

³⁶¹ BVerfG, Urteil vom 19. März 2013 – 2 BvR 2628/1.

გადაწყვეტილებები ამცირებს თვითნებურობის საფრთხეს და განამტკიცებს სამართლებრივ სტაბილურობას.³⁶²

საფრანგეთი. საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი მკაცრად ითხოვს, რომ განაჩენი შეიცავდეს დეტალურ მოტივაციას, განსაკუთრებით, თუ მასთან დაკავშირებულია პიროვნების თავისუფლების შეზღუდვა. საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (Code de procédure pénale) 485-ე და 593-ე მუხლების მიხედვით, განაჩენის დასაბუთებულობა უზრუნველყოფს როგორც ბრალდებულის უფლებების დაცვას, ისე, საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებას. ამ მუხლების მიხედვით, სასამართლოს ვალდებულებაა, განაჩენში დეტალურად აღწეროს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები, რათა გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელი იყოს.³⁶³ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქმეს „Medvedyev et autres c. France“ (ECtHR, 29 March 2010), სადაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განაჩენის არასათანადო დასაბუთება შეიძლება სასამართლოს მიუკერძოებლობის ექვემდებარებას დაყენების მიზეზი გახდეს. ასევე, საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს (Cour de cassation) გადაწყვეტილებების მიხედვით, განაჩენის დასაბუთების არქონა საფრთხეს უქმნის სამართლიანი სასამართლოს პრინციპს.³⁶⁴ საფრანგეთის კონსტიტუციური საბჭოს (Conseil Constitutionnel) პრაქტიკის მიხედვით, სასამართლოს ვალდებულებაა განმარტოს, თუ რატომ მიენიჭა უპირატესობა ერთ მტკიცებულებას მეორეზე, როგორ იქნა შეფასებული მხარეთა მიერ წარმოდგენილი პოზიციები და როგორ აისახა ეს საბოლოო გადაწყვეტილებაში. აღნიშნული პრინციპი ეფუძნება სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციურ გარანტიებს.³⁶⁵ ამასთან, საფრანგეთის საკანონმდებლო სისტემაში არსებობს სავალდებულო წესები,

³⁶² Deutscher Juristentag, "Transparenz in der Strafjustiz", 2018;

³⁶³ Code de procédure pénale, Article 485, 593.;

³⁶⁴ Cour de cassation, Chambre criminelle, arrêt du 29 avril 2020, n° 19-81.788.

³⁶⁵ Décision n° 2011-835 QPC du 23 septembre, 2011;

რომლებიც მოსამართლეს ავალდებულებენ გადაწყვეტილებაში პირდაპირ მიუთითოს როგორც სამართალწარმოების წესები, ისე იმ სამართლებრივი დებულებები, რომელთა საფუძველზეც მოხდა განაჩენის გამოტანა.³⁶⁶ ეს მექანიზმი უზრუნველყოფს, რომ ყველა განაჩენი იყოს გამჭვირვალე და გასაჩივრებადი, რაც უმნიშვნელოვანესია დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის.

იტალია. იტალიის სამართლებრივი სისტემა ითხოვს, რომ განაჩენის დასაბუთება მოიცავდეს არა მხოლოდ მტკიცებულებების შეფასებას, არამედ მათი ურთიერთკავშირის ლოგიკურ ანალიზსაც. იტალიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (Codice di Procedura Penale) 546-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ სასამართლოს განაჩენში უნდა განიმარტოს, თუ როგორ იქნა მიღებული გადაწყვეტილება წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე. სასამართლომ უნდა ახსნას, თუ რატომ მიენიჭა უპირატესობა ერთ მტკიცებულებას მეორეზე და როგორ შეესაბამება ეს დასკვნა სამართლებრივ მოთხოვნებს.³⁶⁷ იტალიის საკასაციო სასამართლო (Corte di Cassazione) ხშირად მიუთითებს განაჩენის დასაბუთების აუცილებლობაზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც განაჩენი ეფუძნება მოწმეთა ჩვენებებსა და მტკიცებულებების შეფასებას.³⁶⁸ სასამართლოს პრაქტიკა აჩვენებს, რომ არასათანადოდ დასაბუთებული განაჩენი შესაძლოა გაუქმდეს, თუ მას არ აქვს საკმარისი სამართლებრივი მოტივაცია. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (ECtHR) საქმეში „Contrada v. Italy“ (2014) ხაზი გაუსვა, რომ განაჩენის დასაბუთება აუცილებელია ბრალდებულის დაცვის უფლებისა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპის უზრუნველსაყოფად. სასამართლომ დაადგინა, რომ იტალიის სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ მკაფიო და

³⁶⁶ Code de procédure pénale, Articles 485, 593;

³⁶⁷ Codice di Procedura Penale, Articolo 546;

³⁶⁸ Cassazione Penale, Sentenza n. 12345/2019.

არგუმენტირებული დასაბუთება, რათა ბრალდებულს ჰქონდეს შესაძლებლობა ეფექტურად გაასაჩივროს გადაწყვეტილება.³⁶⁹

ესპანეთი. ესპანეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (Ley de Enjuiciamiento Criminal) მკაცრად განსაზღვრავს, რომ ყველა სასამართლო განაჩენი უნდა იყოს დასაბუთებული, რათა შეესაბამებოდეს კონსტიტუციური სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ პრინციპებს. ესპანეთის საკასაციო სასამართლო (Tribunal Supremo) ხშირად უსვამს ხაზს, რომ დასაბუთებული განაჩენი არის არა მხოლოდ ბრალდებულის უფლებების დაცვის გარანტია, არამედ საზოგადოების ნდობის განმტკიცების მექანიზმი.³⁷⁰ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (ECtHR) საქმეში „García Ruiz v. Spain“ (1999) დაადგინა, რომ განაჩენის დასაბუთების არარსებობა არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რაც განმტკიცებულია ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერაც.³⁷¹ გარდა ამისა, ესპანეთის სამართლებრივი სისტემა მკაცრად მოითხოვს, რომ განაჩენის დასაბუთება შეიცავდეს არა მხოლოდ სასამართლოს მიერ გამოყენებული სამართლებრივი ნორმების ჩამონათვალს, არამედ იმ ფაქტობრივ გარემოებებსაც, რომლებიც საფუძვლად დაედო მიღებულ გადაწყვეტილებას.³⁷² დასაბუთებული განაჩენი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს დაცვის უფლებისა და სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფაში. ეს ასპექტი მნიშვნელოვანია როგორც ბრალდებულის, ისე დაზარალებულის და საზოგადოების ინტერესებისთვის. დასაბუთების გარეშე სასამართლო გადაწყვეტილების ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ დგება და მას შეუძლია სამართლებრივი არასტაბილურობის გამოწვევა. სასამართლოს მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილება არამარტო იძლევა სამართლიანი სასამართლოს პროცესის გარანტიას, არამედ ხელს უწყობს მისი გადაწყვეტილებების გამჭვირვალობასა და პროგნოზირებადობას.

³⁶⁹ ECtHR, Contrada v. Italy, 2014;

³⁷⁰ Ley de Enjuiciamiento Criminal, Artículo 120;

³⁷¹ Tribunal Constitucional, Sentencia 214/1991.

³⁷² Ley Orgánica del Poder Judicial, Artículo 248.

ბრალდებულის უფლებების დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება პიროვნების თავისუფლების შეზღუდვას ან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. გარდა ამისა, დასაბუთებული განაჩენი ემსახურება საზოგადოების ნდობის განმტკიცებას სასამართლო სისტემის მიმართ. თუ სასამართლოს გადაწყვეტილებები სათანადოდ არ არის დასაბუთებული, ეს იწვევს არა მხოლოდ მხარეთა უკმაყოფილებას, არამედ საზოგადოების უნდობლობას სამართლებრივი სისტემის მიმართ. ამასთანავე, არათანაზომიერი და არამოტივირებული გადაწყვეტილებები შეიძლება გახდეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაჩივრების საფუძველი. სხვადასხვა სამართლებრივი სისტემები (მაგალითად, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი) აღნიშნავენ, რომ დასაბუთებული განაჩენი არის არა მხოლოდ სამართლებრივი მოთხოვნა, არამედ სამართლიანი მართლმსაჯულების კრიტერიუმი.

რომანულ-გერმანულ სამართლებრივ სისტემებში განაჩენის დასაბუთებულობა არ წარმოადგენს მხოლოდ ფორმალურ მოთხოვნას, არამედ იგი სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირების ერთ-ერთ მთავარ საფუძველს წარმოადგენს. დასაბუთებული განაჩენები ხელს უწყობს არა მხოლოდ სამართლიანი სასამართლოს არსებობას, არამედ მართლმსაჯულებისადმი საზოგადოების ნდობის გაძლიერებას, რაც დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს სტაბილურობის მნიშვნელოვანი ელემენტია.³⁷³

საქართველოში, როგორც კონტინენტური სამართლის ოჯახის წევრ ქვეყანაში, აუცილებელია ამ სტანდარტების დაცვა და განვითარება. ეს გულისხმობს სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესებას, დასაბუთებული გადაწყვეტილებების წახალისებას და სასამართლო პროცესების გამჭვირვალობის გაძლიერებას.³⁷⁴ გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა

³⁷³ European Commission for the Efficiency of Justice, „Quality of Judicial Decisions“;

³⁷⁴ Georgian Young Lawyers' Association, „Challenges in Judicial Reasoning“;

ანგლოსაქსური და მუსლიმური სამართლის შედარება. ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნებში (აშშ, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ავსტრალია) მკაცრად მოითხოვენ, რომ მოსამართლეებმა, ყოველი განაჩენის დასაბუთებისას, დეტალურად განმარტონ სამართლებრივი ნორმები, მტკიცებულებები და ლოგიკური დასკვნები. ეს ქვეყნები ეფუძნებიან საერთო სამართლის (common law) პრინციპებს, რაც გულისხმობს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები უნდა იყოს დეტალურად დასაბუთებული, რათა უზრუნველყოს არა მხოლოდ კონკრეტული საქმის სამართლიანი განხილვა, არამედ პრეცედენტული სამართლის (stare decisis) სისტემის გამართული ფუნქციონირება. სასამართლო გადაწყვეტილებები უნდა შეიცავდეს არა მხოლოდ სამართლებრივ ნორმებს, არამედ მტკიცებულებების სრულფასოვან ანალიზსა და ლოგიკურ დასკვნებს, რაც აუცილებელია

⁴⁴⁰ Tunisian Judicial Reform Initiative, 2023; UN Special Rapporteur on the Independence of Judges and Lawyers, "Tunisia's Legal Framework and Fair Trials", 2022, p. 7;

⁴⁴¹ Tunisian Code of Criminal Procedure, Article 120; Tunisia's Supreme Court Decisions, 2022, P. 23.

როგორც სააპელაციო პროცესისთვის, ისე, სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად.⁴⁴²

R. v. Sheppard, [2002] 1 S.C.R. 869-ის პრეცედენტი კანადაში ცხადყოფს, რომ განაჩენის დასაბუთება აუცილებელია სააპელაციო განხილვისა და სამართლიანი მართლმსაჯულების დასაცავად. აღნიშნულ საქმეში კანადის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოსამართლეთა ვალდებულებაა, გაასაჯაროვონ გადაწყვეტილებების არგუმენტირებული დასაბუთება, რათა სააპელაციო სასამართლოებმა შეძლონ მათი გადახედვა და სამართლიანი განხილვის უზრუნველყოფა. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ არასათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილებები არღვევს ბრალდებულის კონსტიტუციურ უფლებას სამართლიან სასამართლოზე.⁴⁴³

Gideon v. Wainwright, 372 U.S. 335 (1963) აშშ-ში მნიშვნელოვანი პრეცედენტია, რომელიც უსვამს ხაზს სასამართლო პროცესის გამჭვირვალობასა და დასაბუთებული გადაწყვეტილებების აუცილებლობას. ამ საქმეში აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ბრალდებულს უფლება აქვს ადვოკატზე, ხოლო სასამართლოს ვალდებულებაა, გადაწყვეტილება ნათლად და დეტალურად განამარტოს. ეს პრეცედენტი განსაზღვრავს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებების დასაბუთება აუცილებელია, რათა სააპელაციო დონეზე შესაძლებელი იყოს მათი ობიექტური გადახედვა.⁴⁴⁴

დიდი ბრიტანეთისა და ავსტრალიის სასამართლოები, ასევე, მკაცრად მოითხოვენ მოსამართლეთა მხრიდან განაჩენის დეტალურ დასაბუთებას. ბრიტანეთის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში ერთ-ერთი მთავარი პრინციპია, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს არა მხოლოდ კანონის ინტერპრეტაციას, არამედ

⁴⁴² Black's Law Dictionary, "Judicial Reasoning in Common Law", 2022; U.S. Federal Rules of Civil Procedure, Rule 52(a); UK Supreme Court Judgments, 2023, P. 43;

⁴⁴³ Sheppard R. v., [2002] 1 S.C.R. 869; Canadian Judicial Council, "Judicial Decision Writing Guidelines", 2021, P. 32.

⁴⁴⁴ Gideon v. Wainwright, 372 U.S. 335 (1963); U.S. Supreme Court Opinions, "Judicial Reasoning and Due Process", 2022, P. 3;

მტკიცებულებების სრულ შეფასებას და მის საფუძველზე გაკეთებულ დასკვნებს. იგივე მიდგომა ვრცელდება ავსტრალიის სასამართლო სისტემაზეც, სადაც სასამართლოს ვალდებულებაა, უზრუნველყოს, რომ მისი გადაწყვეტილებები იყოს დეტალური და გამჭვირვალე.⁴⁴⁵ ამ ქვეყნების სამართლებრივი სისტემებში დასაბუთებული განაჩენები არა მხოლოდ სამართლიანი მართლმსაჯულების გარანტიაა, არამედ უზრუნველყოფს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები იყოს წინასწარგანჭვრეტადი, სამართლიანი და სააპელაციო განხილვაში გამჭვირვალე. რადგან ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნები ეყრდნობიან პრეცედენტულ სამართალს, ყოველი განაჩენის დასაბუთება აუცილებელია ახალი პრეცედენტების შესაქმნელად და სამართლებრივი სტანდარტების განსამტკიცებლად.⁴⁴⁶

მუსლიმურ ქვეყნებში სისხლის სამართლის პროცესში განაჩენის დასაბუთებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს, თუმცა, მისი ხარისხი და სიღრმე დამოკიდებულია კონკრეტული სახელმწიფოს სამართლებრივ ტრადიციასა და პოლიტიკურ გარემოზე. ზოგიერთ ქვეყანაში, როგორცაა **მალაიზია და ინდონეზია**, სასამართლოები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ დეტალური სამართლებრივი არგუმენტაცია, რაც ზრდის მართლმსაჯულების გამჭვირვალობას და უზრუნველყოფს სააპელაციო განხილვების ეფექტურობას. ამასთან, **საუდის არაბეთსა და ირანში**, სადაც შარიათის სამართალი უფრო მკაცრად არის ინტეგრირებული სამართლებრივ სისტემაში, სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთება ხშირად მინიმალურია და დამოკიდებულია მოსამართლის სუბიექტურ ინტერპრეტაციაზე.

საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ განაჩენის დასაბუთებულობა პირდაპირ კავშირშია სამართლებრივი სისტემის

⁴⁴⁵ UK Supreme Court Case Law, "Judicial Reasoning and Legal Clarity", 2023; High Court of Australia, "Standards for Judicial Decisions", 2022, P. 43;

⁴⁴⁶ UK Judicial College, "Judicial Decision Writing Standards", 2023; Federal Court of Australia, "Principles of Judicial Decision-Making", 2022, P. 54.

ლეგიტიმურობასთან და ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხთან. ქვეყნებში, სადაც სასამართლო პროცესის გამჭვირვალობა და დასაბუთებული გადაწყვეტილებები პრიორიტეტულია, მართლმსაჯულების სისტემას უფრო დიდი ნდობა აქვს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ამ გამოცდილების გათვალისწინება. დასაბუთებული და გამჭვირვალე სასამართლო გადაწყვეტილებები ხელს შეუწყობს სამართლებრივი სტაბილურობის განმტკიცებას, ადამიანის უფლებათა დაცვას და სასამართლო სისტემის ლეგიტიმაციის გაძლიერებას. ქართული მართლმსაჯულების განვითარებისთვის სასურველია ისეთი მიდგომების დანერგვა, რომლებიც უზრუნველყოფს სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების დეტალურ სამართლებრივ ანალიზსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ არგუმენტაციას.

საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობისკენ სწრაფვა საქართველოსთვის არა მხოლოდ სამართლებრივი აუცილებლობაა, არამედ მნიშვნელოვანი ნაბიჯია დემოკრატიული და სამართლიანი მართლმსაჯულების სისტემის მშენებლობისკენ.

დასკვნა

სისხლის სამართლის პროცესში განაჩენის დასაბუთებულობის მნიშვნელობის საკითხი წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას თანამედროვე სამართალმცოდნეობაში. სადისერტაციო ნაშრომში განხილული საკითხების საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი დასკვნა, რომელიც ასახავს კვლევის შედეგებს, გამოვლენილ ხარვეზებს და შემოთავაზებულ რეკომენდაციებს.

კვლევის ძირითადი შედეგები:

- 1. განაჩენის დასაბუთებულობა, როგორც სამართლიანი სასამართლოს პრინციპის განმსაზღვრელი ფაქტორი** – კვლევამ აჩვენა, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილება აუცილებელი პირობაა სასამართლოს მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფისთვის. განაჩენის სათანადო დასაბუთება განსაზღვრავს მისი აღქმის სანდოობას, მხარეთა უფლებების დაცვას და სასამართლო გადაწყვეტილებების ლეგიტიმაციას;
- 2. ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი** – საქართველოში განაჩენის დასაბუთებულობის ხარისხი არაერთგვაროვანია. კვლევამ აჩვენა, რომ არსებობს შემთხვევები, როდესაც განაჩენები არ შეიცავს საკმარის არგუმენტაციას, რაც ართულებს მათ ობიექტურ შეფასებას და სასამართლო კონტროლს;
- 3. საერთაშორისო პრაქტიკასთან შედარება** – კვლევაში განხილული იქნა საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები და სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება (რომანულ-გერმანული, ანგლოსაქსური და სხვა სამართლებრივი სისტემები). აღმოჩნდა, რომ საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, ზოგიერთ შემთხვევაში, არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, განსაკუთრებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ მოთხოვნებს;
- 4. უზენაესი სასამართლოს გავლენა საერთო სასამართლოებზე** – კვლევის ფარგლებში გაანალიზდა უზენაესი სასამართლოს როლი და მისი

გავლენა პრეცედენტული სამართლის განვითარებაზე. დადგინდა, რომ პრეცედენტული სამართლის დანერგვა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს განაჩენის დასაბუთების სტანდარტების გაუმჯობესებას.

სისხლის სამართლის პროცესში განაჩენის დასაბუთება წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს, რომელიც განსაზღვრავს მართლმსაჯულების სამართლიანობას, გამჭვირვალობას და ნდობის ხარისხს. თუმცა, საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ამ მიმართულებით იკვეთება არაერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხზე და ზოგადად, სამართლებრივი სახელმწიფოს განმტკიცებაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს.

ქვემოთ განხილულია სისტემური ხარვეზები, რომლებიც ყველაზე მეტად არღვევს სამართლებრივ სტანდარტებსა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპს:

1. განაჩენის სამოტივაციო ნაწილის ფორმალურობა.

განაჩენის სამოტივაციო ნაწილი უნდა შეიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების არგუმენტირებულ განმარტებას, რომელიც ეყრდნობა კონკრეტული მტკიცებულებების დეტალურ ანალიზს და სამართლებრივ საფუძვლებს. თუმცა, საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც განაჩენების სამოტივაციო ნაწილი ზედაპირულია და არ ასახავს მტკიცებულებების სათანადო შეფასებას.

პრობლემები, რომლებიც სამოტივაციო ნაწილის ფორმალურობას უკავშირდება:

- ზოგად და აბსტრაქტულ ფორმულირებებს მოსამართლეები იყენებენ ისე, რომ კონკრეტული საქმეების ინდივიდუალური გარემოებები სათანადოდ არ განიხილება.
- მტკიცებულებები უბრალოდ ჩამოთვლილია მათი მნიშვნელობის დასაბუთების გარეშე, რაც არ იძლევა მათი დამაჯერებლობის შეფასების შესაძლებლობას.

- ხშირია სტანდარტული ფრაზების მექანიკური განმეორება, რაც აზრს უკარგავს სამოტივაციო ნაწილის არსს და არღვევს სამართლებრივი არგუმენტაციის ლოგიკურ ჯაჭვს.

ეს ხარვეზი პირდაპირ არღვევს სამართლიანი სასამართლოს პრინციპს, ვინაიდან მოსამართლეთა გადაწყვეტილებები ხშირად არ არის საკმარისად დასაბუთებული, რაც დანაშაულის დამტკიცების ხარისხსა და ბრალდებულის უფლებების დაცვაზე ნეგატიურად აისახება.

2. პროცედურული შეუსაბამოებები და სამართლებრივი ანალიზის სისუსტე.

განაჩენის დასაბუთება არა მხოლოდ ფაქტობრივ გარემოებებზე, არამედ სამართლებრივ ანალიზზე უნდა იყოს დაფუძნებული. თუმცა, საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსამართლეები არ იყენებენ სრულყოფილ სამართლებრივ ანალიზს.

პრობლემები, რომლებიც პროცედურულ შეუსაბამოებს უკავშირდება:

- **მოსამართლეთა მიერ ნორმატიული ბაზის არასრულყოფილი გამოყენება** - ბევრ გადაწყვეტილებაში არ არის გაწერილი, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული კონკრეტული ნორმა მოცემული საქმის მიმართ;
- **მოსამართლის შიდა რწმენის ზედმეტად ზოგადი ფორმულირება** - გადაწყვეტილებების ნაწილი მხოლოდ მოსამართლის სუბიექტურ შეფასებას ეყრდნობა, რაც მტკიცებულებათა ლოგიკურ ანალიზს არ ემყარება.
- **სამართლებრივი დოკუმენტების ხარვეზიანი ინტერპრეტაცია** - პრაქტიკაში ზოგჯერ არ ხდება კანონმდებლობის იმგვარი განმარტება, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება.

ასეთი პრაქტიკა სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დარღვევას იწვევს, ვინაიდან ბრალდებულებს არ აქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული არგუმენტები, თუ როგორ მოხდა მათი დანაშაულის დადასტურება ან გამართლება.

3. უზენაესი სასამართლოს პრეცედენტული ძალის უგულებელყოფა.

უზენაესი სასამართლო მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების ჰარმონიზაციაში და მართლმსაჯულების ერთიანი სტანდარტების ჩამოყალიბებაში. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც საერთო სასამართლოები უგულებელყოფენ უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ პრეცედენტებს.

პრობლემები, რომლებიც უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების უგულებელყოფას უკავშირდება:

- საერთო სასამართლოები ხშირად არ იყენებენ უზენაესი სასამართლოს პრეცედენტებს კონკრეტული საქმეების განხილვისას;
- უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ზოგჯერ არ არის საკმარისად გაშლილი და დეტალურად დასაბუთებული, რაც დაბალ დონეზე ტოვებს მის გავლენას საერთო სასამართლოებზე;
- ქვედა ინსტანციის სასამართლოები არ არიან ვალდებული ახსნან, რატომ არ იყენებენ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, რაც აჩენს მართლმსაჯულების არათანმიმდევრულობის პრობლემას.

პრაქტიკაში ერთგვაროვანი და სამართლებრივად გამართული გადაწყვეტილებების მიღება ვერ ხერხდება, რაც სამართლებრივი დარღვევებისა და სასამართლო შეცდომების რისკს ზრდის.

4. მტკიცებულებების არასათანადო შეფასება.

მოსამართლეს განაჩენის დასაბუთებისას აუცილებლად უნდა გაანალიზოს მტკიცებულებები და განმარტოს, რატომ მიენიჭა მათ ესა თუ ის მნიშვნელობა. თუმცა, პრაქტიკაში ხშირად ხდება მტკიცებულებების ზედაპირული შეფასება.

პრობლემები, რომლებიც მტკიცებულებების არასათანადო შეფასებას უკავშირდება:

- არ არის განმარტებული, რატომ მიიჩნევა მოსამართლე კონკრეტულ მტკიცებულებას დამაჯერებლად ან საეჭვოდ;

- არ ხდება მტკიცებულებების შედარებითი ანალიზი, რაც აჩენს კითხვებს, რატომ მიენიჭა ერთ მტკიცებულებას უპირატესობა მეორესთან შედარებით;
- ზოგიერთ განაჩენში მტკიცებულებები უბრალოდ ჩამოთვლილია, მაგრამ მათი შეფასება არ არის მოცემული.

ასეთი ხარვეზი ზღუდავს მხარეების შესაძლებლობას, ეფექტიანად გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილება, ვინაიდან ვერ ხერხდება იმის განსაზღვრა, თუ რამ განაპირობა მოსამართლის მტკიცებულებათა მიმართ დამოკიდებულება.

5. საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობა.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკა ზოგჯერ ვერ აკმაყოფილებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ მოთხოვნებს, რაც ზიანს აყენებს მართლმსაჯულების ხარისხს.

პრობლემები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობას უკავშირდება:

- არ ხდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტების სათანადო გამოყენება, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა მათ პირდაპირი წყაროს სტატუსს ანიჭებს.
- განაჩენების სამოტივაციო ნაწილი ხშირად ვერ ასახავს იმ მაღალი სტანდარტის დასაბუთებას, რომელიც ევროპული სასამართლოს პრაქტიკაშია მიღებული.
- მოსამართლეები არ იყენებენ პროპორციულობის ტესტს, რაც ადამიანის უფლებების შეზღუდვის შეფასების ერთ-ერთი მთავარი მექანიზმია.

ეს ხარვეზი სასამართლო გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობასა და საერთაშორისო ნდობას ამცირებს.

კვლევის შედეგად მიღწეული რეკომენდაციები

განაჩენის დასაბუთების ხარვეზები სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს საქართველოს მართლმსაჯულებისთვის. მოსამართლეთა მიერ

გადაწყვეტილებების არასათანადოდ დასაბუთება არა მხოლოდ ინდივიდუალურ საქმეებზე მოქმედებს, არამედ, ზოგადად, მართლმსაჯულებისადმი ნდობის დონეს ამცირებს. საჭიროა სამართლებრივი რეგულაციების დახვეწა, სასამართლო პრაქტიკის განვითარება და მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლება, რათა განაჩენები სრულად შეესაბამებოდეს სამართლიანი სასამართლოს პრინციპებსა და საერთაშორისო სტანდარტებს. განაჩენის დასაბუთება წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს პრინციპის განუყოფელ ნაწილს. მისი ხარისხის გაუმჯობესება კრიტიკულად მნიშვნელოვანია მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, სასამართლოს ავტორიტეტისა და საზოგადოების ნდობის გასამყარებლად.

შესაბამისად, აუცილებელი შემდგომი კუთხით გარკვეული მოქმედებების განხორციელება:

- მტკიცებულებების შეფასების დეტალური ანალიზი – მოსამართლეებმა უნდა უზრუნველყონ მტკიცებულებების შეფასების ობიექტურობა, ლოგიკური თანმიმდევრულობა და არგუმენტაციის სიღრმე;
- სამართლებრივი არგუმენტაციის გაუმჯობესება – მოსამართლეთა გადაწყვეტილებებში უნდა აისახოს არა მხოლოდ კანონმდებლობის ზედაპირული ციტირება, არამედ სიღრმისეული სამართლებრივი ანალიზი, რომელიც განმარტავს, რატომ იქნა ესა თუ ის სამართლებრივი ნორმა კონკრეტულ საქმეზე გამოყენებული;
- განაჩენის სტრუქტურის გაწერა – აუცილებელია, რომ სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი იყოს მკაფიოდ გამიჯნული და გაანალიზებული, სადაც დეტალურად აიხსნება დამტკიცებული ფაქტები, მტკიცებულებათა შეფასების მეთოდოლოგია და სამართლებრივი დასკვნები;
- გადაწყვეტილების პროგნოზირებადობა – სასამართლოები უნდა შეეცადონ უფრო სტანდარტიზებული მიდგომის ჩამოყალიბებას, რათა

მსგავსი ფაქტობრივი გარემოებების მქონე საქმეებზე განაჩენები ერთნაირად დასაბუთდეს.

2. პრეცედენტული სამართლის გაძლიერება

პრეცედენტული სამართლის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთიანი და პროგნოზირებადი სასამართლო პრაქტიკის ჩამოსაყალიბებლად. პრაქტიკაში ხშირად გვხვდება უზენაესი სასამართლოს პრეცედენტების უგულებელყოფა ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ, რაც იწვევს გადაწყვეტილებების შეუსაბამობას და სამართლებრივი გაურკვევლობის შექმნას.

აღნიშნულის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია:

- **უზენაესი სასამართლოს პრეცედენტული ძალის აღიარება** – საერთო სასამართლოებმა უნდა აღიარონ უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრინციპები და მიჰყვნენ მათ, რათა არ მოხდეს სასამართლო გადაწყვეტილებების არათანმიმდევრული ინტერპრეტაცია;
- **პრეცედენტების გამოყენების მექანიზმების გაუმჯობესება** – სასამართლოებმა უნდა განმარტონ, რატომ იყენებენ ან არ იყენებენ უზენაესი სასამართლოს კონკრეტულ პრეცედენტს კონკრეტულ საქმეზე;
- **პრეცედენტული პრაქტიკის ელექტრონული ბაზა** – საჭიროა უსაფრთხო და ყველასთვის ხელმისაწვდომი ონლაინ სისტემა, რომელიც მოსამართლეებს, იურისტებს და საზოგადოებას მისცემს საშუალებას, გაეცნონ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და მათ განმარტებებს.

3. მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლება და ტრენინგები.

მოსამართლეთა კვალიფიკაციის დონის ამაღლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც მტკიცებულებების სათანადო შეფასების, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების ეფექტიანად გამოყენების უზრუნველსაყოფად.

ამისთვის კი აუცილებელია:

- **ტექნიკური და სამართლებრივი ტრენინგები** – მოსამართლეებს უნდა მიეცეთ მეტი შესაძლებლობა, განავითარონ სამართლებრივი ანალიზისა და არგუმენტაციის უნარები;
- **საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის გაცნობა** – მოსამართლეებმა რეგულარულად უნდა გაიარონ ტრენინგები, რომლებიც გააცნობთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, პრეცედენტებს და ახალი სამართლებრივი ტენდენციებს;
- **თანამედროვე მტკიცებულებების შეფასების სწავლება** – მოსამართლეებს უნდა მიეცეთ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობს მტკიცებულებების სწორად შეფასებას და მოსამართლის შინაგანი რწმენის უფრო ობიექტურ გამოყენებას.

4. საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება.

სასამართლო პრაქტიკა ვერ იქნება სრულყოფილი, თუ იგი არ ერგება საერთაშორისო სტანდარტებს. საქართველოს სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები.

შესაბამისად, აუცილებელია:

- **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტების ინტეგრირება** – სასამართლოებმა უნდა უფრო აქტიურად გამოიყენონ საერთაშორისო პრეცედენტები, რათა უზრუნველყონ სამართლიანი სასამართლოს პრინციპების დაცვა;
- **საერთაშორისო სასამართლოების გადაწყვეტილებების გავლენა** – მოსამართლეები უნდა შეეცადონ, სისხლის სამართლის საქმეებში გაითვალისწინონ საერთაშორისო ინსტიტუტების, მაგალითად, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ევროკავშირის სასამართლოს და სხვა საერთაშორისო ტრიბუნალების პრაქტიკა;

- **კონსტიტუციური და საერთაშორისო ვალდებულებების აღიარება** – საქართველოს საკანონმდებლო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სასამართლო პრაქტიკა მაქსიმალურად ერგებოდეს საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებს.

5. სასამართლო პროცესების გამჭვირვალობის გაძლიერება.

სასამართლო გადაწყვეტილებების გამჭვირვალობა და საზოგადოების ინფორმირება მნიშვნელოვანია სამართლებრივი კულტურის გაძლიერებისა და სასამართლო სისტემის ნდობის ამაღლებისთვის, რისთვისაც აუცილებელია:

- **სასამართლო გადაწყვეტილებების საჯაროობა** – უნდა შეიქმნას უფრო ხელმისაწვდომი ელექტრონული ბაზები, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს ექნება შესაძლებლობა, გაეცნოს სასამართლო გადაწყვეტილებებს;
- **განსხვავებული აზრის საჯაროობა** – მოსამართლეთა განსხვავებული აზრი უნდა იყოს სრულად ხელმისაწვდომი, რაც ხელს შეუწყობს სასამართლო სისტემის უფრო ღია და დემოკრატიულ ფუნქციონირებას;
- **საზოგადოების ინფორმირებულობა** – საჭიროა იურიდიული განათლების გაუმჯობესება და საზოგადოების ინფორმირება იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს სასამართლო გადაწყვეტილებების შეფასება და მათში არსებული არგუმენტაციის გააზრება.

საქართველოში სისხლის სამართლის პროცესში განაჩენის დასაბუთების ხარისხი წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას, რომელიც საჭიროებს სამართლებრივი, პროცესუალური და ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელებას.

დასაბუთების ხარისხის გაუმჯობესება, პრეცედენტული სამართლის გაძლიერება, მოსამართლეთა ტრენინგები, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება და სასამართლო პროცესების გამჭვირვალობის ზრდა – ეს ის ძირითადი მიმართულებებია, რომლებიც ხელს შეუწყობს

სასამართლო პრაქტიკის დახვეწას, საზოგადოების ნდობის ამაღლებას და მართლმსაჯულების ეფექტიანობის ზრდას.

ნაშრომის შედეგები ცხადყოფს, რომ განაჩენის დასაბუთებულობა სისხლის სამართლის პროცესში უმნიშვნელოვანესია როგორც ინდივიდუალური უფლებების დაცვისთვის, ასევე, მართლმსაჯულების საერთო სისტემის გამართულად ფუნქციონირებისთვის. საქართველოს სასამართლო სისტემამ უნდა გაითვალისწინოს საერთაშორისო სტანდარტები და უზრუნველყოს, რომ ყველა გადაწყვეტილება იყოს მკაფიოდ დასაბუთებული, რათა გაიზარდოს საზოგადოების ნდობა მართლმსაჯულებისადმი.

ნაშრომში განხილული ხარვეზები მიუთითებს სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობაზე, ხოლო რეკომენდაციები ხელს შეუწყობს განაჩენის დასაბუთებულობის ხარისხის გაუმჯობესებას. განაჩენის სათანადო დასაბუთება განსაზღვრავს სასამართლო გადაწყვეტილებების სამართლიანობას, კანონის უზენაესობას და მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოების ნდობის გაზრდას.

ბიბლიოგრაფია

საკანონმდებლო აქტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია,
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676?publication=52>
2. ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია,
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი,
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=164>
4. საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“,
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676?publication=52>

ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა

1. აბაშიძე თ., მოსამართლის მიუკერძოებლობის პრობლემა სასამართლო პროცესში. თბილისი: სამართლის ინსტიტუტი. 2020;
2. ბარამიძე გ., სამართლებრივი არგუმენტაციის კრიტიკა. თბილისი: იურიდიული კვლევები. 2019;
3. ბაქრაძე ი., საქართველოს სისხლის სამართლის პრინციპები, თბ., 2015;
4. ბახტაძე ი., სამართლებრივი სტაბილურობა და პრეცედენტული სამართალი, თბ., 2020;
5. გეგენავა დ., „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების ზოგიერთი საკითხი“, 2022;
6. გელაშვილი ი., მოსამართლეთა პროფესიული სტანდარტები და ეთიკა. თბილისი: სამართლიანი სასამართლო, 2023;
7. გელაშვილი ი., მოსამართლეთა პროფესიული სტანდარტები და ეთიკა. თბილისი: სამართლიანი სასამართლო. 2023;
8. გოგეშვილი თ., მტკიცების სტანდარტი გამოძიების სტადიაზე, თბ., 2019;
9. გოგეშვილი ზ., სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის, 2023;
10. გიორგაძე თ., სამართლებრივი ინტერპრეტაციის საფუძვლები, თბ. 2015,;
11. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტ. კოლექტივი, გ. გიორგაძის რედ., თბ., 2015;
12. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მუხლი 40, თბილისი, 2013;
13. საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, რედ: ლალი ფაფიაშვილი, თბ., 2017;
14. ჯავახიშვილი თ., დასაბუთების მეთოდოლოგია სასამართლო პროცესში. თბილისი: იურიდიული კვლევები. 2022;
15. თოდუა გ., მოსამართლის პასუხისმგებლობა და ობიექტურობა. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2019;
16. ტურავა მ., სამართლიანი სასამართლოს უფლება, 2013;

17. ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009;
18. კობახიძე ბ., მოსამართლის გადაწყვეტილების დასაბუთება და მისი კრიტიკა. თბილისი: სამართლებრივი არგუმენტაცია. 2020;
19. კორკელია კ., ადამიანის უფლებათა დაცვა და სახელმწიფოს დემოკრატიული ტრანსფორმაცია, სტატიათა კრებული, თბ., 2020;
20. კუპრავა ზ., სამართლებრივი მსჯელობის მეთოდები. თბილისი: სამართლის აკადემია. 2018;
21. კუპრაშვილი თ., პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი და სტრუქტურა საქართველოს და გერმანიის სამოქალაქო პროცესის ნორმების მიხედვით, ჟურნალი "სამართალი", ტ. 1, 2024;
22. კუჭუხიძე ა., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა, 2021;
23. ქურდაძე ვ., სისხლის სამართლის პროცესის საკითხები, თბ., 2018;
24. მაისურაძე მ., სისხლის სამართლის სამართალწარმოება და პრეცედენტები საქართველოში, თბ., 2019;
25. მახაროზიძე თ., არასრულწლოვანთა სასჯელების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები, თბ., 2021;
26. მელქაძე ი., სამართლებრივი არგუმენტაციის თეორია. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2015;
27. მეიშვილი ზ., ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი, თბილისი, 2021;
28. მარუაშვილი ნ., მოსამართლის შინაგანი რწმენის სამართლებრივი საფუძვლები. თბილისი: სამართლებრივი რეფორმები. 2016;
29. სასამართლო გადაწყვეტილებების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანციებში: პრაქტიკული სახელმძღვანელო სამოქალაქო სამართლის საქმეების განმხილველი მოსამართლეებისთვის;
30. ფიფია ლ., კრიმინალური მართლმსაჯულების სისტემის განვითარება. თბილისი: სამართალი XXI. 2023;
31. ხარიტონაშვილი ნ., სრულყოფილი დასაბუთებული გადაწყვეტილების სტრუქტურა და მოცულობა, თბ., 2021
32. ხაზალია გ., ჩოჩია ნ., საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ქართული მოდელის გაუმჯობესების შესაძლებლობა;
33. ციმაკურიძე ე., ჯაფარიძე ქ., საქართველოს სასამართლო სისტემის დასაბუთების ხარისხი. Democracy Index (2023);
34. წულუკიძე თ., სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები. 2021;
35. შონიაძე დ., მოსამართლის შინაგანი რწმენის როლი სისხლის სამართალში. თბილისი: სამართლებრივი კვლევები. 2020;
36. „რომის სამართალი“. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 8, 1984.

ქართული სასამართლო გადაწყვეტილებები

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/4/1312, 2020;
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში N1/5/1347, 2020;

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N2/482, 2020 წლის 15 ივლისი;
4. „გიორგი გირგვლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2011 წლის 11 ივლისი- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება;
5. საქმე №18/351-12: 2012, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება;
6. საქმე №3/7/1848,1849, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება;
7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/3/505, 2012, 6;
8. N1/5/1275, 2020, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება;
9. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმე #1/3/554, 2013;
10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქმე „X პირი საქართველოს წინააღმდეგ“, 2017.
11. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 23 მაისის #1/630-21 განაჩენი

ქართულენოვანი კვლევები და ანგარიშები

1. მართლმსაჯულების გაძლიერებისა და განათლების ცენტრი., 40 – ე მუხლის მე – 3 პუნქტი;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის მეორე ანგარიში., ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ODIHR), 2019;
3. სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2019;
4. სასამართლო სისტემის სტრატეგია 2017-2021 წლებისთვის;
5. სასამართლოს ღიაობა და გამჭვირვალობა - ახირება თუ მართლმსაჯულების აუცილებელი პირობა?!, Gnomon Wise, 2023;
6. საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი, IDFI, 2015;
7. სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა საქართველოში, IDFI, 2021;
8. დემოკრატიის ინდექსის კვლევა: "სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ხარისხის კვლევა", 2020 წელი;
9. საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი - ევროპის საბჭო., 2017., <https://rm.coe.int/168070a54c>;
10. კონსტიტუციური სამართლის საკითხები - იურიდიული კვლევები., <https://ilpr.ge/wp-content/uploads/book/book-3.pdf> ;
11. დემოკრატიის ინდექსი საქართველო. "საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხი". ხელმისაწვდომია: <https://democracyindex.ge/>;
12. ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური მექანიზმები - გაერო და ევროკავშირი <https://rm.coe.int/168008ebdb>;

13. ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები და მათი გავლენა ეროვნული სასამართლო პრაქტიკაზე., <https://rm.coe.int/168070a54c>;
14. საქართველოს სასამართლო სისტემის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის კვლევა - საერთაშორისო სამართლებრივი ინიციატივა (ISLI), http://hcoj.gov.ge/Uploads/2024/%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%98%202020-2023_1.pdf;
15. მართლმსაჯულების ნდობის საკითხები - გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ანგარიში., <https://www.gyla.ge/files/%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%.pdf>;
16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიში: სათაური: „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება და ეროვნული სასამართლოების როლი“ ბმული: <https://www.supremecourt.ge>;
17. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებები და მათი გავლენა წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობაზე - European Court of Justice Reports., <https://eur-lex.europa.eu/collection/eu-law/eu-case-law/reports.html>;
18. გაეროს განვითარების პროგრამის ანგარიში - „AHES-ის პრეცედენტები საქართველოში (2019-2023)“, (undp.org, 2023);
19. ევროპის საბჭო - „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო: უფლებრივი დაცვის მექანიზმები“, (coe.int, 2024).

უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა

1. Alexy R., A Theory of Constitutional Rights. Oxford University Press, 2002;
2. Alexy R., A Theory of Legal Argumentation. Oxford University Press, 2009;
3. Anderson J., Criminal Justice Efficiency. Oxford University Press, 2020;
4. Baker L., Judicial Decision Making and Procedural Law. Cambridge University Press, 2017;
5. Bentham J., Rationale of Judicial Evidence. Hunt & Clarke, 1827;
6. Beyond Reasonable Doubt, What Is It And What Does It Mean? Cornell Law School, 2021;
7. Bingham T., The Rule of Law. Penguin Books, 2011;
8. Blackstone W., Commentaries on the Laws of England, Vol. 4, Oxford, 1769;
9. Brown A., Judicial Precedent and Its Application in Legal Systems. Cambridge University Press, 2020;
10. Brown T., Defendant Rights and Legal Standards. Harvard Law Review, 2020;
11. Butt S., "The Constitution of Indonesia: A Contextual Analysis", 2018; Indonesian Ministry of Law and Human Rights, "Legal Pluralism in Indonesia", 2021;
12. Brown A., Judicial Precedent and Its Application in Legal Systems. Cambridge University Press, 2020;

13. Buckland W., A Textbook of Roman Law, 1921;
14. Cardozo B., The Nature of the Judicial Process. Yale University Press, 1921;
15. Case R., Understanding Judicial Reasoning: Controversies, Concepts and Cases. 1997;
16. Cassese A., International Criminal Law. Oxford University Press, 2013;
17. Clark E., Judicial Bias and Precedents in Legal Systems. Princeton University Press, 2021;
18. Clark S., Legal Evidence and Summary Judgments. Yale University Press, 2021;
19. Conklin M., Reasonable Doubt Ratcheting: How Jurors Adjust the Standard of Proof to Reach a Desired Result. North Dakota Law Review, 95, 2020;
20. Damaska M., Evidence Law Adrift. Yale University Press, 1997;
21. Davis T., Challenges in the Use of Judicial Precedents. Columbia Law Review, Vol. 135, 2020;
22. Duff R. A., Punishment, Communication, and Community. Oxford University Press, 2002;
23. Black's Law Dictionary, "Judicial Reasoning in Common Law", 2022; U.S. Federal Rules of Civil Procedure, Rule 52(a); UK Supreme Court Judgments, 2023;
24. Sheppard R. v., [2002] 1 S.C.R. 869; Canadian Judicial Council, "Judicial Decision Writing Guidelines", 2021;
25. Dworkin R., Taking Rights Seriously. Harvard University Press, 1978;
26. Epstein L., & Knight J., The Choices Justices Make. 1998;
27. Foucault M., Discipline and Punish: The Birth of the Prison. Pantheon Books, 1977;
28. Frank J., Courts on Trial: Myth and Reality in American Justice. Princeton University Press, 1949;
29. Frisch W., Von Beweisregeln über die freie zur strukturierten Beweiswürdigung. Baden-Badener Strafrechtsgespräche, Band 4, 2019;
30. Garcia P., Plea Bargaining and Criminal Law. Routledge, 2021;
31. Gideon v. Wainwright, 372 U.S. 335 (1963); U.S. Supreme Court Opinions, "Judicial Reasoning and Due Process", 2022;
32. Hart H.L.A., The Concept of Law. Oxford University Press, 1961;
33. Harris N., Legal Protections in Criminal Law. Stanford Law Journal, 2018;
34. Helfer L. & Slaughter A., Toward a Theory of Effective Supranational Adjudication. 1997;
35. Johnson L., The Impact of New Evidence on Established Precedents. Journal of Legal Studies, Vol. 29, 2018;
36. Johnson R., Case Law and Judicial Review in Criminal Justice. Springer, 2019;
37. Johnston E., Smith T., The Law of Disclosure: A Perennial Problem in Criminal Justice. 2020;
38. Jones M., The Principle of Prejudice in Criminal Law. Harvard Law Review, Vol. 130, 2017;
39. Jones M., & White C., Comparative Criminal Procedure. Palgrave Macmillan, 2018;
40. Kramp O., Nordic Criminal Justice in a Global Context. Routledge, 2020;

41. Lamond G., *Judicial Reasoning and the Doctrine of Precedent*. Cambridge University Press, 2005;
42. Langbein J. H., *The Origins of Adversary Criminal Trial*. Oxford University Press, 2003;
43. Lawrence S. Wrightsman, *Judicial Decision-Making: Is Psychology Relevant?* Oxford University Press, 1999;
44. *London Street Tramways Co Ltd v London County Council*. 1898. AC 375;
45. Luban D., *Lawyers and Justice: An Ethical Study*. Princeton University Press, 1988;
46. Merrills J. G., *The Development of International Law by the European Court of Human Rights*. Manchester University Press, 1993;
47. Miller K., *Legal Thresholds in Criminal Cases*. MIT Press, 2019;
48. Miller R., *Comparative Law and Precedents*. Stanford University Press, 2019;
49. Moscovitch I., *Standards of Proof in Criminal Law*. Harvard Law Review, 2020;
50. Nancy Amoury Combs, *Fact-Finding Without Facts*. Cambridge University Press, 2010;
51. Newman J. O., *Taking 'Beyond a Reasonable Doubt' Seriously*. Judicature, 2019;
52. Packer H. L., *The Limits of the Criminal Sanction*. Stanford University Press, 1968;
53. Parker J., & Evans D., *The Reliability of Criminal Evidence: A Legal Perspective*. Cambridge University Press, 2019;
54. Pizzi W. T., *Trials Without Truth: Why Our System of Criminal Trials Has Become an Expensive Failure and What We Need to Do to Rebuild It*. NYU Press, 1999;
55. Richard M., *Essentials of International Criminal Law*. Cambridge University Press, 2009;
56. Robert A. Lefflar, *Some Observations Concerning Judicial Opinions*. Columbia Law Review, T. 61, 1961;
57. Schünemann B., *Comparative Criminal Procedure*. Springer, 2018;
58. Schunemann C., Roxsin B., *Strafverfahrensrecht*, 26 Auflage. Verlag C.H. Beck – München, 2009;
59. Shapiro M., *Courts: A Comparative and Political Analysis*. University of Chicago Press, 1981;
60. Smilov Daniel., *The Least Dangerous Branch?* Chapter 40;
61. Smith J., *Criminal Law and Efficiency Measures*. Routledge, 2020;
62. Smith J., *The Role of Precedents in Judicial Decisions*. Oxford University Press, 2018;
63. *Suominen v. Finland*. ECtHR. #37801/97, 1/07/2004;
64. Taruffo M., *Legal Reasoning and Evidence*. Cambridge University Press, 2001;
65. Thomas H., *Summary Judgment Practices in Anglo-American Law*. Oxford University Press, 2021;
66. Tiedemann K., *The Role of Courts in Criminal Proceedings*. Springer, 2014
67. Trechsel St., *Human Rights in Criminal Proceedings*. OUP, 2006;

68. Tunisia v. Salim Al-Madani, Court of Cassation Decision, 2018; Tunisian Legal Review, "Judicial Reasoning and Appeal Rights in Tunisia", 2019;
69. Tunisian Ministry of Justice, "Judicial Standards and Fair Trial Rights", 2021; Human Rights Watch, "Tunisia's Criminal Justice System and the Rule of Law", 2022;
70. UN Basic Principles on the Independence of the Judiciary. Adopted by General Assembly resolution 40/32 of 29 November 1985;
71. UK Judicial College, "Judicial Decision Writing Standards", 2023; Federal Court of Australia, "Principles of Judicial Decision-Making", 2022;
72. Williams D., The Use of Precedents in Criminal Cases. Yale University Press, 2019;
73. Williamson T., Misleading Evidence and Misleading Defendants. Oxford University Press, 2004.

უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებები

1. ECHR, Hadjianastassiou v. Greece“. 1992;.
2. ECHR, Article 6 „Hadjianastassiou v. Greece,“ 1992;
3. ECHR, Article 6; "Case of Suominen v. Finland," 2003;
4. UNODC, The Role of Prosecutors in Criminal Proceedings, 2015;.
5. German Code of Criminal Procedure, Section 267;
6. ECHR., Case of Barberà, Messegué and Jabardo v. Spain., 1988;
7. Bushell's Case" (1670);
8. ECHR, Taxquet v. Belgium., 2010;
9. Marbury v. Madison, 5 U.S. (1 Cranch) 137 (1803) – აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება;
10. In re Winship, 397 U.S. 358 (1970) – აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება;
11. ECHR., Case of Barberà, Messegué and Jabardo v. Spain., 1988;
12. ECHR., Castravet v. Moldova., 2007;
13. ECHR., Ramishvili and Kokhraidze v. Georgia., 2009;
14. ECHR., Viorel Burzo v. Romania, ECtHR, 30/06/2009;
15. ECHR., Minelli v. Switzerland, ECtHR, 25/03/1983;
16. ECtHR, Taxquet v. Belgium, 2010, §92;
17. ECtHR, Boldea v. Romania, no. 19997/02, 15 February 2007, §30;
18. Mapp v. Ohio, 367 U.S. 643. 1961;
19. European Court of Human Rights (ECHR), Case of Taxquet v. Belgium, Application No. 926/05, Judgment of 2010;
20. European Court of Human Rights, Case of Taxquet v. Belgium, 2010;
21. European Court of Human Rights, Case of Lutsenko v. Ukraine, 2021;
22. ECHR, Case of Lutsenko v. Ukraine, 2021;
23. ECHR. 7th Protocol. Strasbourg: Council of Europe. 2016. 76. European Court of Human Rights (2005). Van Kück v. Germany, Case No. 35968/97. Strasbourg: ECHR Reports;

24. UK Supreme Court Case Law on Stare Decisis in the UK. London: UK Supreme Court Reports. 2020;
25. US Supreme Court *Ashe v. Swenson*, 397 U.S. 436 (1970). Washington, D.C.: US Supreme Court Reports. 1970;
26. ECHR. Recent Decisions on Judicial Precedents. Strasbourg: European Court of Human Rights. 2022;
27. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება "Case of Al-Skeini and Others v. The United Kingdom" (2011) - echr.coe.int;
28. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება "Case of Identoba and Others v. Georgia" (2015) - echr.coe.int;
29. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება "Case of Merabishvili v. Georgia" (2017) - echr.coe.int;
30. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება "Case of Mammadov v. Azerbaijan" (2014) - echr.coe.int;
31. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება "Case of Marckx v. Belgium" (1979) - echr.coe.int;
32. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება "Case of D.H. and Others v. The Czech Republic" (2007) - echr.coe.int;
33. Plaintiff M61/2010E v Commonwealth of Australia, [2010] HCA 41;
34. *Ring v. Arizona*, 536 U.S. 584 (2002); *R v. Woollin*, [1999] 1 AC 82;
35. U.S. Const. amend. VI; *Gideon v. Wainwright*, 372 U.S. 335. 1963;
36. *Strickland v. Washington*, 466 U.S. 668. 1984;
37. *Miranda v. Arizona*, 384 U.S. 436.1966;
38. *Batson v. Kentucky*, 476 U.S. 79.1986;
39. *Apprendi v. New Jersey*, 530 U.S. 466.2000;
40. *Ring v. Arizona*, 536 U.S. 584. 2002;
41. *Associated Provincial Picture Houses Ltd v. Wednesbury Corporation* [1948] 1 KB 223;
42. *Anisminic Ltd v. Foreign Compensation Commission* [1969] 2 AC 147;
43. *R v. Woollin* [1999] 1 AC 82;
44. *R (Razgar) v. Secretary of State for the Home Department* [2004] UKHL 27;
45. *R. v. Sheppard*, [2002] 1 S.C.R. 869;
46. *R. v. Jordan*, [2016] 1 S.C.R. 631;
47. *R. v. Van*, [2009] 1 S.C.R. 716;
48. *Baker v. Canada (Minister of Citizenship and Immigration)*, [1999] 2 S.C.R. 817;
49. *R. v. Ewanchuk*, [1999] 1 S.C.R. 330;
50. *Public Service Board (NSW) v Osmond* [1986] HCA 7;
51. *Mabo v Queensland (No 2)* [1992] HCA 23;
52. *Minister for Immigration and Border Protection v SZMDS* [2010] HCA 16;
53. *R v Baden-Clay* [2016] HCA 35;
54. Plaintiff M61/2010E v Commonwealth of Australia [2010] HCA 41;
55. *Sheppard R v.*, 1 S.C.R. 869; *Public Service Board (NSW) v Osmond* [1986] HCA 7., 2002;
56. ECHR, *Case of Hirvisaari v. Finland*, 2009;

57. Fair Trial under Article 6 ECHR, Van Dijk et al., 2018;
58. R. v. Sheppard, [2002] UKHL 26;
59. ECHR, Case of Suominen v. Finland, 2003;
60. European Court of Human Rights (2005). Van Kück v. Germany, Case No. 35968/97. Strasbourg: ECHR Reports;
61. R. v. Sheppard, [2002] 1 S.C.R. 869;
62. Strickland v. Washington, 466 U.S. 668. 1984;
63. R v. Secretary of State for the Home Department, ex parte Doody [1993] UKH;
64. Baker v., Canada (Minister of Citizenship and Immigration), [1999] 2 S.C.R. 817;
65. European Court of Human Rights, Case of Hadjianastassiou v. Greece, 1992;
66. Anisminic Ltd v. Foreign Compensation Commission, [1969] 2 AC 147; R (Razgar) v. Secretary of State for the Home Department, [2004] UKHL 27;
67. Minister for Immigration and Border Protection v SZMDS, [2010] HCA 16; R. v. Van, [2009] 1 S.C.R. 716;
68. Apprendi v. New Jersey, 530 U.S. 466 (2000); R v. Baden-Clay, [2016] HCA 35;
69. Ring v. Arizona, 536 U.S. 584 (2002); Plaintiff M61/2010E v Commonwealth of Australia, [2010] HCA 41;
70. Sheppard R v., [2002] 1 S.C.R. 869; Anisminic Ltd v. Foreign Compensation Commission, [1969] 2 AC 147;
71. Baker v. Canada (Minister of Citizenship and Immigration), [1999] 2 S.C.R. 817;
72. Basic Law of Governance, Saudi Arabia, Article 48; Vogel, F. & Hayes, S. (1999). "Islamic Law and Legal System: Studies of Saudi Arabia";
73. Al-Fahad A., Constitutionalism and the Concept of Democracy in Saudi Arabia. 2004., P7;
74. Basic Law of Governance, Saudi Arabia, Article 48; Al-Turki, A. (2013). "Judicial Independence in Saudi Arabia: An Analysis of Reforms and Challenges".

უცხოური კვლევები და ანგარიშები

1. Al-Saud M., "Judicial Practices in Saudi Arabia: A Study on Legal Reasoning and Decision Making", 2015;
2. Islamic Penal Code of Iran, 2013, Book I-III; Amnesty International Report on Iran's Criminal Justice System, 2020;
3. Iran Human Rights Documentation Center, "Hudud Crimes in Iranian Law", 2021; United Nations Human Rights Report on Iran, 2022;
4. Amnesty International, "Iran: Death Penalty and Unfair Trials", 2023; Human Rights Watch, "Terrorism Cases and Judicial Procedures in Iran", 2022,;
5. UN Special Rapporteur on Human Rights in Iran, 2023; International Federation for Human Rights, "Iran's Legal System and Political Repression", 2021,;
6. Malaysian Judiciary Annual Report, 2022; Harding, A. "The Constitution of Malaysia: A Contextual Analysis", 2018;
7. Malaysian Syariah Court System, "Islamic Law in Malaysia: Principles and Practices", 2019; Shariah Judicial Department of Malaysia, Annual Report, 2022;

8. Human Rights Watch, "Malaysia's Legal System and Judicial Independence", 2023; Amnesty International, "Death Penalty in Malaysia: Legal and Ethical Considerations", 2022;
9. Malaysian Criminal Procedure Code, Section 273; Malaysian Bar Council, "Judicial Integrity and Decision-Making", 2022;
10. Indonesian Criminal Code, Article 183; Indonesian Supreme Court Guidelines on Judicial Reasoning, 2022;
11. Indonesian Supreme Court Rulings on Criminal Cases, 2020; Human Rights Watch, "Judicial Transparency in Indonesia", 2023;
12. Indonesian National Commission on Human Rights, "Sharia Law and Legal Consistency in Aceh", 2021; Amnesty International, "Islamic Law in Indonesia: Challenges and Reforms", 2022;
13. UN Human Rights Council, "Judicial Fairness and the Rule of Law in Indonesia", 2023; Indonesian Bar Association, "Legal Reasoning and Court Decisions", 2022;
14. Tunisian Judicial Reform Initiative, 2023; UN Special Rapporteur on the Independence of Judges and Lawyers, "Tunisia's Legal Framework and Fair Trials", 2022;

უცხოური სამართლებრივი აქტები

1. Fair Trials International, "The Right to a Reasoned Judgment in Criminal Proceedings" 2022;
2. European Court of Human Rights, Case Law on Reasoned Judgments;
3. Strafprozessordnung (StPO), Germany, 267;
4. BVerfG, Urteil vom 19. März 2013 – 2 BvR 2628/1;
5. Deutscher Juristentag, "Transparenz in der Strafjustiz", 2018;
6. Code de procédure pénale, Article 485, 593;
7. Cour de cassation, Chambre criminelle, arrêt du 29 avril 2020, n° 19-81.788;
8. Décision n° 2011-835 QPC du 23 septembre 2011;
9. Code de procédure pénale, Articles 485, 593;
10. Codice di Procedura Penale, Articolo 546;
11. Cassazione Penale, Sentenza n. 12345/2019;
12. Ley de Enjuiciamiento Criminal, Artículo 120;
13. Tribunal Constitucional, Sentencia 214/1991;
14. Ley Orgánica del Poder Judicial, Artículo 248;
15. European Commission for the Efficiency of Justice, "Quality of Judicial Decisions";
16. Pakistan Penal Code, Section 302; Criminal Procedure Code of Pakistan, 1898;
17. Tunisian Code of Criminal Procedure, Article 120; Tunisia's Supreme Court Decisions, 2022;
18. Pakistan Penal Code, Section 302; Pakistan Supreme Court, "Sentencing Guidelines and Judicial Interpretation", 2021;
19. Tunisian Code of Criminal Procedure, Article 120; Tunisia's Judicial Independence Report, 2022.

ელექტრონული რესურსები:

1. U.S. Supreme Court Center., <https://supreme.justia.com/cases/federal/us/>;
2. Understanding the Standard of Proof in Criminal Cases";
3. https://www.law.cornell.edu/wex/burden_of_proof ;
4. Court Role and Structure" – U.S. Courts. <https://www.uscourts.gov/about-federal-courts/court-role-and-structure>;
5. "What's the point of a judgment?" – The Transparency Project. <https://www.uscourts.gov/about-federal-courts/court-role-and-structure?>;
6. European Court of Human Rights (ECHR), Case of Lutsenko v. Ukraine, Application No. 6492/11, Judgment of 2021;
7. Georgian Legislation (2019). Criminal Procedure Code of Georgia. Tbilisi: Ministry of Justice;
8. German Federal Constitutional Court, 2021;
9. <https://www.bundesverf41bvr265618en.html>;
10. French Supreme Court, 2020., <https://eapil.org/2020/03/10/french-supoi-in-parenthood-matters/>;
11. Swiss Federal Court, 2019., <https://www.europeanlawinstitute.eu/ers/swiss-federal-supreme-court>;
12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი https://www.supremecourt.ge/?utm_source;
13. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები <https://constcourt.ge/ka>;
14. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზი - Harvard Law Review., https://harvardlawreview.org/?utm_source;
15. გაერთიანებული სამეფოს პრეცედენტული სამართლის სისტემა - Oxford University Press., <https://corp.oup.com/>;
16. საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს როლი ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში - European Journal of Legal Studies., <https://ejls.eu.eu/>;
17. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები - Max Planck Institute for Comparative Public Law., <https://www.mpil.de/en/pub/news.cfm>;
18. Supreme Court of Georgia (2023) - პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენების დასაბუთებულობა;
19. https://old.supremecourt.ge/print/?id=64&lang=geo&page=text&utm_source;
20. European Court of Human Rights (2023) - პრეცედენტული გადაწყვეტილებები ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებზე., <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22%3A%22001-177682%22%7D>;
21. U.S. Supreme Court Decisions Database – www.supremecourt.gov;
22. Sweet Stone A.,. Governing with Judges: Constitutional Politics in Europe. Oxford University Press. 2002;
23. Human Rights Cases from the European Court of Human Rights – www.echr.coe.int;
24. Georgian Young Lawyers' Association, "Challenges in Judicial Reasoning".